

ისტორიულ-გეოგრაფიული ჟურნალი №1 (37), 2014. იანვარი ფასი 3 ლარი

ისტორიანი

საქართველოს
„დახეხუდი“
ისტორია



ფოტოქსენი
სხილის
მუზეუმი

ფილოსოფიის
ხილვები
უნივერსიტეტი

ქართველის ბიძაძე ეპოქა
გრიგოლ ავალიანი
ისტორიული გეოგრაფია
6 ტომი, ტომი 5
სომხეთი
ანუ მართლმადიდებელი (ნიმუში I)
დასვა და
აგადასვა ფასი 3 ლარი
ნიმუში „ისტორიანი“ ერთად – 6 ლარი

იხილი,
ხომალდი
მსოფლიო
ანიმაციო
ახალი
ჰოლოცი —
ზაფხული
ქვეყნის
ნაწილი
ბენედიქტი

ლეონარდო
ქვე
საქართველოში
ნათესავის
ეპოქის
უნივერსიტეტი



17




8



6



10



38



46



35

სახიჯვი

წილს აგებები
 ქვევრის ღვიწილ — მსოფლიო მნიშვნელობის კვლია! 6

ახალი აგებები
 „ინგლისელი“ იუპიტერი საჩუქრად 8
 მთელი მსოფლიო ორი თაობის „დათვალიერება“ 9
 ენა და კულტურა ქართულ-თურქულ ურთიერთობებში 10
 ლეოპარდის ფრესკა ტრიპოლისიდან 11

შობა-ახანდის ტაძრისთვის
 აღმსარებლობები კვლავ სპარტოპელოში 12

ახალი აგებები
 მცენებრება და დაღბნენს, როდის ცხოვრობდა გუდა 17

მოსახება
 ფიროსმანის კიდეგ მართი უცნობი ნახატი? 19

ბაგოსათსოვანი
 მას ჰქონდა ის სიმიდრე, რაც არ მართებოდა 23

მობაუნი უთნობის ჩანაჩეხი
 „მორეული საგობლოს სურნელი“ 26


ახალი აგებები
 ზვიდა გიორგის ყველაზე მასშტაბური კედლის მხატვრობა ბრიტანეთში 33

საჭოთა ცილეხი სიბოლიაში
 ჩხოსლოვკური მონუმენტი იოსებ სტალინის გამოსახულებით 35

ფოცაოი
 ნართების მკონი აფხაზურად 38

საუთნოეო ხაბოონი მუხაუეხი
 30 ფელიჭადში სტალინმა მილიონე მებტი საჩუქარი მიიღო?! 46

ახალი აგებები
 „მარიჭმა“ — მთელი მკროვის მუხუეუეებისთვის 52



სახიჩვი

აღმოსაჩენი საჩიხიველი
 „დაკარგული“ ქვეყანა 54

ახალი აგებუნი
 მუჟე კაგორჯაჟი ბრუნდება 63

მუჟი ზღვის სხაბუნი
 ბოსფორი და დარღანელი 65

ტუნისი ისტორია
 ავტომობილის „წინაპრები“ –
 ორთქლისკრავიანი ურჩხულების
 ევოლუცია და აღსასრული 72

წლის აგებუნი
 1800 წლის წინანდელი სათამაშო
 ბაგინეთიდან 78

მუჟე ხინის ბაიხა
 კარლ შოლცი – ზედმეტად ჭკვიანი

ნაცისტი გენერალი 80

მუჟე აგებუნი
 ხელოვნება ტყემოს ბანაკებიდან 87

მსოფლიოში სწოხიცი სწო-ლაიხაბუნი
 ბრავენსტინი 88

საოხის ისტორია
 მუჟილდონობა – იარაღი, რომელმაც
 მსოფლიო დანიჰრო 96

სწოხიხა
 ზაზა კოლელიმუჟილი – გულია და
 გულგაღმელი 104

XX-XX საუხუნის მუჟინა-ბუხუნი
 მხიარული აგებუნი „იჟერიდან“ 111

„ისტორიანი“ ბუჟუნი
 500 ვაჟტი ისტორიიდან 118

სკანსორდი 122

ჟურნალ „ისტორიანის“ ძველი ნომრების შექმნა შეეძლიათ „ბიბლუსის“ მადანიათა ქსელში. ფასი 2 ლარი

ჩვენს ხელისუფლების სკანდალი

ახალი წელი ქართველთათვის ოდითგანვე უპირველესი დღესასწაული ყოფილა. წარმართულ საქართველოში წლის დასაწყისს აგვისტოში ზემობდნენ, ქრისტიანობის შემოღების შემდგომ — სექტემბერში, IX საუკუნიდან — მარტში. იანვარი X საუკუნეში შემოსულა და მთელი ასი წელიწადი დასჭირვებია ფეხის მოსაკიდებლად, საბოლოოდ კი XVII საუკუნიდან დამკვიდრებულა. იანვრის სახელწოდება რომაელთა ღმერთის, იანუსის სახელიდან მოდის. იანუსი დროის, მზის, სინათლისა და ყოველივე დასაწყისის ღვთაებაა. მეტიც, რომაელთა წარმოდგენით, სწორედ იანუსმა მისცა დასაბამი თვით კაცობრიობას. რომაელებმა ძვ.წ. 46 წელს დაამტკიცეს წლის დასაწყისად 1-ელი იანვარი.

ძველ საქართველოში სახალწლო, უფრო სწორად, შობა-ახალწლის სამზადისი მთელ ქვეყანას მოიცავდა. საშობაოდ რომ ღორს დაკლავენ, ალილოთი ჩამოვიდნენ მეალილოები და ქვეყანას ქრისტეშობას მიულოცავდნენ, საშობაო ხსნილითა და საგანგებო ღვინით უფალს, სახლ-კარსა და ქვეყანას დალოცავდნენ, ცოტას შეისვენებდნენ და სახალწლო სამზადისს შეუდგებოდნენ. ამ დღეებში მზეც კი ვერძის სამ ნახტომს აკეთებსო, იტყოდნენ. იოანე ოქროპირის ნათქვამს თუ დავიმოწმებთ: „შობას მზიარულ არს ქვეყანაი, რამეთუ ადამის შემქმნელი იშვა დღესა ამას ადამისაგან“.

ახალი წლის უმთავრესი „სტუმარი“ მეკვლე იყო. ალიონზე შემოადებდა კარს და დაილოცებოდა: — შემოვდგი ფეხი, გვყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა!..

მივიდოდა მეკვლე ბუხართან, აიღებდა დიდ მუგუზალს, გააფრევიანებდა ნაპერწკლებს და შემოსბახებდა: — იმდენი სიხარული მოგცემოდეთ, რამდენიც ეს ნაპერწკლებიაო. ამდენი ვაჟი, ამდენი ქალი, ამდენი ბარაქა და ოქრო-ვერცხლი დაგბედებოდეთო.

— ამინ, უფალმა გისმინოსო! — ეტყოდნენ მასპინძლები. სუფრასთან მიიწვევდნენ, თასს ღვინით აუვსებდნენ და კერას კიდევ ერთხელ დაალოცვინებდნენ...

ახალ წელს უამრავი ახალი საინტერესო ჩანაფიქრით ხვდება ჟურნალი „ისტორიანი“, რომელთა განხორციელებასაც, პირველ ყოვლისა, თქვენთან თანამშრომლობითა და ურთიერთმხარდაჭერით ვაპირებთ, ჩვენო მკითხველო.

მრავალ ახალ წელს!..
უფალს ებარებოდეთ!



წარმართულ საქართველოში წლის დასაწყისს აგვისტოში ზემობდნენ, ქრისტიანობის შემოღების შემდგომ — სექტემბერში, IX საუკუნიდან — მარტში. იანვარი კი X საუკუნეში შემოსულა...

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური, ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბარნოვი, შოთა მათითაშვილი, კახაბერ ყალიჩაუა, ნიკოლოზ ხოფერიანი

კორექტორები:
**ნანა მაჭუფარიანი
ნინო აბუსაძე**

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარედაქციო განყოფილება
**ტელ.: 237-78-07, 238-78-70
e-mail: istoriani@palitra.ge**

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ
რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამოწერისთვის მიმართეთ პრესისა და წიგნების გაერკვლების სააგენტოს „ელვა.ჯი“.
ტელ.: 238-26-73

„პალიტრაქაილის“ ცხელი ხაზი: 219-60-13; 219-60-53
e-mail: contact@palitra.ge

ქვევრის ღვინო — მსოფლიო მნიშვნელობის ქაგლია!



საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენენ ქვევრის დამზადების ოსტატები

ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართულმა ტრადიციულმა მეთოდმა დიდი აღიარება მოიპოვა. იგი იუნესკოს მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანეს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში განმარტავენ, რომ ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. ნატურალური და ეკოლოგიურად სუფთა ეს მეთოდი მეცნიერულად დადასტურებულია, როგორც უძველესი ტექნოლოგია და საქართველო მსოფლიო მასშტაბით უკვე აღიარებულია ღვინის სამშობლოდ, რომელსაც ღვინის დაყენების 8 ათასი წლის უწყვეტი ტრადიცია აქვს.

სპეციალისტთა განცხადებით, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ქვევრში ღვინოს უძველესი დროიდან დღემდე ყოველთვის აყენებდნენ. საქართველოში აღმოჩენილი ქვევრის

ტიპის უძველესი ჭურჭელი განეკუთვნება ძვ.წ. VI-V ათასწლეულებს. დღეს არსებული ქართული ქვევრის ფორმა ძვ.წ. III-II ათასწლეულში ჩამოყალიბდა. ამ პერიოდამდე ძირითადად პატარა ქვევრები იყო გავრცელებული, რომლებიც სიმაღლით 1-1,5 მეტრს არ აღემატებოდა, ჰქონდა ბრტყელი ძირი და განიერი მუცელი. დღეისთვის კი ყველაზე ფართოდ გავრცელებულია კვერცხისებური ფორმის ქვევრები.

ქეთევან კანდელაკი (საგარეო საქმეთა სამინისტროს იუნესკოს საქმეთა გენერალური მდივანი): „ნომინაციას მხარი ყველა სახელმწიფოს წარმომადგენელმა დაუჭირა. ამით მათ აღიარეს, რომ ნომინაციაა და ღვინის დაყენების ეს მეთოდიც არამატერიალუ-

რი კულტურის მემკვიდრეობის კონვენციის მოთხოვნებს მთლიანად შეესაბამება“.

უძველესი ქართული მეთოდის იუნესკოს ნუსხაში შეტანას დიდი მოსაზრადებელი სამუშაოები უძღოდა.

2011 წელს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ მეთოდს მიენიჭა უმაღლესი ეროვნული ძეგლის სტატუსი.

2012 წელს კი, კულტურის სამინისტროსთან შექმნილმა მრავალდისციპლინურმა სამუშაო ჯგუფმა იუნესკოს ნომინაციაზე წარსადგინი დოკუმენტაცია მოამზადა და ორგანიზაციას 2013 წლის მარტში გადაუგზავნა. იუნესკოს შესაბამისი წერილებით მიმართეს ქართული ტრადიციული ღვინის ფონდის, ღვინის კლუბის, ასოციაცია „ქართული ღვინის“, ქვევრის ფონდის, „ასოციაცია ქვევრის ღვინის“, ქართული ღვინის კულტურის ცენტრის, ელკანას, ქართული სოფლების თემების წარმომადგენლებმა, აგრეთვე ქვევრის ქართველმა ოსტატებმა. იუნესკოს მოთხოვნით შეიქმნა მეთოდის ამსახველი ათწუთიანი დოკუმენტური ფილმიც. „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი“ რეჟისორმა მერაბ კოკჩაშვილმა გადაიღო.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ გურამ ოდიშარიას თქმით, იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისმა კომიტეტმა „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული წესი აღიარა, როგორც უნიკალური მოვლენა“.

ევა რომანკოვა (ჩეხეთის წარმომადგენელი იუნესკოს მთავრობათაშორის კომიტეტში): „სანომინაციო წინადადება უმაღლეს დონეზე იყო შესრულებული. ის ყველა პუნქტს აკმაყოფილებდა. ღვინო ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობაა და ეს სტატუსი ნამდვილად დამსახურებულია“.

რუსუდან მირზიკაშვილი (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს სამმართველოს უფროსი): „მთავრობათაშორისი კომიტეტი გადაწყვეტილების მიღებისას ყურადღებას აქცევს, რამდენად შენარჩუნებულია მატერიალური თუ

არამატერიალური ძეგლის ავთენტიკურობა და მთლიანობა. ეს სასიხარულო გადაწყვეტილებაა, რაც ძეგლის საერთაშორისო აღიარებას შეუწყობს ხელს. ამასთან, მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს წევრ სახელმწიფოს, დაიცვას და ხელი შეუწყოს ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციას“.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია იუნესკომ 2003 წელს მიიღო. კონვენციით განისაზღვრა, რომ ეს სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ზეპირად მოცემულ ტრადიციულ მუსიკას, ცეკვას, ინსტრუმენტებს, საგნებს, არტეფაქტებს, რიტუალებს, ფესტივალებს, ხალხურ რეწვას, ადათ-წესებს, კულტურულ სივრცეებს.

საქართველო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონვენციას 2007 წელს მიუერთდა. 2008 წელს კი, ამ კონვენციის საფუძველზე, მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ქართულ მრავალხმიან სიმღერას მიენიჭა.

ენო ჯაფარიძე

„ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული წესი აღიარეს, როგორც უნიკალური მოვლენა“



„ინბლისელი“ იუპიტერი სარუქრად

კემბრიჯის არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმს იუპიტერის რომაული ქანდაკება აჩუქეს.

სკულპტურა II-IV საუკუნეებით თარიღდება და ერთ-ერთი უძველესია აღმოსავლეთ ინგლისში ნაპოუნ მსგავს არტეფაქტებს შორის.

მუზეუმისთვის გადაცემული რომაული ღვთაების სკულპტურა



კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ქანდაკებას ათწლიანი გათხრებისას (1997-2007) მიაკვლიეს. ის ნორფოლკის კირქვისგან არის გამოკვეთილი და დიდი მონუმენტის ნაწილია, რომელიც სხვადასხვა ფიგურისგან შედგებოდა. მათ შორის ლომის, სფინქსისა და გრიფონის. ზემო ნაწილში მათი თავები კარგად ჩანს.

მონუმენტის ფრაგმენტების კემბრიჯის არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმისთვის გადაცემა ჰანსონ ეგრიგეტსმა გადაწყვიტა. სწორედ ის ფლობს კემბრიჯში, ჰანტინგდონის ოლქში, კოლნ ფენის ახლოს მდებარე ეართის კარიერს, სადაც არქეოლოგებმა არტეფაქტებს მიაკვლიეს.

მეცნიერები ამბობენ, რომ ეს არაჩვეულებრივი აღმოჩენაა. სკულპტურას რომ რეალისტური იერი შეეძინა, მოქანდაკემ იუპიტერის

კემბრიჯის არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმი



თვლები ფერადი პასტით შეაფერადა. არქეოლოგებმა ამ ეტაპზე რომაული ღვთაების მხოლოდ თავს მიაგნეს. სხვა ფრაგმენტები ადგილზე არ აღმოჩნდა, იმის მიუხედავად, რომ ტერიტორია გულდასმით შეისწავლეს. სწორედ ამიტომ, ფიქრობენ, რომ ფრაგმენტი აქ არც ისე შორიდან, ჰანტინგდონიდან ჩამოიტანეს. სპეციალისტების ვერსიით, სკულპტურა, რომელიც მონუმენტის ნაწილი იყო, ამ შემთხვევაში საფლავის აღმნიშვნელად (მარკერად) გამოიყენეს.

კრისტოფერ ევანსი, კემბრიჯის არქეოლოგიის განყოფილების სპეციალისტი: „ეს საოცარი აღმოჩენა იყო და სასიამოვნოა, რომ მისი ნახვისა და შეფასების შესაძლებლობა უკვე ფართო საზოგადოებასაც ექნება“.

ადგილს, სადაც იუპიტერის სკულპტურას მიაკვლიეს, „ემპ გრაუნდის“ სახელით იცნობენ. აქ დასახლების კვალი ჯერ კიდევ ძვ. წ. I საუკუნიდან ჩანს. თუმცა მან განსაკუთრებული მნიშვნელობა რომაულ პერიოდში შეიძინა, როცა რომაული სავაჭრო გზის ნაწილი გახდა. ის წარმოადგენდა შიდა პორტს, სადაც ორმოცდაათიდან ორასამდე ადამიანი ცხოვრობდა.

სოფლის პორტს ჰქონდა არხები დოკში შესასვლელად, სადაც ნაუბი ახლაც დაცურავენ. აქვეა ნაგებობათა ნაშთები, რომელთაც საოჯახო სტრუქტურა არ აქვს. მათ შესაძლოა ზღვით გადასაზიდი საქონლის საწყობებად იყენებდნენ.

იუპიტერის სკულპტურა კემბრიჯის არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმის გალერეაში 10 დეკემბრიდან გამოიფინა.

მომზადებულია BBC-ის მიხედვით

ეთნოლოგთა ორი თაობის „დათვალიერება“ ქართული მითის, კულტისა და რიტუალების სიღრმეებში...

გამოჩენილი ქართველი ეთნოლოგის, ირაკლი სურგულაძის ხსოვნას ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენცია „მითი, კულტი, რიტუალი“ მიეძღვნა. ორდღიან თემატურ კონფერენციაში ორმოცამდე მკვლევარი მონაწილეობდა. მოხსენებები მოიცავდა რელიგიის კვლევის საკითხებს — არქეოლოგიური პერიოდიდან თანამედროვე საქართველოში მიმდინარე რელიგიურ პროცესებამდე.

ეთნოლოგ ირაკლი სურგულაძის სამეცნიერო ნაშრომებში ასახულია წარმართული და ქრისტიანული კულტურის ურთიერთმმართველობის საკითხები.

ქართველმა მეცნიერებმა — ნინო მინდაძემ, ელდარ ნადირაძემ, მანანა ხიდაშელმა, ნანა ხაზარაძემ, თამილა მგალობლიშვილმა, ნინო აბაკელიამ, როზეტა გუჯეჯიანმა და სხვებმა განიხილეს მითებთან, კულტებსა და რიტუალებთან დაკავშირებული არაერთი საკითხი. მაგალითად, მითისა და ფენტეზის ურთიერთკავშირი, მეფე და სიზმარი ძველ სამყაროში, მიწის სიმბოლური გააზრება, კოლხური ცულების სარიტუალო ფუნქცია, მაგიურ-რელიგიური მკურნალობის ტრადიციები...

თავიანთი ნაშრომები, მეცნიერთა უფროს თაობასთან ერთად, წარმოადგინეს ახალგაზრდა სპეციალისტებმა. გამოითქვა მოსაზრება კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებათა კრებულის გამოცემის შესახებ, რაც ბუნებრივია, დაინტერესებულ მკითხველთა ფართო



ირაკლი სურგულაძე

აუდიტორიას საშუალებას მისცემს, გაეცნოს თანამედროვე მეცნიერთა უახლეს ნაშრომებს. მით უფრო, რომ ეს ნაშრომები მოიცავს ისეთ „ილუმალ“ თემებს, როგორცაა მითი, კულტი და რიტუალი.

ქეთევან სუციშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ახალგაზრდა სპეციალისტთა ნაშრომებმა მეცნიერთა უფროსი თაობის მოწონება დაიმსახურეს



ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

პალიტრა მედია გისმენთ!..



ღარაკეთ: 219 60 13



მომგვწერეთ: contact@palitra.ge

ან: „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით

ენა და კულტურა ქართულ-თურქულ ურთიერთობაში

სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრში წლის ბოლოს თავი მოიყარეს თურქეთის ქართული სათვისტომოების, კულტურისა და ხელოვნების სახლების წარმომადგენლებმა, თურქეთის სხვადასხვა რეგიონის მკვიდრმა ქართველებმა, საქართველოდან მიწვეულმა მეცნიერებმა.



სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრის საგამოფენო დარბაზში



როინ მალაყმაძე, როზუტა გუჯეჯიანი, ორჰან ბერიძე



სტუმარ-მასპინძლები სტამბოლის წმინდანის კოლოხის სახელობის ეკლესიაში წირვას სამეცნიერო კონფერენციის დაწყებამდე დაესწრნენ, რომელიც ალაველინა მისმა ღვთაებრივმა ყოვლადუწმინდესობამ, მთავარეპისკოპოსმა კონსტანტინოპოლისა — ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქმა ბართლომე I-მა.

დიდემ ჯოშკუნი (ანატოლიის ფოლკლორის საზოგადოების ხელმძღვანელი): „კონფერენციის მნიშვნელობაზე მისივე სახელწოდებაც მეტყველებს — „ენისა და კულტურის საკითხები ქართულ-თურქულ ურთიერთობებში“. ამ მიმართულებით თურქეთსა და საქართველოში ბოლო დროს ბევრი რამ კეთდება და ეს, პირველ ყოვლისა, ორივე ქვეყნის დამსახურებაა“.

ფეჰმი უზალი (უსტიაშვილი), სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი: „ეს გახლავთ ერთგვარი შემაჯამებელი შეხვედრა, რომლის მიზანიც თურქეთის ქართველთა ეთნიკური და ენობრივი იდენტობის გადარჩენაა, მათი კულტურული ინტეგრაცია საქართველოს საზოგადოებასთან. აგრეთვე, რელიგიურ პრობლემათა მიზეზების გამოკვეთა და მათი დაძლევის მექანიზმის შემუშავება“.

მანანა გურგენიძე, დედაენის კურსის პედაგოგი სტამბოლის ქართული კულტურის სახლში, კონფერენციის წამყვანი: „ჩემს თავს სადღესასწაულო სადამოს წამყვანს უფრო ვუწოდებ, რადგან დღევანდელი შეხვედრა ამის საშუალებას მაძლევს. საერთოდ, ყოველი

საქართველოს ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში, ბ-ნი ირაკლი კოპლატაძე და სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის დამფუძნებელი გიორგი ირემაძე

ასეთი შეხვედრა კიდევ უფრო გვაახლოებს ერთმანეთთან ერთი ფუძის მქონე ორი ქვეყნის წარმომადგენლებს“.

საკონფერენციო დარბაზში გამოფენილი იყო თურქეთში გამოცემული წიგნები საქართველოს შესახებ, ასევე ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ფოტოები, საქართველო-თურქეთის სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობის ამსახველი მასალები.

თურქეთის მხარეს წარმომადგენდა მთარგმნელი და პოეტი ორჰან შარადლი (ბერიძე), პუბლიცისტი მუსტაფა იაკუთი (გურამ ხიმშიაშვილი) და მთარგმნელი და მკვლევარი ეშრეფ ილმაზი (მახარაძე). საქართველოს მხარეს — ეთნოლოგი პროფესორები როზეტა გუჯაჯიანი და როინ მალაყმაძე.

კონფერენციაზე დასასწრებად ანკარიდან საგანგებოდ ჩამოვიდა საქართველოს ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში ირაკლი კოპლატაძე მეუღლესთან, ქართულ-თურქულ ურთიერთობათა ცნობილ მკვლევართან, ირინე გოიაშვილთან ერთად.

კონფერენციის დასრულების შემდეგ მისი მონაწილენი მიიწვიეს სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის დამფუძნებლებმა,



ქართული ხელოვნების სახლის კონცერტი. ხელმძღვანელი — იბერია მელაშვილი

გიორგი ირემამძე და იბერია მელაშვილმა. აქ გამართულ კონცერტზე მუსიკოსებმა, ქართველ, ყაზარდოელ, ჩერქეზ, ადიღელ და ოს მუჰაჯირთა შთამომავლებმა შეასრულეს კავკასიური ხალხური მუსიკის ნიმუშები. კონცერტი ქართული ხალხური სიმღერით დაასრულა ახალგაზრდა ქართველმა ისტორიული ტაოდან, ონურ სარიქაიამ.

სალომე შოშიტაშვილი

ლეოპარდის ფრესკა ტრიპოლისიდან

თურქეთში, დენიზლის პროვინციაში, უძველეს ქალაქ ტრიპოლისის გათხრებისას, მაღაზიის კედელზე, რომელიც III საუკუნით თარიღდება, ლეოპარდის ფრესკა აღმოაჩინეს. პამუკკალეს უნივერსიტეტის პროფესორი ბაჰადირ დუმანი ამბობს, რომ რომაულ ეპოქაში მდიდრულ შენობათა კედლებს ფრესკებით ამკობდნენ. მხატვრები გამოსახავდნენ როგორც ცხოველებს, ასევე მცენარეებსაც.

ბაჰადირ დუმანი: „ჩვენ მივაკვლიეთ მაღაზიის ორ შენობას, რომლებიც III საუკუნით თარიღდება. ისინი ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე ააგეს. კედელზე ნაპოვნი ლეოპარდის გამოსახულება კი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია და ადასტურებს, რომ რომაულ ეპოქაში კედლებზე ცხოველებსა და მცენარეებს გამოსახავდნენ“.

ლეოპარდის უძველეს ფრესკას ზოლო-

უძველესი რომაული საჯაჭრო ობიექტის კედელზე გამოსახული ლეოპარდი

გებიც შეისწავლიან. არ არის გამორიცხული, იგი მხარის სიმბოლოდაც იქცეს. რომაული ეპოქის ქალაქის გათხრები დენიზლის პროვინციაში, ბულდანის რაიონში ახლაც მიმდინარეობს.

მომზადებულია Archaeology Magazine-ისა და hurriyetdailynews-ის მიხედვით





ღვინსსწაულები ძველ საქართველოში

ძველ საქართველოში საახალწლო (უფრო სწორად, შობა-ახალწლის) სამზადისი მთელ ქვეყანას მოიცავდა და შობამდე კარგა ხნით ადრე იწყებოდა.

საშობაოდ რომ ღორები დაიკვლევოდა, ალილოთი რომ ჩამოივლიდნენ ზარისხმიანი მეალილოები და ქვეყანას ქრისტეშობას მიულოცავდნენ, თავადაც გალადდებოდნენ და სხვათაც გაალადდებდნენ, საშობაო ხსნილითა და საგანგებო ღვინით უფალს, სახლ-კარსა და ქვეყანას დალოცავდნენ, ცოტას შეისვენებდნენ და ახლა საახალწლო სამზადისს შეუდგებოდნენ.



**თავადობა — საახალწლო
საჩუქრად**

სამეფო კარსა და მის ბინადართ სადღესასწაულოდ „რთავდნენ“. საამისოდ ყველას „თავისი წილი“ ძღვენი უნდა მოეტანა: „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, მოლარეთუხუცესს უძვირფასესი ნოხ-ფარდაგები მოჰქონდა, მონადირეთუხუცესს — ახალი სამოსი მეფისა და მისი ჯაღაბისთვის. მსახურეთუხუცესი სახეიმოდ გააწყობდა სასახლეს. სადღესასწაულო სამოსში მორთუ-

ალილო დღეს მთელ ქვეყანაში აღინიშნება საქართველოს საპატრიარქოს კურთხევი. ოღონდ ტრადიციული სიგან განსხვავებით, იგი შობის ღამის ნაცვლად, დღით იწყება და მასობრივ-სახალხო რივის ხასიათისაა, იმავდროულად — საქველმოქმედო. ალილოზე შეგროვებულ საჩუქრებს უპოვრებსა და ობოლ ბავშვებს ურიგებენ

ლი მეფე ტახტზე დაბრძანდებოდა, ვაზირთა შორის უპირველესი, მწიგნობართუხუცესი ცისკრის ლოცვის დაწყებამდე უკვლევდა მეფეს ჯვრით, ხატით, ძვირფას ნივთებს მიართმევდა და ტკბილეულით დააბერებდა. მეფეს წინ საახალწლო ტაბლას დაუდგამდნენ, რომელსაც ველური ტახის თავი ამშვენებდა. მეფის გარშემო რიგის მიხედვით იკავებდნენ ადგილს ძლიერნი ამა ქვეყნისანი, — „მკერვალთუხუცესი და ტყის მცველნი დასხდებიან და მჭელადეთუხუცესნი დგანან“.

საახალწლო მილოცვები წირვის შემდეგაც გრძელდებოდა: მეჯინებეთუხუცესს ძვირფასი უნაგირითა და ოქრო-ვერცხლით აღკაზმული ცხენი მოჰყავდა; ბაზიერეთუხუცესი ველური ტახის მოოქრულ თავსა და ქორ-შავარდნებს მიართმევდა; ამირსპასალარსაც ცხენი მოჰყავდა, ოღონდ ბურთითა და ჩოგნით; დადიანი სამ ცხენს მოუძღვოდა, მათ შორის „ორი უკეთესი და ერთი სატალახე“ უნდა ყოფილიყო; ჯაგლაგი ცხენები ერისთავებს მოჰყავდათ, თუ რატომ, ამას ქვემოთ შეიტყობთ; მომლოცველებს ადრეულ საუკუნეებში ისარი უნდა მიერთმიათ მეფისთვის, შემდგომ კი — ტყვია. თან დალოცავდნენ, ამ ისარმა (ტყვიამ) თქვენი ორგული განგმიროსო...

შემდგომ სამეფო კარზე დიდებულნი მოდიოდნენ, სულ ბოლოს სპანი და ლაშქარნი. ყველა ულოცავდა მეფეს, მის ჯაღაბსა და ერთმანეთს ბედნიერ ახალ წელს. რაღა თქმა უნდა, ლხინიც იმართებოდა, ლხინს კი გართობა მოჰყვებოდა. მოდღესასწაულეთ ართობდნენ მომღერლები, მუსიკოსები, მოცეკვავეები, მელექსე-მოშაირეები, მასხარებიც... ერთმანეთს ერკინებოდნენ ფალანგები ხალიჩაზე, ასევე იმართებოდა მრავალგვარი თამაში-შეჯიბრებანი...

მეორე დღე კი მთლიანად ნადირობას ეთმობოდა. ამ საქმეს უკვე ბაზიერეთუხუცესი განაგებდა. იგი წინა დღისით ერისთავთა მორთმეულ ჯაგლაგ ცხენებს დაახოცვინებდა და იმ მინდორზე დააყრუვინებდა, სადაც ჩვეულებისამებრ ნადირობა იმართებოდა.



„ოცდახუთსა დეკემბერსა, ქრისტე იშვა ბეთლემსა“

სანადირო „მოედანი“ შემოღობილი ყოფილა, ჭიშკარს მთელი ღამით დატოვებდნენ ღიას. ლემის სუნზე ნადირი (მელიები, ტურები, მგლები...) მოდიოდა, გამთენიისას ჭიშკარი იკეტებოდა და...

მიუახლოვდებოდა მეფე ამალით სანადირო მინდორს, გააღებდნენ ჭიშკარს და

გოზინაყის გარეშე საქართველოში ახალი წელი წარმოუდგენელია



დამფრთხალი ნადირი თავის საშველად გამორობოდა. ატყდებოდა ისრებისა და ტყვიების სროლა. ნანადირევი ყოველთვის უხვი იყო, რადგანაც ნადირი მტერთან ასოცირდებოდა. სჯეროდათ, რაც მეტს დახოცავდნენ, მით მეტ მტერს სძლევდნენ.

ახალი წლის დღეებში სამეფო კარი არა მხოლოდ თავად იღებდა საჩუქრებს, არამედ უხვადაც გასცემდა... სხვათა შორის, ამ „საჩუქრებში“ თავადობისა თუ აზნაურობის წოდებაც ერია.

არ იფიქროთ, სამეფო კარი მარტოოდენ ქეიფსა და ნადირობას უნდებოდა შობა-ახალწელს. სადღესასწაულო დღეებს სახელმწიფოს საანგარიშო დავთართა მკაცრი გასინჯვა-შემოწმება მოჰყვებოდა და არც ამ საქმეში გამოვლენილ „დამრღვევთა“ დასჯას ერიდებოდნენ...

„შობას მხიარულ არს ქვეყანაი“

ეს რაც სამეფო კარზე ხდებოდა. ახლა ოჯახებში აღარ იკითხავეთ? შობა-ახალწლისთვის მართლა მთელ წელიწადს ემზადებოდნენ. ღვინით დაწყებული, ტკბილეულით დასრულებული, ყველაფერი გამორჩეული უნდა ყოფილიყო. შობა-ახალწლის ღვინო ოჯახებსაც გადანახული ჰქონდათ და ეკლესიებსაც... სადღესასწაულო წირვა-ლოცვისთვისაც ხშირად მთელი სოფლები ერთად მიდიოდნენ, შესაწირავსაც უძღვნიდნენ ტაძრებსა თუ უპოვართ...

საყოველთაო ხსნილის სადღესასწაულო დღეებს ქრისტეწობებს, ანუ შობა-ახალწელს უწოდებდნენ მთაში. ამ დღეებში მზეც კი ვერძის სამ ნახტომს აკეთებდნენ, იტყოდნენ. იოანე ოქროპირის ნათქვამს თუ დავიმოწმებთ: „შობას მხიარულ არს ქვეყანაი, რამეთუ ადამის შემქმნელი იშვა დღესა ამას ადამისაგან“. საშობაოდ მეალილოეებს ხშირად მღვდელი მიუძღოდა წინ ღვთისმშობლის ხატითა და ჯვრით. მერე ღორს დაკლავდნენ. თავს საახალწლოდ შეინახავდნენ აუცილებლად.

ღორის დაკვლას ჩვენი წინაპრები ასეთ თქმულებას უკავშირებენ: წმინდა ბასილი სწირავდა თურმე ერთხელ და მის წინ ღორს გაურბენია. ღორს მუცელში ეშმაკი ჰყავდა და მისი ხორციც არ იჭმეოდაო. წმინდა ბასილი ჯვრით ხელში გასდევნებია და როცა ღორი წყალში უნდა გადამხტარიყო, კულზე ფეხი დაუბიჯებია. იმავე წამს ღორიდან ეშმაკი



საშობაო წირვის შემდგომ

გამომხტარა და წყალში გადავარდნილა. ბასილმა ღორი აკურთხა და ქრისტიანთ ამის შემდგომ საჭმელად დაუწესაო.

ერთი საყურადღებო დეტალი: როგორც ჩანს, ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ მზის წარმართული ღვთაება ბასილა წმინდა ბასილს „დაუკავშირეს“, ხოლო მზის ღვთაების მსხვერპლი, ღორი — შობა-ახალწლის სუფრას. თქმულებამ კი ეშმაკეულად მიჩნეული ღორი ეშმაკისგან „იხსნა“.

საახალწლო სუფრა

სუფრაზე პირველად ღვინით საგსე დოქს შემოდგამდნენ და გვერდით თაფლიან ჯამს დაუდგამდნენ ბარაქისა და სიტკობს დასაბე-

დებლად. საშობაოდ დაკლულ ღორის თავს მოხარშავდნენ, დიდ გობზე დადებდნენ, გარშემო სხვადასხვა ზომისა და ფორმის კოკრებს შემოუწყობდნენ და ისე მიუდგამდნენ ღვინიან დოქს. აღმოსავლეთ საქართველოში ინდაურს მრგვლად ხარშავდნენ, დასავლეთში — მიხაკ-დარიჩინიან საცოეს აშხადებდნენ. ასე რომ, ინდაურიც აუცილებელი იყო საახალწლოდ. იმერეთის ზოგიერთ სოფელში დედალ-მამალსაც მოხარშავდნენ საახალწლოდ, გურიაში — ყვერულს (გასასუქებლად დაკოდილ მამალს). ხილსა და ტკბილეულს ხომ სათვალავი არ ჰქონდა. აღმოსავლეთ საქართველოში ნიგვზის დამაქრულ ჩურჩხელებსაც შუმატებდნენ სუფრას, დასავლეთში — თხილის თხელ



საახალწლო სამზადისი

ჯანჯუხებსა და სანთელივით გამჭვირვალე ტკბილ კვერს.

სანამ ჩიჩილაკი და ნაძვის ხე შემოვიდოდა, მანამდე ხის დატოტვილ ჯვარზე წამოაცვამდნენ წითელ ვაშლებსა და საწესო პურებს, მხარზე გადაიკიდებდნენ და ისე შემოუვლიდნენ სახლსა და ბოსელ-ნაღიას. შობის ღამესვე სახლის დედაბოძს რომელიმე მარადმწვანე მცენარის ტოტებით მორთავდნენ.

საახალწლო შოთ-ლავაში, ნახუქები კვერები და ღვეზელები ხომ ცალკე თემაა. გურიასში მუცლის კოკრებსაც აცხობდნენ. ეს ყველითა და შუაზე გაჭრილი კვერცხის გამოტენილი პატარა კოკრებია. ღვეზელი კი მთვარის ფორმისაა, ისიც მოხარშული კვერცხითა და ყველით სავსე, ოღონდ სხვადასხვა ზომისა. ოჯახის თითოეული წევრის „ზომის“ მიხედვით. არც სტუმარსა და მეაღილოებს ივიწყებდნენ და „სასტუმრო“ და „სააღილო“ ღვეზელებსაც აცხობდნენ. ახლა ხაჭაპურებსა და ქაღებს აღარ იკითხავთ? ერთი სიტყვით, ქართველი დიასახლისი თავს არ დაიზოგავდა, სტუმარ-მასპინძლის თვალსაც ახარებდა და გულსაც...

ჩიჩილაკი ნელ-ნელა ისევ პოპულარული ხდება



ბედისკვერებსაც თითქმის ყველგან აცხობდნენ. ზოგი რომ კრუხ-წიწილის, ზოგი კომბლის, ძროხის ცურის, ხარის ქედისა თუ ნამგლის ფორმისა იყო...

შინ რომ იხეიძებდნენ, მერე სტუმრადაც მიდიოდნენ, საჩუქრები ურმებითაც კი მიჰქონდათ მოყვარე-ნათესავებთან.

„შემოდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი“

ახალი წლის უმთავრესი „სტუმარი“

მეკვლე იყო ოდითგან. ყველგან ცდილობდნენ, ოჯახისთვის სასურველ და ბედნიერ ადამიანს მოელოცა პირველს ახალი წლის გათენება. ხშირად ალაღობზე შემოადებდა ჭიმკარსა თუ კარს მეკვლე, რომლის დალოცვაც დაახლოებით ამგვარი იყო: — შემოდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა!..

მივიდოდა მეკვლე ბუხართან, აიღებდა დიდ მუგუნალს, გააყრევინებდა ნაპერწკლებს და შემოსძახებდა: — იმდენი სიხარული მოგცემოდეთ, რამდენიც ეს ნაპერწკლებიაო. ან კიდევ: — ამდენი ვაჟი, ამდენი ქალი, ამდენი ბარაქა და ოქრო-ვერცხლი დაგბედებოდეთო.

— ამინ, უფალმა გისმინოსო! — ეტყოდნენ მასპინძლები. სუფრასთან მიიწვევდნენ, ხშირად საჩუქარსაც უძღვნიდნენ, ჭიქას ან თასს (ზოგან ყანწსაც!) აუვსებდნენ და კერას კიდევ ერთხელ დაალოცვინებდნენ...

P.S. ხშირად მოისმენთ, ევროპელები და ამერიკელები ყოველთვის ცდილობენ, საშობაო არდადეგები აუცილებლად თავიანთ დიდ ოჯახთან ერთად გაატარონო. მაგრამ ბევრმა როდი იცის, რომ ცხრა მთას იქითაც რომ ყოფილიყო, საშობაოდ და საახალწლოდ ქართველი კაცი თავს მოიკლაგდა და თავის კერას აუცილებლად დაუბრუნდებოდა!.. სამახარობლოდ თოფსაც გაისვრიდა, აღმოსავლეთ საქართველოში მრავალჯამიერს დააგუგუნებდა, დასავლეთში კიდევ კოლხური ღვინის ღმერთის სადიდებელს, აგუნას შემოსძახებდა, სვანეთში — ლილეოს!..

შობა-ახალწლის ღამე კაცმა და პირუტყვმა თავის ფუძეზე უნდა გაათნოსო, — ასე სწამდათ.

ბედნიერი ახალი წელი გავგებებოდეს და საკუთარ კერაზე გვეზვიმოს, ქართველებო!..

როზაბა გუჯაჯიანი

ისტორიის დოქტორი, პროფესორი

მეცნიერებმა დაადგინეს, როდის ცხოვრობდა ბუდა

დღეს მსოფლიოში 500 მილიონზე მეტი ბუდისტია. ზუსტად არ არის დადგენილი, როდის ჩაეყარა საფუძველი ამ რელიგიას, თუმცა ეს ვითარება შესაძლოა შეიცვალოს. ნეპალში, ლუმბინიში გათხრებისას არქეოლოგებმა უძველეს ბუდისტურ ტაძარს მიაკვლიეს. ხის ნაგებობის ნაშთები ძვ.წ. VI საუკუნეს განეკუთვნება. ეს პირველი არქეოლოგიური მასალაა, რომელიც ბუდას ცხოვრებას უკავშირდება. მეცნიერები ფიქრობენ, რომ უძველესი სამლოცველოს ცენტრში ხე იდგა. ბუდისტური სწავლების თანახმად, როცა ბუდას დედა მშობიარობდა, ის ლუმბინის ხეობაში ხის ტოტს იყო ჩაჭიდებული.



ბუდას დაბადების ადგილი

ისტორიკოსების შეფასებით, აღმოჩენამ შესაძლოა წერტილი დაუსვას დავას, რომელ საუკუნეში ცხოვრობდა ბუდა.

ლუმბინიში ყოველ წელს ათასობით ბუდისტი მომლოცველი ჩადის, რადგანაც მიიჩნევენ, რომ სწორედ აქ დაიბადა სიდჰართა გაუტამა, რომელიც მოგვიანებით ბუდა გახდა. მისი ცხოვრების შესახებ არაერთი ტექსტისა და სწავლების არსებობის მიუხედავად, ამ დრომდე უცნობია, ზუსტად რომელ საუკუნეში ცხოვრობდა იგი.

მეცნიერთაგან ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ბუდა ძვ.წ. 623 წელს დაიბადა, თუმცა უმრავლესობა იმ აზრს ემხრობა, რომ ის, ძვ.წ. 390-340 წლებს შორის ცხოვრობდა. ლუმბინის მონასტრის აქამდე აღმოჩენილი ყველაზე ძველი ფენა ძვ.წ. III საუკუნეს, იმპერატორ აშოკის მმართველობის ხანას განეკუთვნებოდა. დაასრულებს თუ არა ახალი აღმოჩენა ამ დავას?

ლუმბინის ტაძრის ცენტრში რამდენიმეწლიანი გათხრების შემდეგ ხის ნაგებობა გამოჩნდა, ცენტრიც თავისუფალი სივრცით. ამ ხის ტაძარზე მოგვიანებით აგურით აშენდა მონასტერი, რომელიც ცენტრში დატოვებულ თავისუფალ სივრცეს ეკვროდა გარს. რადიოკარბონულმა ანალიზმა და მინერალების დათარიღების მეთოდმა აჩვენა, რომ ისინი ძვ.წ. VI საუკუნეს განეკუთვნება.

დარემის უნივერსიტეტის პროფესორი

რობინ კანინგჰემი ამბობს, რომ ეს მაია-დევის ყველაზე ძველი ტაძარია. ლუმბინიში ბრიტანელ და ნეპალელ არქეოლოგთა ჯგუფს სწორედ ის ხელმძღვანელობს. აღმოჩენა, ფაქტობრივად, ნათელს ჰფენს დიდი ხნის დებატებს ბუდიზმის წარმოშობის შესახებ, რაც ამ რელიგიის სხვადასხვა მიმდინარეობას შორის უთანხმოების მიზეზი გახდა.

ბუდიზმი, რომელიც რამდენიმე ასეულ მილიონ მორწმუნეს აერთიანებს, ინდოეთის ჩრდილოეთში ჩაისახა ძვ.წ. VI-V საუკუნეებში. მის დამაარსებლად საკიას ტომის უფლისწული სიდჰართა გაუტამა, ანუ საკია მუნი (განდევ-

ლუმბინი





ვაჯრაშილა — აქ, ბოდჰის ხის ძირას ჯდომისას სიდჰართა გაუტამამ გასხვოსნებას მიაღწია და ბუდა გახდა

მეფე აშოკას სვეტი ლუმბინიში



ლი საკიას ტომიდან) მიიჩნევა. მამამისი საკიას ტომის მეფე სუდოგანა იყო, დედა — მაია-დევი.

ბუდისტური სწავლების თანახმად, მამა უფლისწულ სიდჰართას ფუფუნებით ზრდიდა და ამქვეყნიურ ტანჯვასა და უბედურებას არიდებდა. ამის მიუხედავად, გაუტამამ ყველაფერი შეიტყო და შეცნობილმა რეალობამ შეაძრწუნა. მან მიატოვა სასახლე, მშობლები, ცოლი, ვაჟიშვილი და ბოროტების დათრგუნვის ხერხის საძებნელად გაემგზავრა.

გაუტამამ მრავალი მოძღვარი მოინახულა. ბოლოს, ერთ დამეს წმინდა ხის ქვეშ მყოფს ჭეშმარიტება ეუწყა და გახდა ბუდა (ბუდღა — განათლებული, გასხვოსნებული, სხვთფენილი).

ამის შემდეგ მან ხსნის შესახებ დაიწყო ქადაგება. მალე მრავალი მიმდევარი და მოწაფე გამოუჩნდა. მათ შორის იყო ანანდა.

ბუდა 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი ნემუტი თავყვანისცემის საგანი გახდა. თუმცა იმის გამო, რომ თავად არაფერი დაუწერია, მისი მოძღვრების ირგვლივ დაუა გაჩაღდა. ჭეშმარიტების დასადგენად კრებებს იწვევდნენ. მათ შორის უმთავრესია ძვ.წ. 250 წელს, პაშალიპუტრაში, მეფე აშოკას დროს გამართული კრება. ამ კრების დადგენილებით ბუდიზმი, რომელიც მანამდე იდევნებოდა, სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

სწორედ იმ დროს შეიქმნა ბუდას მოძღვრება წერილობითი სახით. მოძღვრება სამ ნაწილად — სამ ტიპიტიკად (სიბრძნის კალათა) დაიყო: 1. სუტრა (მოძღვრება); 2. ვინაია (დისციპლინა) და 3. აბჰიდაკარა (მეტაფიზიკა).

ბუდიზმის გასავრცელებლად მეფე აშოკამ მისიონერები სხვა ქვეყნებშიც გაგზავნა. თუმცა შემდეგ ინდოეთში კვლავ ბრაჰმანიზმმა მოიკრიბა ძალა და ბუდიზმი ძალიან შეუვიწროვდა. დღეს ინდოეთში მხოლოდ 4 მილიონამდე ბუდისტია, სამაგიეროდ, იგი ყველაზე გავრცელებული რელიგიაა შრი-ლანკაში, მიანმაში (ყოფილი ბირმა), ტაილანდში, კამბოჯაში, ვიეტნამსა და ლაოსში. ბუდისტები მრავლად არიან ჩინეთში, იაპონიაში, კორეასა და მონღოლეთშიც.

ლუმბინიში, ხის ძველი ტაძრის ნაშთების გარდა მეცნიერებმა მის ცენტრში ხის ფესვების ნარჩენებიც აღმოაჩინეს, რაც მათ საფუძველს აძლევს ივარაუდონ, რომ სწორედ აქ იზრდებოდა ხე, რომლის ქვეშაც ბუდა დაიბადა.

მომზადებულია BBC-ისა და CNN-ის მიხედვით

ფიროსმანის კიდევ ერთი უცნობი ნახატი?

2012 წელს საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის სიბველეთსაცავმა საინტერესო ფერწერული ტილო შეიძინა. ტილომ თავიდანვე მიიქცია ყურადღება, როგორც ფიროსმანის ან სულ ცოტა, მისი წრის წარმომადგენელთა ნამუშევარმა. თუმცა ნახატზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ და მისმა ანალიზმა გვაფიქრებინა, რომ უფრო ნიკალას ფუნჯთან გვაქვს საქმე, ვიდრე მის მიმბაძველთან.



სურ. 1

ნამუშევარი შესრულებულია ოვალური ზომის თუნუქის ფურცელზე (დიამეტრი 50 სმ), რომელიც უკან მთლიანად დაჭანგულია, გამყიდველის თქმით, ნესტიან სარდაფში დიდი ხნის დების შედეგად.

ნახატის ზედაპირზე წარმოდგენილია მამაკაცის პორტრეტი, რომელიც ჩიბუხით თამბაქოს ეწევა. მის თავს ზემოთ რკალისებურად შესრულებულია რუსული წარწერა

ПРОДАЖА ТАБАКУ И ПАПИРОС (სურ. 1).

ზემოაღნიშნული მოსაზრების განმტკიცებას ნახატის დაწვრილებითი აღწერითა და მისი ცალკეული დეტალის შედარება-ანალიზით ვეცდებით:

1. ნამუშევარი წარმოდგენს თუნუქის აბრას. ეს გარემოება კი ფიროსმანის შემოქმედებისთვის უცხო არ არის. მართალია მისი საყვარელი მასალა იყო შავი მუშამბა, მაგრამ ცნობილია, რომ ფიროსმანის აბრები უმეტესად თუნუქზეა შესრულებული. მხატვარი ძალიან ხშირად დაკვეთით ასრულებდა აბრებს, ხატავდა დუქნებისა და სამიკიტნოების კედლებს (სურ. 2).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბრა უკანა მხნიდან საკმაოდ კოროზირებულია, რადგან ძველი პატრონის თქმით, ის დიდხანს ნესტიან სარდაფში დებულა. მეტიც, კოროზიის ლაქა ნახატის წინა მხარესაც გამოსულა (სურ. 3).

2. აშკარაა, რომ ჩვენს ხელთ არსებულ ნამუშევარზე ფიროსმანის მხატვრული ტექნიკის ბევრი თავისებურებაა დაცული. კერძოდ, ცნობილია, რომ ნიკალას სურათების უმეტესობა შესრულებულია ზეთის საღებავებით შავ მუშამბაზე, რომელიც ფონის ფუნქციასაც ასრულებს და ამასთანავე ხელუხლებლად არის დატოვებული თვით გამოსახულებებშიც. მხატვრული ტექნიკის თავისებურება ის გახლავთ, რომ ფიროსმანი ხატავდა ღია საღებავით მუქზე და არა პირიქით, როგორც ეს საყოველთაოდაა მიღებული. ჩვენს შემთხვევაშიც ამასთან გვაქვს საქმე. პორტრეტის მთელი შავი ფერი, კერძოდ, მწვევლი მამაკაცის ქული, პიჯაკი, წვერი და თვით ჩიბუხიც კი სინამდვილეში თუნუქის ფონია, რომელზეც



სურ. 2



სურ. 3




სურ. 4



სურ. 5



სურ. 6



სურ. 7

მამაკაცის სახე ფერადი საღებავებითა გამოყვანილი. ამდენად, ნახატი ზუსტად პასუხობს ფიროსმანისეულ ფრაზას: „მე მიყვარს შავი ფერი, მაგრამ არ მიყვარს შავი საღებავი“.

3. ჩვენს პორტრეტზე მწვეველი მამაკაცის სახის კონტურები და თვალები აშკარად მსგავსია ფიროსმანის სხვადასხვა ნამუშევრის პერსონაჟისა. შედარებას თვალებით დავიწყებთ:

ფიროსმანი თვალებს ორნაირად ხატავს. ერთ შემთხვევაში თვალის თეთრი გარსი და შავი გუგები („მეფხოვე“, „მეთევზე წითელ

სურ. 12



პერანგში“, „ქალი კათხა ლუდით“ (სურ. 4), მეორე შემთხვევაში კი შავი გუგის შუაში თეთრი წერტილი ემატება, რომელიც თვალს მეტ ფეექტს სძენს, შეიძლება ასეც ითქვას, რომ პერსონაჟს სიცოცხლის თავისებურ სხივს ჰმატებს („უშვილო მილიონერი და ღარიბი ქალი ბავშვებით“, „აქტირისა მარგარიტა“, „გოგონა საჰაერო ბუშტი“. სურ. 5). ჩვენი პორტრეტი მეორე შემთხვევის შესაბამისადაა დახატული.

პერსონაჟების შედარებითი ანალიზის დროს, თვალის მოხაზულობის კონტურთან ერთად, საყურადღებოა საღებავის ფერიც. ფიროსმანი ადამიანთა სახეების ხატვისას უმეტეს შემთხვევაში იყენებს კანის ფერსა და ვარდისფერს („ოთხი მოქალაქის ქეიფი“, „მოქალაქეთა ქეიფი ტყეში“, „ქალი კათხა ლუდით“ და სხვ. სურ. 6). თუმცა არაერთხელ გამოყენებულია აბსოლუტურად თეთრი ფერიც („უშვილო მილიონერი და ღარიბი ქალი ბავშვებით“). ჩვენი პორტრეტი სწორედ ამ მაგალითებს შეიძლება მივაკუთვნოთ (სურ. 7).

4. ნახატზე ძირითადი სივრცე ყვითელ ფერს უკავია. ფონად ამგვარი ყვითლის გამოყენება ფიროსმანისთვის უცხო არ არის. მაგალითისთვის: 1926 წელს გამოცემულ მხატვრის კატალოგში მითითებულია, რომ ავლაბარში ჩარქიანოვების ღვინის სარდაფში ყოფილა თუნუქის აბრა, სადაც ყვითელ

ფონზე დახატული იყო ღვინიანი ბოთლი გარშემო ლურჯი წარწერით. გარდა ამისა, ასეთი ყვითელი გვხვდება შემდეგ ნამუშევრებში: „მეარღნე“ (აქაც გამოყენებულია ფონად. სურ. 8); „კახეთის მატარებელი“ (აქ ყვითელი წარმოადგენს მთვარის შუქზე განათებული მიწის ფერს. სურ. 9); „ლომი და მზე“ (ყვითელია მზისა და მიწის ფერები. სურ. 10). ყვითელი ფერის მონასმები თითქმის ერთნაირია როგორც ჩვენს პორტრეტზე, ისე წითელპერანგაიან მეთევზის ქულზეც (სურ. 11).

5. საყურადღებოა ნახატზე წარმოდგენილი მამაკაცის ქუდის გაფორმების მანერა. მიუხედავად სიმკრთალისა, კარგად ჩანს, რომ ფესის ტიპის მაღალი შავი ქუდი თავიდან თეთრი წერტილებით დაწინწკლული ყოფილა. ეს მეთოდი ფიროსმანის კიდევ ერთ ნამუშევარზე გვხვდება. კერძოდ „მეხილე თათარი“ (სურ. 12). აქ გამყიდველის ქუდი მხატვარს, ისევე როგორც ჩვენს შემთხვევაში, მკრთალი თეთრი წინწკლებით გაუფორმებია. იგივე შეიძლება ითქვას ფიროსმანის ავტოპორტრეტზე, საერთოდ ამ ორ ნახატს შორის მსგავსება ძალიან დიდია. თითქმის ერთნაირი წარბები, თვალის კონტურები, ერთნაირად სამკუთხედი თეთრი პერანგი... ხოლო პიჯაკის გადანაკეცის კონტურები ორივე ნახატში ზუსტად მეორდება. იგივე შეიძლება ითქვას ყურის ფორმასა და ქუდის გაფორმების მანერაზე (სურ. 13).

6. ორიოდე სიტყვით ყურადღებას გავამახვილებთ მწვეველი მამაკაცის ჩიბუხიდან ამოსულ ბოლზე, რომელსაც ფიროსმანი ფართოდ, თითქოს ერთი ხელის მოსმით ხატავს. ასეთი კვამლი თუ ოხშიფარი გვხვდება მის ცნობილ ნამუშევარზე „რთველი კახეთში“, ხატვის იგივე სტილია მოცემული ჩიბუხის მწვეველი მწვემის პორტრეტშიც (სურ. 14).

7. ცნობილია, რომ ფიროსმანი ნახატის სახელწოდებას ხშირად ზედ ნახატზევე წერდა. მაგალითად, წარწერებია ისეთ ტილოებზე, როგორებიცაა „მეაქლემე თათარი“, „ცხენის ქურდი“, „ალექსანდრე გარანოვის პორტრეტი“ და სხვ. არცთუ იშვიათად წარწერა მოთავსებულია ნახატზე გამოსახული პირის ტანსაცმელზე ან მის სახესთან ახლოს („მამაკაცი ყანწით“, „გვიმრადეების ქეიფი“). ჩვენს შემთხვევაშიც ასე ყოფილა, კერძოდ, მწვეველი მამაკაცის ქუდთან ახლოს მარჯვენა მხარეს დღემდე შემორჩენილია თეთრი ასოების კონ-



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11





სურ. 13



სურ. 14



სურ. 15



სურ. 16

ტური, რომელიც საღებავის გადასვლის გამო დაზიანებულია. ასეთივე კონტური, უფრო სწორად, პირველი ასოს ზედა ნაწილი კარგად მოჩანს მარცხენა მხარესაც (სურ. 15).

8. საყურადღებოა ნახატის მთავარი, ე.წ. სააბრო წარწერა. იგი შესრულებულია წითელი, თეთრი და შავი საღებავით. ამავე ფერებს იყენებს ფიროსმანი „ლულხანა ზაქათალას“, „ცივი ლუღის“, „სააღდგომო ბატკანის“ აბრეზზე. ასოთა მოხაზულობა და ტონირების სისტემა კი აშკარად ისეთივეა, როგორიც ზემოხსენებულ ნამუშევრებზე. ჩვენ შევეცადეთ გამოსახული ასოები ერთმანეთისთვის შევკვადარებინა. მაგალითისთვის, აბრაზე „ჩაი — ლუღი“ ძირითადი წარწერა შავადაა შესრულებული, ე.წ. ჩრდილები კი ჩვენი შემთხვევის მსგავსად — წითლად. აბრაზე „ცივი პივა“ კი კარგად ჩანს, რომ მეორე წარწერა, ისევე როგორც მწვეელი მამაკაცისა, შესრულებულია თეთრად, ხოლო ჩრდილები გამოსახულია წითლად. ამდენად წარწერების შესრულების დროს ფიროსმანისთვის შავისა და წითლის, თეთრისა და წითლის მონაცვლეობა დამახასიათებელია და ამ მხრივ ჩვენი ნამუშევარი მხატვრისეულ მანერაში ჯდება (სურ. 16).

8. ჩვენს ნახატზე ფიროსმანს წერის დროს გრამატიკული შეცდომა აქვს დაშვებული — ПРОДАЖА ТАБАКУ И ПАПИРОС. ასეთივე შემთხვევა გვხვდება ნახატზე „უშვილო მილიონერი და ღარიბი ბავშვებით“ მაგალითად, აქ ფიროსმანი მილიონერს რუსულად МИЛЛИОНЕР-ის ნაცვლად МИЛАНЕРЬ-ს წერს.

ტილო ხელმოუწერელია, რაც არცთუ იშვიათია ფიროსმანის შემოქმედებისთვის. მუზეუმის კოლექციაში წარმოდგენილი ნამუშევარი ჯერჯერობით არც ტექნიკურადაა გამოკვლეული, არ მომხდარა არც მისი ქიმიური ანალიზი და არც აბრაზე წარმოდგენილ წარწერას ჩატარებია კალიგრაფიული ექსპერტიზა, თუმცა ნახატის ზედაპირული შესწავლა ცხადყოფს, რომ იგი საკმაოდ საინტერესო ნიმუშია და მისი კვლევა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

გიორგი კალანდია

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, პროფესორი



მას ჰქონდა ის სიბღიძრე, რას არ ერთმეოდა...

საქართველო ჭაბუა ამირეჯიბს ბამოეთისოვა

ჭაბუა ამირეჯიბმა არა მარტო ეპოქა შექმნა ქართულ მწერლობაში, თაგადაც იყო ადამიანი-ეპოქა. დიდგვაროვანი და მერე დროის შესაბამისად, დევნილი და მრავალგზის დაპატიმრებული, ორჯერ დახვერტამისჯილი, საერთო ჯამში 85 წლის პატიმრობისთვის განწირული. ავტორი „დათა თუთაშხიასი“ და „გიორგი ბრწყინვალისა“, „გორა მბორგალისა“ და კიდევ არაერთი საინტერესო მოთხრობისა... ჭაბუა ამირეჯიბი 13 დეკემბერს გარდაიცვალა.

მღუმარებაში გატარებული უკანასკნელი წლები ერთი წუთით არ ნიშნავდა დუმილს: მგონი, არც არავინ ჰქედა ყველა მტკივნეული მოვლენის საპასუხოდ ისე, ღალატის (ამ სიტყვამ კი დაკარგა ფასი, მაგრამ მაინც) დასაგმობად და ნამდვილი სამშობლოს მსახურების წასახალისებლად, როგორც ბატონი ჭაბუა.

ის დუმდა, მაგრამ კალამი არ ისვენებდა. შეფასებას მაშინაც კი თამამად აკეთებდა, როცა თითქმის ყველა ერიდებოდა. ამ მხრივ გამობრძმედილი იყო. რა უნდა ექნათ მისთვის მას მერე, რაც უკვე გადაიტანა: საკუთარი სიკვდილის განცდით დაწყებული და შვილის — ირაკლის სიკვდილით დამთავრებული... რით უნდა დაეშინებინათ? ვერც ვერაფრით,

რადგან იმ სვირინგისა არ იყოს, გულზე რომ ჰქონდა — თეთრი გიორგი, რაც ებადა — არ ერთმეოდა. იმიტომ რომ, არაფერი ყოფილა მატერიალური, სულს კი ის ვერ წაართმევდა, ვისაც არ უბოძებია.

ამ სულმა ჯერ კიდევ სულ ყმაწვილკაცს საშინელი გამოცდა მოუშადა და ჩააბარებინა კიდევც.

ჭაბუა ამირეჯიბის ავტობიოგრაფიადან:

„უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსზე ვიყავი. ომის დრო იყო. საღად მოაზროვნე, მამულიშვილურად განწყობილი სტუდენტობა იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ, რა საშუალებებითა და ხერხებით დასძრომოდა საქართველო რუსეთის იმპერი-



ჭაბუა ამირაგები

ის კლანჭებს. ყალიბდებოდა არალეგალური ორგანიზაციები და ერთ-ერთ ასეთში, კერძოდ, „თეთრ გიორგოში“, მეც ამოვყავი თავი. ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ამისთვის დაბადებული ახალგაზრდა კაცი — მხნე, განათლებული, „უშიში, ვითარცა უხორცო“ და თავდადებული მეტრძოლი მუსტაფა შელია. ორგანიზაციის მიზანი იყო შეიარაღებული აჯანყების გზით საქართველოში საბჭოთა წყობილების ლიკვიდაცია. ახალგაზრდები, გამოუცდელი, მხოლოდღა თავისუფლების წყურვილით აღჭურვილი მამულიშვილები ვიყავით და ცხადია, ჩვენი მიზანსწრაფვა კრახით დასრულდა.

1944 წლის აპრილში უშიშროების ჯარების „ტროიკამ“ ოცდახუთი წლის პატიმრობა მომიხაჯა მე, ხოლო დანარჩენი ცხრამეტი მონაწილიდან სამს დახვრეტა და სხვებს სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა ხვდა წილად. აქვე გახდა ცნობილი ჩვენთვის, რომ მუსტაფა შელია ჩეკისტებმა აყვანის ცდისას გამოასალმეს წუთისოფელს. ნათელში ამყოფოს მისი ამაყი, დაუმორჩილებელი სული მაღალმა ღმერთმა“.

მუსტაფა შელიას ხსონაც მკერდზე ჰქონდა იმ სვირინგით სამუდამოდ აღბეჭდილი... და კიდევ არაერთი ადამიანისა, რომელზეც თამამად იტყოდა: რომ არა ისინი, ვინ იცის, რა და როგორ წარმართებოდაო:

„მოვიდა დრო, როცა მეც გამოვიცვალე, მოვეშვი გაქცევებს, რეაბილიტაციას დაუწყველოდინი.

ეს დღეც მოვიდა. დაეუტოვე „ნაჩაღნიკს“ სხვადასხვა განაჩენით მოსჯილი ორი დახვრეტა, ოთხმოცდასამი წლის მოუხდელი პატიმრობა და დავბრუნდი სამშობლოში წყეული წარწერით მსჯავრდებულის ფორმულარზე მსხვილად, წითელი ფანქრით — БЕГЛЕЦ, СКЛОНЕН К БЕГСТВУ. იმ დრომ დამიტოვა დახვრეტილი მამა, ათწელიწადმოხდილი მოხუცი დედა, უმცროსი და — ნათია, უფროსი და — როდამი, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა, იყო ჩინებული ადამიანის, დიდი პოეტის, მიხეილ სვეტლოვის მეუღლე. მისი გარდაცვალებიდან ორი თუ სამი წლის შემდეგ — მეუღლე არანაკლებ ჩინებული ადამიანისა და დიდი ფიზიკოსის, ბრუნო პონტეკორვოსი. ამის გარდაცვალების შემდეგ როდამი თბილისში გადმოსახლდა და აქვე აღესრულა, 1995 წელს, სამოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში. როდამმა არჩინა დედაჩვენი ათი წლის პატიმრობისას და თქვენი მორჩილი მონაც, როცა მეჯდომებოდა.

ვგულისხმობ ჯდომას გაქცევების დროის გამოკლებით. ძირითადად, როდამმა არჩინა ჩვენი უმცროსი და ნათიაც, რომელიც დეიდა-მამიდებთან იზრდებოდა“.

როგორც მწერალს, ისედაც ყველა იცნობს და ალბათ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მის კალამს საქართველოსთვის. როგორც პიროვნებას ბევრი იცნობს, ბევრიც — ვერა, ბევრს საბჭოთა დემაგოგიიდან მოყოლებული ჭორობის კვალი ნაჭდეფით ადევს სულზე. ის კი — ჭაბუა ამირაგები მშვიდად იყო: არჩევანი დიდი ხნის წინ გააკეთა, სამშობლოს ხანგრძლივი სიცოცხლითაც ერთგულებდა. გიორგი შენგელაიამ „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობაში“ გადაიღო — თავადი, რომელიც პურის ყანას მკის შვილებთან ერთად, დაღლილ და გაოფლილ სხეულს აქაც თან სდევს დიდებული იერი და ქვეყანაზე ფიქრით დაღარული შუბლის (ეს ჩვენი თავადობის უტყუარი ნიშანი იყო იმ დროს, როცა თავადები თავადობდნენ და ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში მონაწილეობდნენ) სიმძიმე (სულიერი, ცხადია). ჭაბუა ასეთი იყო. ექვსი შვილის მამა, საქართველოზე მოფიქრალი.

ტყუილად არ დაუსვა საკუთარ თავს ასეთი კითხვა:

„— და ბოლოს, როგორ მოიქცეოდი, სი-



უკანასკნელ გზაზე

ცოცხლის თავიდან გამოვლა რომ დაგჭირ-
ვებოდა.

— 1944 წლის 10 აპრილს ტროიკის თავ-
მჯდომარემ, გვარად ბურდულმა, მკითხა: —
რომ გაგათავისუფლოთ, როგორ მოიქცევითო.

არ დაუფიქრებულვარ, მიუუგე:

— როგორც აქამდე მოვიქეცი, ისევ ისე-
მეთქი. მე არ მივეკუთვნები იმ ადამიანთა
რიცხვს, ვისაც საკუთარი წარსულისადმი
სინანული აწამებს. ვიცხოვრე, როგორც მა-
ღალმა ღმერთმა ინება, ისე. ბედისწერით კმა-
ყოფილი ვარ, თუმცა, შესაძლოა, ცხოვრებას
უკეთესი მიმართულება მიეღო.

გვ არი. ეს „უკეთესი“ როგორი იქნებოდა,
წარმოდგენილი ვერა მაქვს. საერთოდ, რას
ნიშნავს უკეთესობა? მე არასოდეს მქონია
დიდი მადა და მოთხოვნილებები. კმაყოფილი
ვიყავი და ვარ ამით, რასაც ღმერთი იმეტებს.
დიდხანს ვიცოცხლე. ბევრი ვნახე. მიუტყვე-
ბელი ცოდვები არ მადევს.

მტრები მყოლია, მყავს ამჟამადაც, მაგრამ
ისინი ჩემზე სუსტები იყვნენ და არც ახლა
არიან „ყარამანები“. პატვისმცემლები მუდამ
მყავდა, ახლაც მყავს და დარწმუნებული ვარ,
სიკვდილის შემდეგაც მეყოლება. გააჩინე და
გავზარდე ექვსი შვილი. დაურგე ოცდაათამდე
ხე. მყავდა და მყავს ერთგული მეგობრები.

დავწერე და ვწერ, რაც შეეძელი. თუ ხე-
ლახლა მომიწია ცხოვრების დაწყებამ, ახალს
არაფერს ვიზამ — ვიცხოვრებ, როგორც
ვიცხოვრე“.

ბედნიერი კაცის სიტყვებია! მიუხედავად
იმ მძიმე ჭრილობებისა, რაც ცხოვრებამ
მიაყენა, რაც წართვევს, რითიც სიცოცხლე
გაუმწარეს... ბედნიერი კაცის სიტყვებია,
რადგან მას ჰქონდა ის, რაც არ ერთმეოდა
— სულიერი საქართველო საკუთარ არსება-
ში და საქართველო — საზრუნავ-საფიქრალი
იმ სივრცეში, სადაც ცხოვრობდა და წერდა.

ლელა ჯიყაშვილი



რეპორტაჟი გიორგია

საფანჯარის ტბის სანაპიროს ქართველებით დასახლებული ამავე სახელწოდების ქალაქი სავარაუდო კურორტად ქცეულა

„შორეული სამშობლოს სურნელი“

ერთი თვე მარმარილოს ზღვის სანაპიროს თურქეთში ქართველებთან

თურქეთელი ქართველები კვლავაც ჩვენი მასპინძლები არიან. თანდათან ვშინაურდებით, ჩვენი შეხვედრები მარმარილოს ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ქართული წარმომავლობის მუჰაჯირთა შთამომავლებთან უფრო გულითადი ხდება.

მოგზაურობის წინ კიდევ ერთხელ გადავვლეთ თვალი თურქეთსა და ევროპაში გამოცემულ ლიტერატურას იმ მიწა-წყლის შესახებ, სადაც დამკვიდრებულან ჩვენი თანამოძმენი. ისინი თურქეთის სახელმწიფოს მოქალაქეები არიან და ბუნებრივია, მათ ქართველობასა და ფესვებზე წერას თურქეთში თავს არიდებენ. თუმცა ამ ბოლოხანს გამოჩნდნენ მუჰაჯირთა შთამომავლები, მეცნიერები და მწერლები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში სწორედაც რომ ქართულ წარმომავლობას, მამა-პაპათა ლტოლვილობაში ყოფას თუ განცდებს გადმოსცემენ.

„მონატრებაში გაილია ჩემი ცნობრება“

თურქეთელი ქართველი მწერლების — ქვესერ რუხის (ქეთი ხანთაძის) და ფარნა-ბექა

ჩილაშვილის (ფაპრეთდინ ჩილოღლუ) მოთხრობები და ლექსები აღსავსეა საკუთარი ფესვების მონატრებით, ისტორიული სამშობლოს, თავისი ბუდე-სოფლის, მინდორ-ღელის, სახლ-კარის ხილვისა და მოფერების, თანამოძმეთა გაცნობისა და დაახლოების სურვილით. სხვადასხვა დროს მეც არაერთგზის შევსწრებოვარ მათთან შეხვედრებს თბილისში, სტამბოლში, მეცნიერთა თუ სტუდენტთა გარემოში, აქაური და თურქეთელი ქართველების გარემოცვაში. მათ გამოვლას ყოველთვის სევდამორეული განწყობა ახლდა. მართლაც ძნელია მოუსმინო თითქმის საუკუნე-ნახევრის წინ საკუთარ მიწიდან მოწყვეტილ ქართველთა შთამომავალთ, რომელთაც ბოლო წლებამდე მხოლოდ წინაპართა მონათხრობით თუ შეეძლოთ თავისი „სამშობლოს სურნელის“ განცდა, ახლა

კი ორივე მხარის საბედნიეროდ, ამ სამშობლოში თავისუფლად შეუძლიათ ჩამოსვლა და თანამოქმედთათვის ფურცელზე გადატანილი თავიანთი გრძნობების გაზიარება.

...რამდენიმე წლის წინ თბილისში, სასტუმრო „რედისონში“, ერთ-ერთ საერთაშორისო ღონისძიებაზე ქვესერ რუხიმ თავისი ახალი მოთხრობა წაგვიკითხა. „გაღმა ნაპირი“ ერქვა ამ მოთხრობას. საკუთარი ფუძის საძებნელად დიდ წინაპართან, საუკუნეს მიტანებულ ხათუნა ბეოსთან მთიან აჭარაში ამოსულიყო პატარა გოგო, აქედან გახიზნულ ქართველთა შთამომავალი. ამოსულიყო, გული გაეთბო თვალებში სხვმინავლული დიდი ბებიათვის, მთელი სიცოცხლე გაღმა ნაპირისკენ, ფუძეაყრილ ახლობლებისკენ რომ ეჭვრა თვალი. გვიამბობდა ერთი ქართველი ქალის ტკივილიან ამბავს. ამ მოთხრობაში ასეთი სტრიქონებიც ვრია: „ქვეყნიერების ყოველ კუთხეში ბატკანი ერთნაირად კიკინებს, ბულბული ერთი და იმავე გალობით დახტის ტოტიდან ტოტზე, ძაღლი ერთნაირად ყეფს... არა, მთლად ასეც როდია საქმე... აქ, ამ მხარეში ყოველი სულიერი ორ ენაზე, სამ ენაზე ლაპარაკობს. ყველა მათგანი ვიცი... ქართული, ლაზური, თურქული... ყველა ენაზე ვისწავლე, როგორ გამოითქმის სიტყვა მონატრება! მაგრამ მონატრება ხომ მართო სიტყვა როდია... მონატრებაში გაიღია ჩემი ცხოვრება!.. გაღმა ნაპირის მონატრებაში!“

მახსოვს, განურჩევლად ყველას ცრემლი მოგვრეოდა თვალებზე...

არანაკლები მღელვარებით ხვდება ქართველი მკითხველი ფარნა-ბექა ჩილაშვილს. ეს კაცი ნამდვილი მამულიშვილია ორი ქვეყნისა, თურქეთისა და საქართველოსი. თურქეთში მცხოვრებ ქართველებს რომ უფრო იოლად ესწავლათ მამაპაპისეული ენა და კულტურა, საამისოდ უამრავი რამ გააკეთა. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ თარგმნა. თუმცა ეს უფრო ამ წიგნის სახელმძღვანელოდ ქცევის არცთუ ურიგო მცდელობა იყო. ახლა სტამბოლში, აგრეთვე ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ სოფლებისა და ქალაქების ქართული კულტურის კერებსა თუ საკვირაო სკოლებში ამ წიგნითაც სწავლობენ ქართულ ენას. მისი რედაქტორობით გამოდიოდა ქართულ-თურქული ჟურნალი „ფიროსმანი“.



ფარნა-ბექა ჩილაშვილი თავის სოფელში...



ქვესერ რუხი (ქეთი ხანთაძე): ლამის ყველა ენაზე ვისწავლე, როგორ გამოითქმის სიტყვა „მონატრება“...



ფარნა-ბექა ჩილაშვილი, ქეთი ხანთაძე და დათო ტურაშვილი სტამბოლში. ფარნამ დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობა“ თარგმნა თურქულ ენაზე

ფარნა-ბექა ჩილაშვილმა ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე ავტორების ნაწარმოებთა ერთი ნაწილიც თარგმნა თურქულ ენაზე და სამეცნიერო ნაშრომიც გამოსცა — „ქართველთა ისტორია“. მაგრამ როგორც თავად გვითხრა, ეს ძალიან ცოტაა და ამ მხრივ უამრავ საინტერესო პროექტზე მუშაობს.

„სენას თბილისზე არ ჩაუვლია“ — ასე ჰქვია ფარნა-ბექას ერთ-ერთ ლექსს, რომელშიც ისტორიული სამშობლოს მონატრებას შეეყვარებული პოეტი სენას „აბრალებს“. ამაში თავადვე დარწმუნდებით, თუ თქვენც წაიკითხავთ ამ მშვენიერ ლექსს, რომელიც ასე მთავრდება:

სენას არასდროს ჩაუვლია
თბილისის კართან,
არ მოუხილაგს დარდის სახესე
მიწა ქებული.
არც შენ გინახავს სენა, არც მე —
კასპიის ზღვა და
ზეცისკენ ვილტვით სიყვარულის
ცეცხლით გზნებულნი, —
ზაფხულის ღამით შენს თმებზე ვარ
დაკიდებული...
სენას ტკივილი მიტომ უვსებს
ღრმა გულის ფიცარს,
კიდით კიდემდე არ უზილავს
ქართული მიწა.

სადღებრეპლო შერბებით

ისტორიულ სამშობლოსთან მუჰაჯირთა შთამომავლების დაახლოების საუკეთესო საშუალება, ვფიქრობთ, მათი ერთი ნაწილის საქართველოში სასწავლებლად ჩამოსვლაა. გვითხრეს, ექიმები ცოტა გვყავს აქაურ ქართველებს, იურისტები და ქართული ენის მასწავლებლებიც გვჭირდებაო...

ქართველ მეცნიერებთან შეხვედრისას ბევრგან გაგვიმხილეს, ბედნიერი ვიქნებით, ჩვენმა შვილებმა უმაღლესი განათლება საქართველოში რომ მიიღონო. ასე იყო სოფელ ღაზელშიც, აბდულა თათაროღლუს სტუმართმოყვარე ოჯახში, სადაც ჩვენთან შესახვედრად რამდენიმე აქაურიც მოსულიყო. როგორც აბდულამ შემოგვიჩივლა, იცის, რომ მისი წინაპრები მთიანი აჭარის სოფელ ღორჯომიდან წამოსულან, მაგრამ მათი არც გვარი იცის და არც სახელები, თუმცა კი იმედი არ დაუკარგავს, რომ ადრე თუ გვიან მათ შესახებაც შეიტყობს რამეს.

მასპინძლებმა სახელდახელო სუფრაც გაგვიშალეს გემრიელად შეკაზმული ტრადიციული ლობიო-მხალათი და ჩვენთვის უცხო ბოსტნეულით, რომელსაც ბამაითს ეძახიან და ჩვენებურ ტკბილ, სამწნილე წიწაკას ჩამოკვავს. იყო სასმელი: ჩაი წელში გამოყვანილი მომცრო ჭიქებით, აირანი (ჩვენებური დო), ყურძნის წვენი (შერბეთი). იმდენად გული-

პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი: ქართველობა ჩვენი ერთიანობის საფუძველია!..





საპორტო ქალაქი გემლიკი

თადი შეხვედრა გამოვიდა, რომ დამშვიდობებისას, პროფესორ როლანდ თოფნიშვილს გულმა არ მოუთმინა და მოულოდნელად გადაწყვიტა სამადლობელი სადღეგრძელოთი გამოეთქვა. შერბეთით სავსე ჭიქა აიღო და ფეხზე წამოდგა. მასპინძლები გაოცებით მიაჩერდნენ, მათთვის უცხო იყო ამგვარი რამ, თუმცა კი ყურადღებით უსმენდნენ სტუმარს.

— თქვენებური შერბეთით მინდა ყველა დაგლოცოთ, — დაიწყო ბატონმა როლანდმა, — თქვენც და მთელი მარმარილოს ზღვისპირეთის ქართველობაც, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები. ვერ ვფარავ აქაური შეხვედრებით მოგვიღო სიხარულს. ამ შეხვედრებს ნაღველიც ახლავს იმისა, რომ ჩვენი სისხლი და ხორცი ჩვენგან შორს არიან, არცთუ ისე შორეულ წარსულში ერთმანეთის შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდით, ან სულაც არაფერი! მხოლოდ ფიქრში თუ გაგვექცეოდა და ოცნებაში მოვიფლიდით თქვენს სამყოფელს... საბედნიეროდ, გაღმა-გამოღმა ნაპირებზე მცხოვრებ ქართველებს ერთმანეთის ნახვის შესაძლებლობა მოგვეცა. ისიც კარგია, რომ თქვენ თურქეთის სანიმუშო მოქალაქეებიც ხართ და არც ფესვებს იფიწყებთ. სხვაგვარად არც შეიძლება. ჩვენც ქართველები ვართ და თქვენც... ეჭვი იმისა, რომ რელიგიური ფაქ-

ტორი გაგვითიშავს, უსაფუძვლოა... აღმსარებლობა თითოეულის პირადი საკითხია, პატივსაცემი და სათუთი გრძნობა, ქართველობა კი ჩვენი ერთიანობის საფუძველია... ჰოდა, ამ ქართველობას დაგილოცავთ ახალშეძენილო ძმებო და დებო...

ქართული სუფრისგან განსხვავებით, ბატონი როლანდის სადღეგრძელოს ტაში მოჰყვა... ასე ემოციურად გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. რა თქმა უნდა, თურქეთსა და საქართველოში შემდგომი შეხვედრების იმედით.

გემლიკი ანტიკური ქალაქია

გემლიკსა და მის ქართულ სოფლებში სამ დღეს დავრჩით. ეს საზღვაო და საკურორტო ქალაქი ბურსას ილში შედის და ამ უძველესი ძლიერი ქალაქის კარიბჭეს წარმოადგენდა ჯერ კიდევ ანტიკურ და უფრო ადრეულ ხანაში. ოღონდ ეგ არის, გემლიკის ადგილას უძველეს დროში ბერძნული ქალაქი ქიოსი ყვაოდა, ხოლო ბურსა ანტიკური პრუსას „შთამომავალია“.

ქიოსი მარმარილოს ზღვის ზვირთებისგან დაცულ მშვიდ უბეში მდებარეობდა. ჯერ კიდევ ძვ.წ. 625 წელს დაუარსებიათ როგორც პოლისი (იგივე ქალაქი) მილეტელ ბერძნებს. ათენელები, სპარტელები, მეგარელები ანტი-



გემლიკის მერი რეფიქ ილმაში ქართველ მეცნიერებს სუვენირებს გადასცემს

კურ კოლონიებს მთელ ხმელთაშუა და შავი ზღვისპირეთში აარსებდნენ. სწორედ მიღებული ბერძნებს მიაწერენ საქართველოშიც სოხუმისა და ფოთის „წინაპრების“ — ანტიკური დიოსკურიისა და ფაზისის დაარსებას. ბერძენთა მმართველობა ქიოსში ძვ. V საუკუნი-



ჩვენი ერთ-ერთი მასპინძლის, ჰენდექლი ბურჰან ფეჰლევანისთვის (ბოლქეაძე) ყველაზე დიდი საჩუქარი ქართული წიგნები აღმოჩნდა

დან წინა აზიაში იმ დროისთვის უძლიერესმა იმპერიამ, აქემენიდურმა ირანმა შეცვალა. საუკუნის შემდეგ კი, როცა დიდმა ალექსანდრე მაკედონელმა აქემენიდები გააცამბტვერა, ქიოსი კვლავ ბერძნულ სამყაროში დააბრუნა. ძვ.წ. II საუკუნიდან, ელინისტურ პერიოდში მარმარილოს ზღვისპირეთში ბითონიის სამეფომ იმძლავრა და გემლიკიც მეფე პრუსიუს I-ის ხელში გადავიდა. ამას ძვ.წ. I საუკუნიდან რომაული პერიოდი მოჰყვა. მერე უკვე იწყება თითქმის ათასწლოვანი ბიზანტიური ეპოქა და ქიოსი ბიზანტიის იმპერატორთა საზაფხულო რეზიდენციად იქცა. ქიოსი და მისი მიმდებარე სანაზები განთქმული იყო მეღვინეობითა და გემთმშენებლობით. ამის გამო იყო, რომ მან ერთგვარი ავტონომია შეინარჩუნა ოსმალთა პერიოდშიც. ანუ მას შემდეგ, რაც 1326 წელს ოტომანთა დამპარსებელმა ოსმან I-მა ეს სტრატეგიული ქალაქი ბიზანტიას წაართვა.

გემლიკსა და მის სოფლებში ჩვენი მასპინძელი, მიხრობელიცა და მეგზურიც ისმეთ ათიში იყო. ისმეთი მცირე ბიზნესსაც ქვევა და აქაურ ქართული კულტურის ცენტრ „დერნეგის“ ხელმძღვანელიცაა. სწორედ მისი თაოსნობით შევხვდით გემლიკის მერს, რეფიქ ილმაზს.

ბატონ რეფიქსაც ქართული ფესვები აღმოაჩნდა, მესხური წარმომავლობისა. თუმცა კი ქართული მის წინაპარს, ისევე როგორც თურქეთში მცხოვრებ მუსლიმ მესხთა უმრავლესობას, კარგა ხნის დავიწყებული ჰქონია. იერთა და გარეგნობით ქართველისგან ვერ გაარჩევდი. საქართველო-თურქეთის სამომავლო ურთიერთობაზე საუბრისას ქალაქის მერი თავის ფესვებსაც გადასწვდა. მისი მამა-პაპა სამხრეთ სამცხიდან, თურქეთის შემადგენლობაში მოხვედრილი ფოცხოვიდან ყოფილა. ეს ამჟამად საქართველოს საზღვრისპირა ქალაქი ფოსოფია. გამომშვიდობებისას გემლიკის მერმა ქართული გულუხვობით დაგვასაჩუქრა ქალაქში წარმოებული ზეთისხილის უგემრიელესი ნაწარმითა და სუვენირებით. ჩვენ წარმატება ვუსურვეთ მომავალ არჩევნებში და საქართველოსადმი მიძღვნილი ფოტოალბომიც ვუსახსოვრეთ. როგორც მოგვიანებით გავიგეთ, ამ ფოტოალბომმა გემლიკის მერი ჩვენი გამოძგზავრების შემდგომ თავის შობლიურ კუთხეში, სამხრეთ საქართველოში ჩამოიყვანა...

მრავალ ახალ წელს!..

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ქალაქებში, ახლებურად ეგებება ახალი წლის დადგომას. ცოტას თუ ახსოვს მამა-პაპათა ტრადიციული საახალწლო სამზადისი. თუმცა ზოგან ჯერ კიდევ ფრაგმენტულად შემორჩენილა ძველი წეს-ჩვეულებების ხსოვნა. მურღულის ხეობაში, ისევე როგორც ძველ საქართველოში, „ნამდვილ ახალ წლად“ ძველით ახალ წელს მიიჩნევენ. ახალი სტილით პირველ იანვარს კი „თურქულ ილბაშს“ (თურქულ ახალ წელს) უწოდებდნენ. იმათ ილბაშზე არაფერ არ ვიქმოდით, ჩვენ ილბაში სხვაა, ძველით ახალი წელიო, — გვითხრეს.

წინასახალწლო სამზადისი ერთი კვირით ადრე იწყებოდა. ხეებს ისე ეფერებოდნენ, როგორც ადამიანებს, უფრო კარგი მოსავალი გვექნება, ესენიც ცოცხლები არიან და მოფერება უნდათო. შემოდგომით ხეებზე აუცილებლად ტოვებდნენ ხილის ნაწილს, რომ მერე ახალი წლის წინა დღეებში მოეკრიფათ, — დამდვიე წელი ბარაქიანი იქნებაო. ცოტას ჩიტებსაც დაუტოვებდნენ, ავი თვალის ასაცილებლადაც.

გამორჩეულია საახალწლო სუფრაც. რაც



მთვალის (სამზარეულოს) გუგუმი, ანუ თუნგი ეზოს სამშენისად ქცეულია

უფრო ხვავრიელი სუფრა გექნება, ბარაქა და დოვლათი ოჯახში მეტი იქნებაო. მზადდებოდა ტრადიციული ტოლმა, ანუ სარმა. ჩვენებური ტოლმისგან იმით განსხვავდება, რომ შიგთავსი (ბრინჯში არეული დაბეგვილი ან დაკებილი ზორცი) კეჟერა ფხალშია გახვეული და აქაურებს ძალიან მოსწონთ, განსაკუთრებით იმ სოფლებში, რომლებიც ქობულეთ-ჩაქვი-მახინჯაურიდან წამოსულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ.

როგორც წესი, საახალწლო სუფრაზე უხვად უნდა იყოს მრავალფეროვანი ტკბი-

სუვენირები თურქეთიდან





კიდევ ერთ ჩვენებურ ეზოში

ლეული, რომელთაგან ყველაზე აუცილებელი ატრიბუტია აშურაი. ეს ნუგბარი დაბედას უკავშირდება. აშურაის სხვა დროსაც აშხადებენ, მაგრამ საახალწლოდ მასში აუცილებლად შვიდი კომპონენტი უნდა იყოს: თაფლი, თხილი, ნიგოზი, ქიშმიში, მოზარშული ხორბალი, შაქარი და ბროწეული.

მურღულელთა წინაპრების რიტუალებში აღილოსა და ბერიკაობის ერთგვარი ნაზავია. „ცამეტში საღამოს ვითომ ქათმებ მევიპარავდით, ახალ სიძეს და ახალ რძალს მოვრთავდით, პატარძალს ტუჩებს გოწწითლებდით, მოზრდილი ბიჭები მურს წავისვამდით, ეთითანე (ერთ-ერთ) ბიჭს გოგოს ტანსაცმელს ჩავაცმევდით, გარგნებს (კეტებს) გამოვთლიდით. მურწასმული ოთხი ბიჭი გარგნებს დევიჭერდით, ვინც გოგოს გეიტყუებდა ან ძალით

წეიყვანდა, საცემნელად მიდევდით. ამის შემდეგ კვარს დევიჭერდით ხელში და სიმღერით ყველა ერთად ხელგადახვეულები კარდაკარ ჩამევივლიდით, ვიმღერავდით. მოგვცემდნენ ფულს, კვერცხს, ერბოს, კაკალს, თხილს, ყველს, ტკბილეულს. დეილეოდა სახლები, ერთგან მევიყვებოდით და ვილხენდით“.

ბუჯერის თემში საახალწლოდ ძროხის კუდეებს ინახავდნენ გარგნებად, ხოლო ნიღბებს ძროხისვე ტყავიდან ჭრიდნენ. ოთხი-ხუთი კაცი „ყადი“ იქნებოდა, ერთსაც გოგოდ გამოაწყობდნენ. სიმინდის გალებს ჩამოიკიდებდნენ, ეჭვანსაც დაიკიდებდნენ, ხმა იყოსო და ასე ჩამოივლიდნენ კარდაკარ.

ახლანდელი საახალწლო საშხადისი ძალიან გათანამედროვეებულია. თუმცა აშურაის მაინც ვერ ელევან, იგი, როგორც ჩვენთან გოზინაყი, აქაც ყველა ოჯახში მზადდება. ვეროპული გავლენით, კარგა ხანია აქაც ნაძვის ხეს რთავენ და დიდი ოჯახებიც ცდილობენ, საახალწლოდ თავი ერთად მოიყარონ...

ბედნიერი ახალი წელი დადგომოდეს ჩვენს თანამომძე თურქეთელ ქართველებს შორს, ხმელთაშუა ზღვისპირეთში, ტაო-კლარჯეთშიც, ირანის ფერეიდანშიც, საინგილოშიც... ვინც ისტორიული სამშობლოს გარეთ ხვდება ახალ წელს, ამ სამშობლოს სიყვარულითა და მონატრებით...

ნოდარ შოშიტაშვილი

ისტორიის დოქტორი, პროფესორი (დასასრული მომდევნო ნომერში)



მარმარილოს ზღვისპირეთიდან (ქალაქი გოლჯუკი) ტარიელ ზოიძე (ზორლუ) „ისტორიანის“ მკითხველებს ახალ წელს ულოცავს

წმინდა გიორგის ყველაზე მასშტაბური კედლის მხატვრობა ბრიტანეთში



წმინდა გიორგის დრაკონთან შერკინების სცენა გამორჩეულია კონცეფციის სითამამითაც

დაუჯერებელი აღმოჩენა — ასე აფასებენ სპეციალისტები დიდ ბრიტანეთში, სამხრეთ უელსში, ისტორიულ გლამორგანში, ლანკარფანის წმინდა კადოკის სახელობის ეკლესიაში ნაპოვნ მხატვრობას. ყველაფერი მას შემდეგ მოხდა, რაც ტაძრის რესტავრატორმა, საკურთხევლის უკან, ხეზე, წითელი საღებავით გაკეთებული მკრთალი ხაზი შეამჩნია. დამატებითი გამოკვლევის შემდეგ გაირკვა, რომ კედელზე, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში კირქვის ფენით იყო დაფარული, წმინდა გიორგის დრაკონთან შერკინების სცენაა გამოსახული. ამავე კედელზე გამოსახულია შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა.

კედლის მხატვრობის სარესტავრაციო სამუშაოები თითქმის დასრულდა. სცენები, ფაქტობრივად, თავდაპირველ ფერებში აღადგინეს.

ჰიუ ჰარისონი, ტაძრის რესტავრატორი: „ამ ტიპის სცენები უელსის თითქმის ყველა დიდი ეკლესიის კედლებზე შეიძლება ნახოთ, მაგრამ არც ერთი არ არის ისე შემკული და მოოქრული, როგორც ლანკარფანში. ეს ცოცხალი, მრავალფეროვანი სცენა სულ სხვა დონისა და სირთულის ტექნიკით არის შესრულებული. ამასთან, გამორჩეულია კონცეფციის სითამამითაც“.

ლანკარფანის წმინდა კადოკის ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოები რამდენიმე წელიწადს გრძელდებოდა. სპეციალისტთა აზრით, ეკლესიის კედლებზე შემორჩენილი წმინდა გიორგის დრაკონთან ბრძოლის სცენა,

რომელიც წინასწარი ინფორმაციით 1480-1490 წლებით თარიღდება, დიდ ბრიტანეთში ყველაზე მასშტაბური და ყველაზე უკეთ შენახულია. ტაძარში ასევე შემორჩენილია XVI საუკუნის საეკლესიო მერხები.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საკურთხევლის უკან, ხეზე შესრულებული ნახატი, ლანკარფანის ეკლესიაში მოგვიანებით, დაახლოებით 1600 წელს მოიტანეს, მანამდე კი, 150-200 წლის განმავლობაში რომელიღაც დიდ ტაძარსა თუ მონასტერში იყო განთავსებული.

ისტორიული ძეგლების სამეფო კომისია მიიჩნევს, რომ წმინდა გიორგის დრაკონთან ბრძოლის ეს სცენა შესაძლოა იყოს ინტერპრეტაცია ოუენ გლინდურის შერკინებისა ინგლისელებთან. უეინ IV უელსელი უკანასკნელი იყო, ვინც უელსის პრინცის ტიტულს ატარებდა. მან წამოიწყო საერთო სახალხო

აჯანყება უელსში ინგლისის მეფე ჰენრი IV-ის წინააღმდეგ. მისი ცხოვრების ბოლო წლები საიდუმლოებით არის მოცული.

ოუენ გლინდურმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა როგორც უელსელთა, ასევე ინგლისის ხალხურ კულტურაში. პიესა „ჰენრი IV-ში“ შექსპირი მას ახასიათებს როგორც ველურს, ემოციურ და მაგიით მოცულ ადამიანს.

ლანკარფანის ეკლესიის არქიდიაკონი და ღვთისმსახური ჰევი ჯექსონი: „2010 წელს რესტავრაციის დაწყების შემდეგ ეკლესიაში მთელი მსოფლიოდან მოდიოდნენ. ჩვენ მადლობელი ვართ მხარდაჭერისა და ფინანსური დახმარების გამო, თუცა განსაკუთრებით ამადლევებელი იყო ის ენთუზიაზმი და სიხარული, რომელსაც ეკლესიის გულშემატკივრები და ფართო საზოგადოება განიცდიდა“.

ლანკარფანის წმინდა კალოკის ეკლესიის რესტავრაცია 2010 წელს დაიწყო. სამუშაოებისთვის გრანტის სახით 541.900 გირვანქა სტერლინგი გამოიყო.

სპეციალისტთა განცხადებით, წმინდა კალოკის სახელობის ეკლესია 1200 წელს არის აგებული.

წითელი ქვიშაქვისგან ნაგებ სამნავიან ტაძარს კოშკიც აქვს. მისი რესტავრაცია XIX საუკუნეშიც განხორციელდა, მას შემდეგ, რაც

ლანკარფანის წმინდა კალოკის სახელობის ეკლესია



ოუენ გლინდურს ეს ქანდაკება 2007 წელს დაუდგეს

სამხრეთის კედელი ჩამოიქცა. რაც შეეხება წმინდა კალოკს, უელსში ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემ წმინდანს, ის სწორედ აქ იღვწოდა და VI საუკუნეში ლანკარფანში მონასტერიც დააარსა. IX საუკუნეში მონასტერი განათლებისა და მწიგნობრობის ერთ-ერთ მსხვილ ცენტრად იქცა.

მომზადებულია medievalists.net-ისა და archaeology.co.uk-ის მიხედვით

ჩხოსლოვაკური მონეტები იოსებ სტალინის გამოსახულებით

საბჭოთა კავშირის
ბელადი ფულის
ნიშნებზე მის
სივრცეში
ერთდართხელ
ბამოსახეს



იოსებ სტალინის გრაფიკული პორტრეტი

საერთაშორისო პრაქტიკიდან ცნობილია, რომ დიქტატორები და ავტორიტარული მმართველები თავიანთი ზეობის პერიოდში გამოშვებულ ფულის ნიშნებზე ხშირად საკუთარ პორტრეტს აღბეჭდავენ. თუმცა გამონაკლისი აქაც გვხვდება.

საგულისხმოა, რომ საბჭოთა კავშირის მესვეურმა — იოსებ სტალინმა თავისი მმართველობის პერიოდში გამოშვებულ საბჭოთა

ფულის ნიშნებზე არ მოიხურვა საკუთარი პორტრეტის გამოსახვა. მისი ნების შესაბამისად, საბჭოთა კავშირის ქალაქის ფულის ცალკეულ ნომინალზე მხოლოდ ვლადიმერ ლენინის (1870-1924) პორტრეტს გამოსახავდნენ.

საბჭოთა კავშირის ქალაქის ფულის ნიშნებზე სხვა კონკრეტული პიროვნების პორტრეტი არ გვხვდება. გამონაკლის შემთხ-

ჩხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 100-კრონიანი ვერცხლის მონეტა სტალინის გამოსახულებით





ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი კლემენტ გოტვალდი

ვევაში მათზე აღბეჭდვადნენ მუშის, გლეხის ანდა წითელარმიელის პორტრეტს (განზოგადებული სახე).

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ 1945 წლის 22 ივნისს, იოსებ სტალინმა ვეტო დაადო მისი სახელობის ორდენის დაწესების პროექტს, რომელიც მას საბჭოთა კავშირის მთავრობამ წარუდგინა. ამასთან დაკავშირებით მას განუცხადებია: — „ეს ახლა ზედმეტია. როცა მოკვდები, გააკეთო, რაც გსურთ“.

ზემოთქმულის მიუხედავად, იოსებ სტალინის სიცოცხლეში მაინც გამოვიდა მონეტები მისი გამოსახულებით. თუმცა ეს მოხდა არა საბჭოთა კავშირში, არამედ — ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში.

1949 წლის 21 დეკემბერს დიდი ზემოთ აღინიშნა იოსებ სტალინის დაბადების 70-ე წლისთავი.

ამასთან დაკავშირებით, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ამ ქვეყნის კომპარტიის ლიდერის, კლემენტ გოტვალდის (1896-1953) ინიცია-

ტივით, რესპუბლიკის ცენტრალურმა ბანკმა მიმოქცევაში გამოუშვა ვერცხლის მონეტები იოსებ სტალინის გამოსახულებით. მონეტები გამოვიდა 50 და 100 კრონის ნომინალური ღირებულებით. ისინი დამზადებული იყო 500-იანი სინჯის ვერცხლისგან.

თითოეული ნომინალის მონეტის ტირაჟი შეადგენდა 1 მილიონ ეგზემპლარს. ამდენად, ისინი გათვალისწინებული იყო რეგულარული მიმოქცევისთვის.

50-კრონიანი მონეტის დიამეტრია 28 მილიმეტრი, ხოლო მისი წონა შეადგენს 10 გრამს. 100-კრონიანი მონეტის დიამეტრია 31 მილიმეტრი, ხოლო მისი წონა შეადგენს 14 გრამს. ეს მონეტები მიმოქცეოდა 1953 წლის ფულის რეფორმამდე.

ზემოხსენებული მონეტების ესკიზის ავტორი იყო გამოჩენილი ჩეხი სკულპტორი და მხატვარ-დიზაინერი, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ოტაკარ შპანიელი (1881-1955), რომელმაც ამ ქვეყნის არაერთი მონეტის დიზაინი შექმნა.

მონეტის ავერსზე აღბეჭდილ სტალინის პორტრეტთან (პროფილში) ერთად აღბეჭდილია შემდეგი წარწერები: J. V. Stalin და 21. XII. 1949.

მონეტის რევერსზე გამოსახულია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი, რომელიც წარმოადგენდა ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკების გერბების სინთეზურ ვარიანტს. ეს არის ფეხზე მდგარი ლომი გვირგვინით და მხარზე ფართი, რომელზედაც აღბეჭდილია სლოვაკიის გერბი — ჯვარი. იქვე აღბეჭდილია შემდეგი წარწერა: Republika Cechoslovenska.

მონეტებზე გამოსახულია იოსებ სტალინი წელს ზემოთ, გენერალისიმუსის მუნდირით. მას მკერდს უშშვენებს ერთადერთი ჯილდო — სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი. აქვე უნდა ითქვას, რომ 1945 წლის 27 ივნისს იოსებ სტალინს მიენიჭა გენერალისიმუსის უმაღლესი სამხედრო წოდება. საბჭოთა კავშირში ეს წოდება სტალინის გარდა არავისთვის აღარ მიუნიჭებიათ.

ზემოხსენებული მონეტები იყო პირველი ფულადი ნიშნები, რომლებზედაც გამოსახეს საბჭოთა კავშირის ბელადის, იოსებ სტალინის პორტრეტი. იმაჯდროულად, ეს იყო პირველი უცხოური მონეტები, რომლებზედაც

ქართველის (ამ შემთხვევაში საბჭოთა ლიდერის რანგში) პორტრეტი აღბეჭდეს.

საგულისხმოა, რომ 1951 წელს, როდესაც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას დაარსებიდან 30 წლისთავი შეუსრულდა, კვლავ კლემენტ გოტვალდის ინიციატივით, ამ ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმა გამოუშვა 100-კრონიანი მონეტა თვით გოტვალდის გამოსახულებით. იგი მიმოქცევისთვის იყო გათვალისწინებული. მონეტის დიამეტრია 31 მილიმეტრი, ხოლო წონა — 14 გრამი. იგი 500-იანი სინჯის ვერცხლისგან მოიჭრა. ამ მონეტის მხატვარ-დიზაინერი ისევ ოტაკარ შპანიელი გახლდათ.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ოტაკარ შპანიელის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, 1981 წელს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალურმა ბანკმა 100-კრონიანი მონეტა ამ ცნობილი მხატვარ-დიზაინერის გამოსახულებით გამოუშვა.

ამგვარად აღიბეჭდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ლითონის ფულის ნიშნებზე ჯერ იოსებ სტალინის, შემდეგ ამ მონეტების გამოშვების ინიციატორ კლემენტ გოტვალდის, ბოლოს კი ხსენებული მონეტების მხატვარ-დიზაინერის, ოტაკარ შპანიელის პორტრეტები.

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის პროფესორი



ეს პლაკატი საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ლიდერთა ურყევ მეგობრობას განასახიერებდა



ჩეხოსლოვაკიის 100-კრონიანი ვერცხლის მონეტა კლემენტ გოტვალდის გამოსახულებით. მხატვარ-დიზაინერი — ოტაკარ შპანიელი (1951 წელი)



ჩეხოსლოვაკიის 100-კრონიანი მონეტა სკულპტორისა და მხატვარ-დიზაინერის, ოტაკარ შპანიელის გამოსახულებით (1981 წელი)

ნართების ეპოსი აფხაზურად

აფხაზებს მეტად საინტერესო ფოლკლორი აქვთ. მასში წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები, რომელთაგან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნართების ეპოსს. ეს ეპოსი მხოლოდ აფხაზთა საკუთრება არ არის. იგი გავრცელებულია ჩერქეზებში (ადიღელებსა და ყაბარდოელებში), უბიხებში, ჩეჩენ-ინგუშებში, ყარაჩაელ-ბალყარელებში, ოსებში, აგრეთვე ქართველ მთიელთა ერთ ჯგუფში (რაჭველებსა და სვანებში). მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა, რომელმა ხალხმა შექმნა პირველად ეს ეპოსი.



ელდარ ქეჟშაია. სასრიყვა

ამბავი ურფმუნო ნართების, მათი მზეთუნახავი დისა და ბანწირული სასრიყვასი

ნართების ეპოსის აფხაზური ვერსია ბევრი რამით ჰგავს ჩერქეზულს, მეტიც, ზოგი მთავარი პერსონაჟის სახელი აფხაზურ ვერსიაში წარმოდგენილია სწორედ ჩერქეზული გაფორმებით. მაგალითად, ნართების დედას აფხაზურ ვერსიაში სათანეი-გვაშა ჰქვია, სიტყვა გვაშა კი ჩერქეზულად „ქალბატონს“ ნიშნავს... გარდა ამისა, აფხაზური ვერსიის სიუჟეტთა უმრავლესობაში მოქმედება მიმდინარეობს არა აფხაზეთში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე ყუბანის ხეობაში, რაც აფხაზთა წინაპრების იქ ბინადრობის გამოძახილია.

შორეულ წარსულში ცხოვრობდნენ ვაკა-ცობით გამორჩეული ნართები — ერთი დედის — სათანეი-გვაშას ნაშობი 99 ძმა!

ნართების საქმე თარეში და ნადირობა იყო. მათი ძლევა არავის შეეძლო, რამაც დროთა განმავლობაში ისინი გაათავებდა. ძმებს აღარ ეგონათ, სადმე მათი მჯობნი ვინმე თუ იქნებოდა. ნართებს არც ღმერთის სწამდათ, არც მეფე ჰყავდათ და არც ბატონი. ისინი ერთ სოფელში ცხოვრობდნენ. უსახელოდ ცხოვრებას სიკვდილი ერჩიათ, სიკვდილისა კი არ ეშინოდათ. ნართების სახელს უკავშირდება

უამრავი ტკბილსასმენი სიმღერა. მათვე გამოიგონეს სალამურის მსგავსი მუსიკალური საკრავი აჭარბინი.

ნართების საომარი იარაღი მშვილდ-ისარი და ხმალი იყო. უებრო მსროლელნი ისარს გაფრენილ ჩიტს შიგ თვალში არტყამდნენ, ხმალდახმალ ბრძოლაში კი ბადალი არ ჰყავდათ.

ნართები თავს დაჰყოფინებდნენ ერთადერთ დას, მზეთუნახავ გუნდას, რომელსაც ბროლის კოშკში აცხოვრობდნენ. ძმები გუნდას ნანადირევის ძვლის ტვინით კვებავდნენ.

სასრიყვას დაბადება

99 ნართ ძმას შეემატა ნაბოლარა სასრიყვა. იგი სასწაულებრივად მოევიდნა ამ ქვეყანას:

ნართების ულამაზეს დედას, უბერებელ სათანეი-გვაშას მშვენიერება და სინორჩე არც მრავალი შვილის გაჩენის შემდგომ დაუკარგავს. ერთხელაც მდინარე ყუბანთან მივიდა. მდინარის გაღმა ახოვანი მწყემსი ზართიყვი ამოვებდა ცხვარ-ძროხას. სათანეიმ გაიხადა ტანთ, ზართიყვმა ვერ მოსწყვიტა თვალი მის შიშველ, მომხიბვლელ სხეულს და ვნება აღეძრა. სათანეის დაუფლება განიზრახა და

მდინარის გადმოლახვა სცადა, მაგრამ იგი ისე ადიდებულიყო, ვერაფერს გახდა. მაშინ ზართიყვმა სათანეი-გვაშას გამოსძახა, თუსლს ვერ ვიმაგრებ და დაუხვდიო. შიშველი სათანეი-გვაშაც განემზადა, ზართიყვმაც აღარ დააყოვნა და თავისი „ისარი“ ქალისკენ გამოსტყორცნა, მაგრამ ააცდინა და დიდ ლოდს მოახვედრა. ლოდი დაორსულდა. სათანეი-გვაშამ ეს ლოდი წელზე მიიმაცრა, ჩაიცვა და შინისკენ გამოსწია. ცხრა თვის თავზე ქალი მჭედელ აინართან მივიდა და სთხოვა, დახმარებოდა ლოდიდან ბავშვის გაჩენაში. როცა ქვიდან ბიჭუნა იბადებოდა, ძირს დაჯდნამდე აინარმა შემოავლო მუხლებზე მარწუხები და მღულარე ფოლადით სახე ქვაბში ჩააყურყუმელავა. ასე გამოიწოთო ჩვილი, რომელსაც „დედამ“ სასრიყვა დაარქვა. ამგვარად ნაწრობი სასრიყვა ფოლადივით მტკიცე გამოდგა, ვერანაირი იარაღი ვერ ჯახნიდა. მხოლოდ მარჯვენა მუხლი ჰქონდა სუსტი. მჭედელ აინარს ზომ წოთობისას იგი ამ მუხლზე შემოჭერილი მარწუხით ეჭირა და გამოუწოთობი დარჩა.

სასრიყვა ტანბრეგე, მოხდენილი და მძლავრი ვაჟკაცი დადგა. მან ძმათაგან პირველმა გახედნა რაში, სახელად ბზოუ, რომელსაც ადამიანის ენა ესმოდა.

როგორ გადაარჩინა სასრიყვამ ნართები

ნართები არ სცნობდნენ სასრიყვას თავიანთ ძმად და დაცინვით მწყემსის ბიჭსა და უჯიშოს ეძახდნენ. როცა სადმე მიდიოდნენ, სასრიყვა თან არ მიჰყვებოდა. სასრიყვას სწყინდა ნართების ქცევა, მაგრამ მაინც უყვარდა ისინი, ხშირად ფარულად გაედევნებოდა და როცა ძმებს რამე ხიფათი შეემთხვეოდათ, ასევე ფარულად დაიხსნიდა ხოლმე განსაცდელისგან.

ერთხელ ნართები სათარემოდ წავიდნენ და სასრიყვა არ წაიყოლეს. სათანეი-გვაშამ მათმა საქციელმა გააბრაზა და შვილები ასე დაწვევლა:

— რაკი უმცროსი ძმა არ გაიყოლეთ, დაე, ისეთ დღეში ჩაცვენილიყოთ, თავს ვერ შველოდეთ და სასრიყვას გარდა მხსნელი არ გამოგჩენოდეთ.

წყევლა ახდა: არნახული თქეში დაიწყო, მერე სამინელი ქარიშხალი ამოვარდა, ბოლოს კი მუშტისტოლა სეტყვა და თოვა წამოვიდა.

ისე ყინავდა, ქვებს ჭახჭახი გაუდიოდა. ნართებს ავდარმა ტრამალზე მოუსწრო, ახლოს თავშესაფარი არსად ჩანდა. თოშმა ძმები ისე მიაკრა ერთიმეორეს, ერთი დიდი ქუდი დაეხურებოდათ. გადარჩენის იმედი გადაეწურათ და... სასრიყვაც გამოჩნდა. მას ძმები შეებრაღა. გამართა მშვილდ-ისარი, მოზიდა და დიდხანს, დიდხანს უმიზნებდა. ბოლოს ისარი ელვისებურ გაიჭრა, უდიდეს ვარსკვლავს შიგულში მოხვდა და ძირს ჩამოაგდო. გათომილი ნართები უმაღლე მიეფიცნენ ცხელ ვარსკვლავს და ძვლები გაითბეს. სასრიყვამ ნართებს უთხრა, — ეს ვარსკვლავი ცოტას გიშველით, მე კი წავალ და ცეცხლს ვიმოვიო. შეჯდა ბზოუზე და გააქროლა.

სასრიყვამ ერთ მიხდორზე კვამლი შენიშნა და იქით გაემართა. ახლოს მისულმა ნახა, რომ დევს ცეცხლი დაენთო, ირგვლივ ვეება ტორები შემოეჭვია და გულთანად ეძინა. სასრიყვა და ბზოუ აფრინდნენ, დევს ცალყურში შეუძვრნენ, მეორე ყურიდან გამოძე-

ძმები ა. და მ. ბელეცკები. ნართების ეპოსი. კუდიანი ძმებ ნართებთან





ადიუხის (აკბიშეკის) კოშკი ვუბანის ხეობაში



რენ და ცეცხლთან განძნდნენ. ჭაბუკმა ერთი ვეება მუგუზალი აიტაცა და უკან იმავე გზით გამოეშურნენ. დევს ისე ღრმად ეძინა, არაფერი გაუგია. ერთი კი შეიშმუშნა, ყურისკენ ტორი წაიღო, მაგრამ ამასობაში სასრიყვასა და ბზოუს უკვე სამშვიდობოს გაელწიათ. ნართებს მაშინ მიუსწრეს, როცა ციდან ჩამოგდებული ვარსკვლავი უკვე ინავლებოდა და ძმებს კვლავ გაეინვა ეშუქებოდათ. სასრიყვამ ძმებს მუგუზალი დაანახვა. ისინიც მაშინვე დაფაცურდნენ. ასწლოვან ხეებს უზარმაზარი ტოტები ჩამოჰკვლიჯეს და ისეთი ცეცხლი ააგუზგუზეს, მისი ალისფერი ენები ცას სწვდებოდა. ასე გადაარჩინა სასრიყვამ დაღუპვას უმადური ნართები.

მჯობნის მჯობნი არ დაილევარო

ამპარტავენობის სენი სასრიყვასაც შეეყარა. ერთხელაც დედას შეუჩნდა, მითხარი, ჩემზე უკეთესი ვაჟკაცი თუ არსებობსო. სათანეი-გვაშამ უთხრა:

— არათუ შენი მოძრევი, იმისთანა ვაჟკაცებიც არსებობენ, კაცადაც არ ჩაგაგდებენ. მჯობნის მჯობნი არ დაილევარო.

სასრიყვამ დედას გამოუცხადა, მივდივარ და სანამ ჩემს მოძრე ვაჟკაცს არ ვიპოვი, არ დავბრუნდებიო. სათანეი-გვაშამ ბევრი უშალა, მაგრამ ჭაბუკი მაინც გაემგზავრა. კარგა ხანს იარა და ერთი ცალხელა კაცი შენიშნა, რომელსაც სხეულის ნახევარი გახმობოდა. მიწას ცალი ხელით ხნავდა. სასრიყვა თავს წაადგა და მიესალმა. მხვნელმა არ უპასუხა. სასრიყვამ ითაკილა, ხმალი იშიშვლა და შეუტია. კაცმა სადი ხელი სტაცა სასრიყვას და რაშიანად ვეება ბელტის ქვეშ შეჩურთა. ბევრი იწვალა სასრიყვამ თავის გასათავისუფლებლად, მაგრამ ბელტს ძვრაც ვერ უყო.

შუადლისას მხვნელს ცოლმა სადილი მოუტანა დიდი გობით. კაცმა ისადილა, სასრიყვა და მისი რაში ბელტის ქვემოდან გამოათრია, ცოლს გობზე დაუგდო და უთხრა, — შინ ბავშვებს მიუყვანე, ცოტას მაინც გაერთობიანო. ქალმა გობი თავზე შემოიდგა და წავიდა.

გზად ქალი დასასვენებლად შეჩერდა, გობი ძირს დადო, თვითონ კი დაიძინა. სასრიყვამ ძლივს გადმოახტუნა რაში გობიდან და მოკურცხლა. დარწმუნდა, რომ დედამ მართალი უთხრა: ამქვეყნად მჯობნის მჯობნი არ დაილევარო.

როგორ მოიტაცეს გუნდა

ნართების მზეთუნახავი დის ხელის სათხოვნელად მრავალი ვაჟკაცი მოდიოდა. გუნდა მათ საჭიდაოდ იწვევდა იმ პირობით, რომ თუ სასიძო მოერეოდა, ცოლად მის-თხოვდებოდა. გუნდას ჭიდაობაში ვერავინ სჯობნიდა. დამარცხებულ ვაჟებს ქალი ყურის ბიბილოს აჭრიდა და ღობის სარზე აცვამდა. ასე დაამარცხა გუნდამ 99 სასიძო. შეასედ ჭაბუკი ზვაჟვარფისი (შქერჭაბუკი) მოვიდა და გუნდამაც თავისი პირობა წაუყენა.


შეიბნენ ვაჟი და ქალი. მიწამ ზანზარი დაიწყო. ბოლოს ზვაჟვარფისმა მზეთუნახავს აჯობა, დანიშნა და შინ დაბრუნდა.

გუნდას მშვენიერების ამბავი დევგმირმა ნარჯხიოუმაც გაიგო. მანაც გადაწყვიტა გუნდას ცოლად შერთვა. ერთ დღეს ნართები შინ იყვნენ და ბურთაობდნენ, სასრიყვა კი სანადიროდ წასულიყო. ნარჯხიოუმ რამი ეზოში შეაგელვა.

სტუმარმა ნართებს გამოუცხადა, გუნდა ცოლად უნდა გამატანოთო. ნართებმა აუწყეს, გუნდა ზვაჟვარფისის დაწინდულია და პირს ვერ გაუტყებთო. ნარჯხიოუ გაბრაზდა, — ეს რა მათხოვრებთან მქონია საქმე, დამაცადეთ, რა დღეში ჩაგყაროთო. ნართებს ეწყინათ სტუმრის ნათქვამი და ჩუმად მოილაპარაკეს, მზაკერულად გასწორებოდნენ მომხდურს.

არნახული სუფრა გაუშალეს ვითომ სასიძოს. დაუპატიჟებელი სტუმრის თავიდან მოსაშორებლად ღვინოსა და ხორცის ნახარშში შხამი შეურიეს. და როცა შხამიანი ღვინით საესე თასი მიართვეს, ნარჯხიოუ მიხვდა, სასმელი სანდო რომ არ იყო. ნართებს შესთავაზა, — მამათქვენის ასაკს პატივი ვცეთ, ჯერ მან დალიოსო. რაღას იზამდნენ მასპინძლები, მიართვეს უსინათლო მამას საბედისწერო თასი. მანაც ადღეგრძელა სტუმარი, ღვინო მოსვა და... მაშინვე სული განუტყევა. ნართებმა ისევ შესთავაზეს ღვინო სტუმარს. მან კი, ახლა თქვენმა უფროსმა ძმამ, სითმა დალიოს, ჩემზე უფროსიაო. სითმა უარი ვერ შეჰკადრა და გველისშხამგარეული ღვინო დალია. ისიც მამის კვალს გაჰყვა...

ამის შემდეგ ნარჯხიოუმ აიღო თასი, ნართებმა ღვინო დაუსხეს. სტუმარმა ეშმაკობა იხმარა. ჯერ ხშირი წვერი ჩაიჩურთა პირში და შემდეგ ღვინის სმას შეუღვა. როცა თასი დაცალა, ნარჯხიოუმ წვერი ჩამოიბერტყა,



ელდარ ქვეშაია. გაქვავებული ნარჯხიოუ და გუნდა

პზიფის ხეობა





ძმები ა. და მ. ბელეცკები. ნართების ეპოსი. სასრიყვა

მჭედელი აინარი

რომელსაც უზვად გამოჰყვა საწამლავი და ნარჯხიოუსაც არაფერი დამართნია, შემდეგ კი მასპინძლებს ისევ მოსთხოვა, — თქვენნი ულამაზესი და გამატანეთო.

— შენთან დამოყვრება ჩვენთვის დიდი პატივია, მაგრამ გუნდა უკვე დანიშნულია ზვაჟვარფისზე. უარს ვედარ შევკადრებთ ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, სიტყვის გატეხა საკადრისი არ არის და, მეორე, ზვაჟვარფისი რომ გაიგებს, გუნდა შენ მოგათხოვვით, შავ დღეს დაგვაყრის ჩვენცა და შენცო, — მიუგეს ნართებმა.

— ზვაჟვარფისისა არ მეშინია. ვაჟკაცი კია, მაგრამ არც მე გახლავართ ნაკლები, თქვენნი და მიმყავს და თუ ვაჟკაცები ხართ, წინ დამიდექითო!

სტუმარმა ნართებს გონს მოსვლა არ აცადა, გუნდას კოშკში შეიჭრა, ქალი ძალით გამოიყვანა, რაშზე შეაგდო და გაქუსლა. ნართებმა კერაფრით შეაკავეს, თუმცა კი უკან დაედევნენ.

სამ დღე-ღამეს მისდევდნენ ნარჯხიოუს, მაგრამ ვერ დაეწინენ. ძმებმა ნაბოლარა ძმას მუსას, რომელსაც უძლიერესი ხმა ჰქონდა, დააგაღეს, ყვირილით ემცნო ზვაჟვარფისისთვის, რომ ნარჯხიოუმ საცოლუე მოსტაცა. მუსამაც პირი ზვაჟვარფისის საცხოვრისისკენ იბრუნა და მთელი ხმით გასძახა:



— ზვაჟვართის, გუნდა ნარჯხიოუმ გაიტაცა და უნდა უშველო!

სასიძომ გაიგონა და გაქანდა იქით, საიდანაც ზმა მოესმა. ზვაჟვართისი ნარჯხიოუსა და გუნდას წამოეწია და მოძალადეს შორიდან შესძახა:

— გუნდას საქმრო ზვაჟვართისი ვარ. შენ შემარცხვინე. იცოდე, ცოცხალი ვერ გადაძირჩები. თუ ვაჟკაცი ხარ, დამიდექიო!

— მობრძანდი, მეც აქ გელოდებიო! — გასძახა ნარჯხიოუმ.

მეტოქეები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, მაგრამ არც ერთი არ ისროდა. ნარჯხიოუმ ზვაჟვართისს უთხრა:

— შენ მღვვარი ხარ, პირველი სროლის უფლება შენია!

— არა, შენ ქალი გახლავს! მესროლე, ნუ აყოვნებ! — მიუგო ზვაჟვართისმა.


ასე იწვევდნენ ერთიმეორეს. ბოლოს პირველმა ზვაჟვართისმა ისროლა. ერთმანეთის ნატყორცნ ისრებს ვაჟკაცები მარჯვენა ხელის ნეკით იჭერდნენ. ბოლოს ნარჯხიოუს ნასროლი ისარი ზვაჟვართისს თავში მოხვდა და ქალა შუაზე გადაუპო. მან გადახსნილი ნაწილები ხელით შეაერთა და ნარჯხიოუს სთხოვა, — წავალ მჭედელ აინართან, თავს გაგამთელებინებ და მოვბრუნდებიო. მეტოქე

დაეთანხმა, — მეც ბარძაყში ვარ დაჭრილი და მანამდე ზედ რამეს შემოვიჭერო.

ზვაჟვართისი რაშით აინართან გაქანდა. მჭედელმა თავზე სპილენძის სალტე შემოარტყა. ჭაბუკი ბრძოლის ველს დაუბრუნდა, სადაც ნარჯხიოუ ელოდა. განაგრძეს ორთაბრძოლა. ისრები რომ შემოეღიათ, ახლა შუბები სტყორცნეს ერთმანეთს. ბოლოს ნარჯხიოუმ ზვაჟვართისს შუბი თავში მოარტყა და სასიკვდილოდ დაჭრა. ნარჯხიოუმ მომაკვდავი მეტოქე მიატოვა და გუნდა წაიყვანა. უღელტეხილს რომ მიადგნენ, ნარჯხიოუს სათანეი-გვაშას წყევლამ უწია. მან თავისი ასულის გამტაცებელი დაწყველა:

— ნარჯხიოუ, ქვად ქცეულიყო და ჰაერ-

შონის ტაძარი მდინარე ყუბანის მარცხენა ნაპირას, შონის მთაზე. თანამედროვე ვარაჩაი-ჩერქეზეთში. აგებულია X საუკუნის I ნახევარში





ყარჩის ქვა მდინარე ყუბანის ნაპირას

ნართების ეპოსისადმი მიძღვნილი მონეტა, რომელიც სეპარატიზტული აფხაზეთის ბანკმა 2009 წელს გამოუშვა



ში გამოკიდებულიყო შენს რაშთან ერთად. დროთა განმავლობაში მიწისკენ დაშვებულიყო და როცა შენი რაშის მუცელი მიწამდე ჩამოეშვება, მეორედ მოსვლა მომხდარიყოს! გუნდას კი უსურვა:

— ფუტკრების მფარველ ღვთაებად ქცეულიყო და სარგებელი მოგეტანოს ხალხისთვის!

ღედის ნათქვამი ახდა: რაშზე ამხედრებული გაქვავებული ნარჯხიოუ ახლაც ჰაერში ჰკიდა, ხოლო გუნდას ანანა-გუნდა ეწოდა, მაღალ მთებში ბინადრობს და ფუტკრებს მფარველობს.

სასრიყვას სიკვდილი

ნართებს ერთი სასწაულებრივი ქვევრი ჰქონდათ, რომელსაც ვეძამაკეტს ეძახდნენ. ამ ქვევრიდან რამდენი ღვინოც უნდა ამოგველო, მაინც სავსე რჩებოდა. ქვევრი ნართებს შველოდა იმის გარკვევაშიც, ვინ

უფრო დიდი ვაჟკაცობა ჩაიდინა. საამისოდ გმირობის ჩამდენნი დგებოდნენ ქვევრის თავზე და ჰყვებოდნენ თავიანთი გმირობის ამბებს. ვისაც ყველაზე დიდი ვაჟკაცობა გამოეჩინა, იმის მონათხრობზე ღვინო ქვევრში დუღილს იწყებდა და ამით ირკვეოდა, ვინ ვის სჯობდა.

სასრიყვას დაუაჟკაცების შემდეგ ვეძამაკეტის ღვინო მხოლოდ მის მონაყოლზე დუღებოდა, რაც ნართებს ძალიან სწყენდათ, რადგან შურდათ სასრიყვასი. ბოლოს ძმებმა იმდენად შეიძულეს სასრიყვა, რომ მისი დალუპვა განიზრახეს, მაგრამ რაკი იცოდნენ, რომ მასთან პირისპირ შებმით ვერაფერს გახდებოდნენ, ვერაგობის გზა აირჩიეს. ერთი ბოროტი დედაბრისაგან შეიტყვეს, რომ როცა მჭედელმა აინარმა ახალდაბადებული სასრიყვა მღუღარე ფოლადში ჩასვა, მარჯვენა მუხლი გამოუწრთობი დარჩა, რადგან აინარს ბუფში ამ მუხლზე შემოჭერილი მარწუხით ეჭირა.

დედაბრის რჩევით, ნართებმა უთხრეს სასრიყვას, — რაკი თავი ყველაზე ძძლაურ ვაჟკაცად მოგაქვს, მოდი, გამოეცადოთ, მართალია ეს თუ არაო. მათ სასრიყვა ერთი მაღალი მთის ძირას დააყენეს, თვითონ მწვერვალზე ავიდნენ და იქიდან უზარმაზარი ლოდი დააგორეს. სასრიყვას ის ლოდი ფეხით უნდა გაეჩერებინა. ჰაბუკმა მგორაუ ლოდს მარცხენა ფეხი დაუხვედრა და დაამსხვრია. ნართებმა ახლა მეორე ვეებერთელა ლოდი დააგორეს და სასრიყვას დაუძახეს, — თუ ვაჟკაცი ხარ, მარჯვენა ფეხით გააჩერეო. სასრიყვამ მართლაც დაუხვედრა ლოდს მარჯვენა ფეხი. ლოდმა მას გამოუწრთობი ფეხი მოსწყვიტა. სასრიყვას ბარძაყიდან სისხლი წასკდა და უმწეოდ დავარდა ძირს. გმირი სისხლისგან იცლებოდა, მშველელი კი არსად ჩანდა.

ეს ამბავი ელვის უსწრაფესად გავრცელდა. ამის გამგონე ტყიურნი სასრიყვასკენ დაიძრნენ. ზოგი მათგანი გულით თანაუგრძობდა ვაჟკაცს, რომელიც მათ ლოცავდა. ზოგი კი გაზარებული იყო მისი მარცხით, და მათ სასიკვდილოდ განწირული სასრიყვა წყევლიდა.

ამიტომამა, რომ ძერა და ყორანი დაწყველილნი არიან, ხოლო მგელი და მტრედი — დალოცვილნიო, ფიქრობდნენ აფხაზთა წინაპრები...

თეიმურაზ გვანცელაძე,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



MARK ZUCKENBURG



JIMMY WALES

ბიზნესის გენია

ადამიანები, რომლებმაც მსოფლიო ბიზნესში გადატრიალება მოახდინეს



MICHAEL BLOOMBERG



SHELDON ADELSON



BILL GATES



HENRY FORD

წიგნების სერია

გაზეთ **სიხელე** -სთან ერთად



თვეში ორჯერ



JEFF BEZOS

წიგნის ფასი : 3 ლარი
გაზეთთან ერთად : 4 ლარი



MICHAEL DELL



LARRY PAGE



MARK ZUCKERBERG



BILL GATES

მათი წარმატების საიდუმლო შენი სტიმულისტვის!





სტალინის
სახლ-მუზეუმი

30 წელიწადში სტალინმა მილიონზე მეტი სარეჟისარი მიიღო?!

გორის საგუჯურო კომპლექსში უნიკალური ნივთიერა დაცული

იოსებ სტალინის პირადი ნივთებისა და საჩუქრების დიდი ნაწილი რუსეთში, მოსკოვის კრემლის სტალინის პირად კაბინეტში ინახება. აგრეთვე მის აგარაკზე, მოსკოვის მახლობლად — კუნცევოში და რამდენიმე მუზეუმში.

ბუნებრივია, რომ საქართველოშიც დაარსდა „დიდი ბელადის“ მუზეუმი. იგი გორში, სტალინის მშობლიურ ქალაქში 76 წელია არსებობს.



იოსებ ჯუღაშვილი ამ სახლში დაიბადა



სტალინის სიკვდილის შემდგომი ნიღაბი

სტალინის გორის სახელმწიფო მუზეუმი კომპლექსია, რომელშიც შედის: სახლი, სადაც იოსებ ჯუღაშვილი დაიბადა; სტალინის პირადი ვაგონი და საექსპოზიციო შენობა. მუზეუმის სტაციონარულ ექსპოზიციასე ყოველთვის იყო გამოფენილი როგორც სტალინის პირადი ნივთები, ასევე საჩუქრებიც. სულ მუზეუმში დაცულია 1700-ზე მეტი ექსპონატი. მუზეუმის სივრცე ამ ნივთების მესამედის გამოფენის საშუალებასაც არ იძლევა, ამიტომ ექსპონატები პერიოდულად იცვლება. ბოლო წლებში მუზეუმის დირექტორ ლიანა ოქროპირიძისა და ფონდების თანამშრომლების ძალისხმევით მოეწყო ნაქარგებისა და ხეზე კვეთილობის ნიმუშების დროებითი გამოფენები. შარშანდელი წლის ბოლოს, პირველად მუზეუმის ისტორიაში, მოშადა და გამოიფინა გრაფიკული ნიმუშეკრები.

რამდენად ფასეულია სტალინთან დაკავშირებული ნივთები, ამას ადასტურებს მსოფლიოს პრესტიჟულ აუქციონებზე გამოტანილი სტალინის სიკვდილის შემდგომი ნიღაბი, სტალინის წერილები, ასევე 2010 წელს მისი პირადი ნივთებისა და საჩუქრების (150 ნივთი) ერთ-ერთი გამოფენის (ქ. ულიანოვსკში) სადაზღვევო თანხა — 6 მილიონი ევრო.

რა თქმა უნდა, მნახველებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა სტალინის პირადი ნივთები. გარდა სტალინის პირადი ვაგონისა და იმ ორიგინალური ნივთებისა, რომლებიც მემორიალურ სახლშია გამოფენილი, მუზეუმში დაცულია: სტალინის პირადი კაბინეტი, რომლითაც იგი 1918-1922 წლებში სარგებლობდა, მარშლის შინელი, საპარადო ქუდი, მისი ორი ჩიბუხი, საწერკალამი, ორი საფერფლე, პირის საპარსი მოწყობილობა, ორი ტელეფონი, ჩემოდანი, კუბური სიგარები, პაპიროს „პერცოგოვინა ფლორის“ კოლოფი, ლოგარითმული სახაზავი. გარდა ამისა, მუზეუმში ინახება სტალინის ხელით დაწერილი პირადი წერილები, რომლებსაც გორელ მეგობრებს წერდა და დედამისის, ეკატერინე ჯუღაშვილისა და ოჯახის სხვა წევრების ნივთები.

მუზეუმის დამთვალიერებელს საშუალება აქვს, იხილოს საჩუქრებიც. ნივთებს, რომელთაც იოსებ სტალინს უძღვნიდნენ, საკუთარი ისტორიები აქვთ. თითოეულ მათ-



სამუშაო მაგიდა პირად კაბინეტში





„სიმენსის“ ფირმის შავი ტელეფონით სტალინი პირველი კაბინეტიდან კრემლში რეკავდა, თუთი ტელეფონით კი ომის დროს სარგებლობდა



ფრანგული სუვენირი



გერმანული „პელიკანის“ ფირმის კალმით სტალინი სარგებლობდა იალტიისა და პოტსდამის კონფერენციებზე



სამელნე მოწვობილობა, ქარხანა „ბიშპოლის“ კოლექტფისგან

განს განსაზღვრული მიზნით ქმნიდნენ: ერთი დიდი სიყვარულით და თავყანისცემით, სხვები იბულებული იყვნენ, ზოგიერთები კი თვალთმაქცობდნენ, რათა დიდი ბელადის ყურადღება მიეპყროთ. საჩუქრებს სტალინს უგზავნიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ზოგჯერ მიყრუებული სოფლებიდან. უგზავნიდნენ როგორც ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ასევე ბავშვებიც. საჩუქრების უმრავლესობა უნიკალური ნივთებია, რადგან ბევრ მათგანს ერთ ეგზემპლარად ქმნიდნენ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პოლიტიკური მოღვაწეობის 30 წლის განმავლობაში სტალინმა მილიონზე მეტი საჩუქარი მიიღო. ვფიქრობთ, ეს რიცხვი გაზვიადებულია, თუცა მან ნამდვილად მიიღო მილიონზე მეტი მილოცვა 1949 წელს 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით. მაშინ მიღებული საჩუქრების სიმრავლის გამო, მათი გამოფენისას მოსკოვის მუზეუმებს დიდი პრობლემები შეექმნათ. სტალინი პირადი შეხვედრებისას მიღებული საჩუქრებით იშვიათად სარგებლობდა, ხოლო 1949 წლის 21 დეკემბერს მისთვის მიძღვნილი საჩუქრები, როგორც ხელოვნების ნიმუშები, მან სახელმწიფოს კუთვნილებად გამოაცხადა. ნივთები გამოფინეს, ძირითადად, მოსკოვის პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმში, ასევე რევოლუციისა და პოლიტექნიკურ მუზეუმებში.

გორის სტალინის მემორიალურ მუზეუმს საჩუქრების მხოლოდ მცირე ნაწილი გადაეცა, მაგრამ ესეც შთამბეჭდავი კოლექციაა. მუზეუმში ინახება ფერწერული ტილოების, ხალიჩების, ნაქარგების, ხის ნაკეთობების, ჭურჭლის, ბიუსტების, მოზაიკისა და ჭედურობის შესანიშნავი ნიმუშები.



ჰაპაროს „პერტოვოინა ფლორის“ ბოლო კოლოფი ორი ღერით, რომელთა მოწვევაც სტალინმა ვერ მოასწრო

უნა ჯაფარიძის ტილო —
 ი.ბ. სტალინი (ჯუღაშვილი) გაზეთ
 „ივერიას“ რედაქციაში ილია
 ჭავჭავაძესთან



შპრფპრული ტილოები

მუზეუმში დაცული მხატვრული ტილოების მხოლოდ ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს სტალინის საჩუქრად. მათი უმრავლესობა მუზეუმს უსასყიდლოდ გადმოეცა სხვადასხვა ორგანიზაციიდან, ხოლო ზოგიერთი ნამუშევარი 90-იან წლებშია შექმნილი. რა თქმა უნდა, ყველა მათგანს არ აქვს მაღალი მხატვრული ღირებულება, მაგრამ საბჭოთა ეპოქისა და სოციალისტური ხელოვნების მკვლევართათვის საინტერესო მასალას წარმოადგენს. ვინაიდან შეუძლებელია მათი ერთდროულად გამოფენა ზომებისა და

რაოდენობის გამო, სტაციონარულ გამოფენაზე მხატვრული ტილოები პერიოდულად იცვლება. მაგრამ ერთ-ერთი ნამუშევარი, უნა ჯაფარიძის ნახატი „იოსებ ჯუღაშვილი ილია ჭავჭავაძესთან“ რედაქცია-



უცნობი
 ქართველი
 მხატვრის
 ნახატი
 „სტალინი
 დელასთან“

ხალიჩა, მე-3
დარბაზი.
თურქმენეთი



ში“ ყოველთვის ამშვენებდა ექსპოზიციას. ამ ტილოს შავ-თეთრი ფოტორეპროდუქციები ზმირად იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ ორიგინალი სტალინის მუზეუმშია გამოფენილი. ფერწერული ტილოებიდან მაღალმხატვრულ ნიმუშებად მიიჩნევენ დიმიტრი ნალბანდიანის ნამუშევარს „გორელი ბიჭი“, ზოლო დამთვალეიერებლებს განსაკუთრებით მოსწონთ უცნობი ქართველი მხატვრის ნახატი „სტალინი დედასთან“ და დ. მაისაშვილის — „ახალგაზრდა სტალინი“.

ხალიჩები

მუზეუმში სხვადასხვა ზომის მრავალი ხალიჩა ინახება. ისინი სტალინს საჩუქრად გამოუგზავნეს უმთავრესად იმ ქვეყნებიდან,



ირანული
ხალიჩა



ჩინური ნაქარგი აბრეშუმის ძაფით,
სერიული ნამუშევარი

„სტალინი კითხულობს ვეფხისტყაოსანს“ — ნაქარგი
შექმნილია ირაკლი თოიძის ნახატის მიხედვით.
ავტორი კრავენკო

სადაც ხალიჩების ქსოვის კულტურა ხე-
ლოვნებადგა აყვანილი. მუზეუმში ამჟამად
გამოფენილია ირანში, აზერბაიჯანში, შუა
აზიის რესპუბლიკებსა და სომხეთში მოქ-
სოვილი ხალიჩები, რომლებიც სტალინის
პორტრეტების მიხედვითაა შექმნილი. სპე-
ციალისტებს მიაჩნიათ, რომ მათ შორის
გამორჩეულია 1-ელ დარბაზში გამოფენილი
ირანული ხალიჩა.



„ახალგაზრდა სტალინი“. დ. მაისაშვილი

ნაქარგები

სტალინის მუზეუმის დამთავლიერებელ-
თა ყურადღებას ყოველთვის იპყრობდა ორი
ჩინური ნაქარგი. სწორედ ეს ნამუშევრები
მიიჩნევა საუკეთესოდ მუზეუმში არსებული
სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით შეს-
რულებულ ნაქარგებს შორის. საინტერესო
ნიმუშებია გამოგზავნილი ბელორუსიდან,
უკრაინიდან და რუსეთიდან. 2012 წლის ბო-
ლოს მუზეუმში მოეწყო ნაქარგების ორთვიანი
გამოფენა. ისევე როგორც ხალიჩები, ნაქარ-
გებიც ძირითადად მხატვრული ტილოების
მიხედვითაა შექმნილი. მათ შორის განსაკუთ-
რებით საინტერესოა ირაკლი თოიძის ნახატის
„სტალინი კითხულობს ვეფხისტყაოსანს“
მიხედვით შექმნილი უკრაინული ნაქარგი.

ლარის გაზაშვილი

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)



„ქარიზმა“ — მთელი ავროპის მუზეუმებისთვის

ახლაგაზრდა პიკასოს ავტობორტრეტი და 3 ათასი წლის წინანდელი ლაპის-ლაზურის ხოჭო ეგვიპტიდან — რა აქვთ მათ საერთო? მეცნიერები ხელოვნების ორივე ნიმუშის შესწავლას უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით ცდილობენ, რისთვისაც ბარსელონის პიკასოს მუზეუმში მთელი ევროპიდან შეიკრიბნენ.



პიკასოს ავტო-პორტრეტი. 1896 წ. დაცულია ბარსელონის პიკასოს მუზეუმში

მუზეუმს საკუთარი სამეცნიერო ლაბორატორია არ აქვს და ტილოს შესწავლისთვის ან რესტავრაციისთვის აღჭურვილობა სხვადასხვა უნივერსიტეტთან და კომპანიასთან შეთანხმებით ჩააქვს. მობილური ლაბორატორია, რომელიც მუზეუმში კვლევას წარმართავს, ევროპის სამეცნიერო პროექტ „ქარიზმის“ ნაწილია, მისი მიზანი მუზეუმმცოდნეებისა და ხელოვნებათმცოდნეების ახალი აპარატურით აღჭურვაა. თუ კვლევისთვის საჭირო აპარატურის სრულად ტრანსპორტირება შეუძლებელია, მაშინ ლაბორატორიაში თავად ხელოვნების ნიმუში იგზავნება.



ეგვიპტური სამაჯური ლაპის-ლაზურის ხოჭოს გამოსახულებით. ახალი სამეფო. ძვ.წ. 1400 წ. დაცულია ლონდონის მუზეუმში


მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის პარიზულ ცენტრში იტალიელმა მეცნიერებმა ეგვიპტელი ქვისმთელეების 30 საუკუნის წინანდელი ნაკეთობა ჩაიტანეს. მათ ლაპის-ლაზურის წარმომავლობის დადგენა სურთ, რომლისგანაც ეგვიპტელმა ოსტატებმა ხოჭო გამოკეთეს. „ჩვენთვის, ფიზიკოსებისთვის, ვინც კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე ვმუშაობთ, ფასდაუდებელია არქეოლოგებსა და გეოლოგებთან შეხვედრები... დისკუსიაში თითოეულ ჩვენგანს თავისი წვლილი შეაქვს“, — ამბობს ტურინის უნივერსიტეტის მკვლევარი ალესანდრო რეი.

ჩაიტანონ კვლევისთვის. მათი ტრანსპორტირება და დაზღვევა უსახვევოდ ძვირია, ლაბორატორიის მეპატრონეებს შეცდომის უფლება არ აქვთ.

ევროპელი მეცნიერები ზოგჯერ იძულებული არიან, ძვირად ღირებული ნამუშევრები

მობილური და სტაციონარული ლაბორატორიების გარდა, პროექტი „ქარიზმა“ ხელოვნებათმცოდნეებს საშუალებას აძლევს, ხელი მიუწვდებოდეთ ხელოვნების ათასობით ნიმუშის ბაზაზე, რომლებიც ევროპის სხვადასხვა საცავეებში ინახება.

მომზადებულია Euronews-ის მიხედვით



მიმდინარეობს ექსპონატის შესწავლა



2013

1990

2000

1934



ყველა დროის საყვარელი სპორტული გავითი ყოველდღე

სიანსლე!

ყველ შაბათს „ლელო“ ჟურნალის სახით!



რუკა ორიგინალურად პიტერ სკინერის წიგნისთვის შეიქმნა

„დაკარბული“ ქვეყანა რატომ არის საქართველოს ისტორია და კულტურა ასე მსიჩად ცნობილი ინგლისურად მოლაპარაკე მსოფლიოში?

ა) პრობლემა: რატომ არის საქართველოს ისტორია ასე მცირედ შესწავლილი დასავლეთში?

ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანი საქართველოს პირველად (და ხშირად უკანასკნელად) საკლასო ოთახში ხვდება, სადაც ეცნობიან მითს იაზონისა და არგონავტების მოგზაურობის შესახებ. ამით მათ ბუნდოვანი წარმოდგენა ექმნებათ კოლხეთსა და კავკასიაზე, მაგრამ საქართველოსთან ურთიერთობა მოსწავლეებისთვის ამითვე მთავრდება. შემდგომ ჩვენ შეიძლება მივყვეთ პომპეუსს აფრიკასა და ესპანეთში, მაგრამ არა იბერიასა და კოლხეთში. ამით ამოიწურება ჩვენი უმნიშვნელო ცოდნა საქართველოს წარსულზე. საკითხავია — რატომ? რატომ არ იცის არაფერი უდიდესმა უძრაველობამ ამ ქვეყნის

შესახებ? არაფერი არ იცის მის ბრწყინვალე ქრისტიანულ კულტურასა და აქ მცხოვრები ხალხის მაღალ ერუდიციანზე; არაფერი იცის საქართველოზე, რომელიც შეუპოვრად იბრძოდა არაბების, ჯალალედინის, მონღოლების, თემურ-ლენგის, სპარსეთის, თურქეთისა და რუსეთის წინააღმდეგ...

რატომ არ ვიცით ჩვენ, ვინ იყო დავით აღმაშენებელი, თამარი, თეიმურაზ I, ვახტანგ VI და ერეკლე II... რატომ არის, რომ ასე ძალიან ცოტა რამ ვიცით „ვეფხისტყაოსანზე“ და რომ ჩვენთვის სრულიად უცნობია წერეთლის, ჭავჭავაძის, ვაჟასა ან გალაკტიონის სახელები?


უმთავრესი პირობა ქვეყნის ადგილმდებარეობა გახლავთ: საქართველო მდებარეობს კონსტანტინოპოლის იქით, ევროპის

ჩვენეული ხელოვნური საზღვრის მიღმა. იმპედროულად, ჩვენთვის საქართველო არც ახლო აღმოსავლეთთან არ ასოცირდება. ურთიერთობას აძნელებს ქართული ენაც — მეტად რთულია ქართული დამწერლობა და შესაბამისად, ნაკლებად ხელმისაწვდომია ლიტერატურაც. ამ ყველაფერთან ერთად საქართველო, მოზაიკის მსგავსად, მუდმივად იცვლის თავის პოლიტიკურ ერთეულებს და ქვეყნის შემეცნება ჩვენთვის ამითაც ბრკოლდება. ამ მხრივ რელიგიაც ვერ გვიწყობს ხელს, რადგან მხოლოდ სპეციალისტი თუ ხელდაეს კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმის მიღმა ქართულ მართლმადიდებლურ კულტურას. საქართველო ჩვენთვის (1990 წლამდე მაინც) შეიძლება ჩაითვალოს „ისტორიის შვილობილად“, ჩვენ იგი წარმოგვიდგებოდა ქვეტექსტად სპარსეთის, თურქეთისა და რუსეთის ისტორიებისა, რაც, რა თქმა უნდა, არის სამარცხვინოდ დაუნახავი და ინტელექტუალურად შეზღუდული მსოფლმხედველობა, მაგრამ ეს ხომ რეალობაა?

შეგვიძლია ვთქვათ, რომ უგულვებელყოფა მცირე ქვეყნების ისტორიის თანამდევია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ თვით საქართველოსაც ჯერ არ აუშოქმედებია შეთანხმებული პროგრამა, რომლითაც ითარგმნება ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ისტორიული და ლიტერატურული ნაშრომები (ან მათი ნაწილი მაინც) ინგლისურ ენაზე. უცხოელები, როგორც ვხედავთ, ამას არ აპირებენ, რის მიზეზადაც ის მოაქვთ, რომ მთარგმნელთა რიცხვი მცირეა, საამისოდ დიდი თანხებიცაა საჭირო და არც მარკეტინგზე ზრუნავს ვინმე. მაშასადამე, გვრჩება მხოლოდ იმის იმედი, რომ მთავრობამ დააფინანსოს სამეცნიერო და მთარგმნელობითი სამუშაოების პროგრამა, რომელსაც ქართველი სწავლულები და მთარგმნელები აღასრულებენ. ამით საქართველოს ისტორია მსოფლიო სარბიელზე უფრო სრულად წარმოჩინდებოდა.

ბ) როგორია დღეს საქართველოს შესწავლის მდგომარეობა. რა მასალები მოგვეპოვება ინგლისურ ენაზე? რა დონის და რამდენად ხელმისაწვდომია ისინი ჩვენთვის?

მეტისმეტო იქნება, უგულვებელყოფით ის, რაც უკვე გაკეთდა ამ მხრივ. ბოლო წლებში გამოვიდა ვ. სილოგავასა და კ. შენგელიას




პიტერ სკინერი

ბრიტანული წარმოშობის თანამედროვე ამერიკელი ისტორიკოსი, მეცნიერი და რედაქტორი პიტერ სკინერი დაინტერესებულია საქართველოს ისტორიითა და კულტურით. მსოფლიო საზოგადოება კარგად იცნობს მის წიგნს „მსოფლიო საგაჭრო ცენტრი“, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტიდან მოკლე ხანში გამოიცა და მაშინვე რვა ენაზე ითარგმნა.

პიტერ სკინერმა სხვადასხვა დროს იმოგზაურა საქართველოში. იყო ინტერნაციონალური სიმპოზიუმის რედაქტორი, რომელიც მიემდგვნა საქართველოს ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას ანტიკური ხანიდან მოდერნიზმამდე.

პიტერ სკინერის აზრით, საქართველოს შესახებ ფართო აუდიტორიისთვის მასალები ძალიან მწირია. მეტიც, საქართველოს ისტორია ხშირად წარმოდგენილია მხოლოდ ერთგვარი ქვეტექსტების სახით სპარსეთის, თურქეთისა და რუსეთის ისტორიისა.

თავის ახალ წიგნში „საქართველო: მიწა კავკასიონის ქვემოთ“, რომელიც 2013 წელს დეკემბერში გამოიცა, პიტერ სკინერს ფართო მკითხველამდე მიაქვს საქართველოს ისტორია. აღსანიშნავი და საგულისხმოა, რომ სკინერი თავის ნაშრომში ეფრდნობა ინგლისურ ენაზე არსებულ, მაგრამ აქამდე უგულვებელყოფილ მრავალ წყაროს. მას აქვს ბევრი ისეთი საინტერესო წყაროც, რომლებიც არ არის ცნობილი ქართველი მკითხველისთვის. მეცნიერის მიზანია, წახალისოს და გააცხოველოს ქართული ისტორიული და ლიტერატურული ნაშრომების თარგმნა ინგლისურენოვანი სამყაროსთვის.



პომპეუსის სამხედრო კამპანიები კოლხეთსა და იბერიაში. ძვ.წ. 66-63

„საქართველოს ისტორია“ (2007) და ასევე ნ. ასათიანისა და ო. ჯანელიძის ამავე სახელწოდების წიგნი (2009). მაგრამ, ამ ორივე წიგნს არ აქვს ინდექსაციის გვერდები, რომლითაც მკითხველი მოვლენებს ქრონოლოგიურად აღიქვამდა. თანაც იმდენი ფაქტით არის გაჯერებული ეს წიგნები, რომ ჩვეულებრივი მოყვარულისთვის, ვინც პროფესიონალურად არ იკვლევს ისტორიას, მისი ნაყოფიერი გამოყენება წარმოუდგენელია. ამ ორ წიგნს კიდევ ერთი დიდი პრობლემა აქვს. წიგნები კომპიუტერის გამოყენებით(!) არის ნათარგმნი და შესაბამისად, დახვეწილი ინგლისურის ნაცვლად, საკმაოდ დაკნინებული ენით არის გადმოცემული. თან ორივე წიგნი ღირს 250 დოლარზე მეტი (თითოეული), რაც კიდევ უფრო დიდ ბარიერს წარმოადგენს მოყვარულისთვის! ინგლისურენოვან დაინტერესებულ მკითხველს ძალიან აკლია ხელმისაწვდომი რჩეული ლიტერატურა საქართველოს ისტორიაზე, რაც დააკმაყოფილებს არა მხოლოდ სწავლულთა და აკადემიურ დონეს, არამედ, უბრალოდ მოყვარული მკითხველის მოთხოვნილებებს, რომელსაც თავისი ცოდნის არეალის გაზრდა სურს. დიდი

მოთხოვნა თანამიმდევრულ ქრონოლოგიურ ნაშრომზე, რომელიც უნდა შეიცავდეს შუქის მომფენ ციტატებს ქართლის ცხოვრებიდან, ვახუშტისგან, მარი ბროსესა და ფანე ჯავახიშვილისგან, ასევე თანამედროვე ისტორიკოსებსაც. კარგი იქნებოდა, ცალკეული ტომი დაეთმოს არქიტექტურას, ასევე მხატვრობას და ლიტერატურას.

რაც შეეხება ინგლისურ ენაზე გამოცემულ ნაშრომებს, ისინი მთლად ხელწამოსაკრავი არ არის. უძვირფასესი ნაშრომები გვაქვს თავდადებულ და ბრწყინვალე სწავლულთა და მოღვაწეებისგან. გვაქვს ოლივერ უორდროპის „საქართველოს სამეფოს ისტორია“ (A History of Kingdom of Georgia, 1888), ვ.ე.დ. ალენის „ისტორია ქართველი ხალხისა“ (History of the Georgian People, 1932), დ.მ. ლენგის „ბოლო წლები საქართველოს მონარქიისა“ (Last Years of the Georgian Monarchy, 1957), „საქართველოს თანამედროვე ისტორია“ (A modern History of Georgia, 1962) და რ.გ. სანის „საქართველოს ისტორია“ (A History of Georgia, 1988). ყველაზე უახლესს ჩვენ შეგვიძლია მივესალმით ბატონი დონალდ

რეიფილდის სიღრმისეულ და დეტალურ წიგნს „იმპერიის ნაპირი“ (Edge of Empire: A History of Georgia, 2012). ლიტერატურის ფრონტზე გვაქვს უორდროპის ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანი“ (1912) და დონალდ რეიფილდის მაგიური „საქართველოს ლიტერატურა“ (The Literature of Georgia, 1994). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი — აკადემიური ნაშრომია და არა პოპულარული, ფართო მასშტაბზე გათვლილი გამოცემა. ყველა ეს წიგნი მკითხველისგან დიდ განსწავლულობას მოითხოვს. ყველაზე ადრეული გამოცემები კი აღარც მოიპოვება და თუ სადმე წავაწყდით, ძალიან ძვირი დაგვიჯდება. უფრო თანამედროვე გამოცემებიც ძალიან ძვირია. უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებს კი აქვთ ეს წიგნები, მაგრამ ამ უნივერსიტეტების უმეტესობა მკითხველს უფლებას არ აძლევს, წიგნი ითხოვოს.

სხვა უფრო სპეციფიკური მასალებიც არსებობს, აკადემიური წიგნები და ჟურნალები ნაციონალურ და სხვადასხვა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებში. ესენია: რ. ტომსონის თარგმანი (დავით აღმაშენებლის პირველიდან მეოთხე ნაწილამდე), ქართლის ცხოვრების მათიანე და ბედი ქართლისას თარგმანი

(კ. სალია), ასევე არსებობს ძალიან მცირე თარგმანები ქართული პოემებისა, მოკლე თხზულებებისა და პროზაული ნიმუშებისა.

გ) რა არის საჭირო ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად და როგორ უნდა გადაიჭრას ეს სიძნელებები

ჩემთვის მალევე გახდა ნათელი, რომ თუ მინდოდა მომეზადებინა ყველასთვის ხელმისაწვდომი, საშუალო სირთულის მოთხრობა საქართველოს ისტორიაზე — დაწყებული ბერძნულ-კოლხური პერიოდიდან, დასრულებული საბჭოთა ჯარების ოკუპაციამდე 1921 წელს, თავისი მიუღვევრდიანი რუკით ყოველი საუკუნისთვის (ესე იგი, ოცი ფერადი რუკით) და 140 შავ-თეთრი ილუსტრაციით, — მივხვდი, რომ ეს სამუშაო საკუთარ თავზე უნდა ამელო. ჩემი ნამუშევრიდან დღეს 500 ფურცელია გამოსული. ჩემი წიგნი არ გახლავთ ორიგინალური აკადემიური ნაშრომი; აქ არ არის აქამდე უცნობი წყაროების არქივები, არამედ ის მხოლოდ განიხილავს საქართველოს ისტორიას უფრო მარტივ კონტექსტში. ჩემი წიგნი ყვრდნობა დაახლოებით 300 სხვა წიგნს (მათ შორის 95% ინგლისურ ენაზეა). ყოველი ჩემი გამოყენე-

ყველაზე ფართოდ განვრცობილი საქართველო, XIII საუკუნე





ბული წყარო მიუთითებს ორიგინალზე და განუმარტავს მკითხველს, რა საიდან მოვიდა. თუმცა ციტირებული მასალების უმეტესობა პირველად იხილავს დღის სინათლეს არააკადემიური წრეებისთვის. ჩემს წიგნში მითითებულია ყველა გამოყენებული წყარო, მაგრამ სამწუხაროდ, იქიდან რეალურად ძალიან ცოტა მკითხველს მიუწვდება ხელი, უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში დაცული ლიტერატურის გარდა.

ყოველი ცდა საქართველოს ისტორიის შესწავლისა უცხოელის მიერ, მით უფრო, ვინც არ არის ამ სფეროს სპეციალისტი, კადნიერება და აჩქარებაა. ჩვენ არ ვითხოვთ, ამ წიგნმა დააკმაყოფილოს ყველა ზემოთ ჩა-

მოთვლილი პირობა. ჩვენი წიგნი მხოლოდ იმის მცდელობაა, წააქეზოს ქართველი აკადემიკოსები და სწავლულები, რათა თქვან: „ეს წიგნი შეიძლება იყოს დასაწყისი, მაგრამ ჩვენ ბევრად უკეთ წარმოვადგენთ საქართველოს ისტორიას ინგლისურად მოლაპარაკე სამყაროსთვის; ჩვენი ასეთი წამოწყება საქართველოს უპირატეს ინტერესებში შედის, რათა ჩვენი კულტურა და ისტორია უფრო ფართო აუდიტორიისთვის წარმოგაჩინოთ“.

დ) რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ ითარგმნოს ძირითადი წიგნები?

როგორ შეიძლება ეფექტიანად წარმოგაჩინოთ საქართველო ფართო მასშტაბის სარ-

RUSSIAN ANNEXATION of 1801



ბიელზე რიგითი, მოყვარული მკითხველისთვის? უბირველესი, რაც უნდა გაკეთდეს, ასევე პირველი სასიცოცხლო ნაბიჯი მიმზიდველი წიგნის გამოცემაა — კარგად ილუსტრირებული, მკითხველისთვის შთამბეჭდავი, საქართველოს ისტორია არაქართველებისთვის, რომელიც მუდმივად გამოიცემა ხელახლა და რაც მთავარია, ხელმისაწვდომ ფასებში. დღევანდელ ვიზუალურ სამყაროში, სადაც ყველაფერი ეკრანისებურია, წიგნი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ფერად რუკებს. ქვეყნის ისტორია უნდა წარმოგვიდგეს არა მხოლოდ თხრობის საშუალებით, არამედ მოვლენებიც სხვადასხვა ვიზუალური საშუალებით უნდა დაგვანახოს. ეს შეიძლება

საქართველო 1750 წლიდან რუსეთის ოკუპაციამდე

მოხდეს რუკებით ან ძველი ჩანახატებით, რაც სათანადო წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს. ასევე აუცილებლად გეჭირდება ქრონოლოგიები, გენეალოგიები და ბიბლიოგრაფიები (რომლებშიც მითითება იქნება როგორც ქართულ, ასევე არსებულ ინგლისურ წყაროებზე). თუ გვსურს, საქართველოს ისტორია მკითხველს ფართო კონტექსტში შევთავაზოთ და ხელი შევუწყოთ წიგნის გაყიდვა-პოპულარიზებას, საჭირო იქნება გამოიცეს სერიები წიგნებისა, რომლებიც უცხოელებს გააცნობენ ქართულ კულტურას, უფრო ფართოდ დაანახვენ ქართული კულტურის სიღრმეს.



თემურ-ლენგის შემოსევა. ქაშალ ად-დინ ბიჭვადი, XV საუკუნე (ალბომიდან „ნაფარ ზამა“)



დარუბანდის ჩანახატი. 1890-იანი წლების გრაფიურა, ტრუსეტის ენციკლოპედია. ავტორმა ფან-პიერ შოინემ ალექსანდრე დიუმასთან ერთად იმოგზაურა კავკასიაში 1858-1859 წლებში

მაგალითად, რამდენიმე მცირე მოცულობის წიგნი ქართულ პოეზიაზე, რელიგიაზე, არქიტექტურაზე, ქართველ მოგზაურებზე (სულხან-საბას მოგზაურობა ევროპაში, თეიმურაზ ბატონიშვილის „მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა“), ციხესიმაგრეებსა და საბრძოლო ხელოვნებაზე, მწიგნობრობასა და ლიტერატურაზე, ასევე წიგნები კულინარიასა და ღვინოზე. ამგვარი სპეციალური სერიები დიდად წასწვევენ წინ ინგლისურად მოლაპარაკე ქვეყნებში

ქართული კულტურის დანერგვის საქმეს. წიგნების ყოველი სერია პოპულარიზებას უნდა უწევდეს წინა სერიებს და ეს იქნება ერთგვარი რეკლამაც ამ სახის ლიტერატურისა. სამწუხაროდ, ძალიან მცირეა ამ სახის ნაშრომები, ჩვენ არ გვაქვს მსგავსი თემატური სერიები და რაც კიდევ უფრო დასანანი — არ გავაჩნია არანაირი წყაროები, რომლებიც ასეთი წიგნების მოძიებაში დაგვეხმარებოდნენ.

საქართველოს მდიდარი და გავლენიანი კულტურის ისტორია, რომელიც თავისთავადია, განუმეორებელი და არა მეზობელი ქვეყნებისგან შეთვისებული, იყო და არის უნიკალურად ქართული. მონასტრები და სამწერლო-საგანმანათლებლო კერები ათონის მთაზე, სინას მთაზე, სირიაში, ასევე იერუსალიმსა და ბულგარეთში — ამის ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთია. ურთიერთობანი ბიზანტიასთან, მონაწილეობა ჯვაროსნულ ომებში, ელჩობა ევროპის სამეფოებში, მეწინავე როლების აღსრულება სპარსეთსა და რუსეთში — ეს ქართული კულტურის უნიკალურობის ნაწილია, რაც ძალიან მცირედ არის ცნობილი. დიასაც, ნებისმიერი ქვეყნის ლიტერატურა ამჟღავნებს იმ ღრმა სიმდიდრეებს, რაც თითოეულ კულტურაში იმალება. ჩვენ გვაქვს „ვეფხისტყაოსანის“ თარგმანი ვ. უორდროპის (1912), ვ. ურუშაძის (1968), კ. ვივიანისა (1877) და რ. სტივენსონისა (1977), მაგრამ ისინი ნაკლებად არის ცნობილი. დონალდ რეიფილდი (იხ. ზემოთ) გვაძლევს ბევრ ბრწყინვალე თარგმანს ქართული პოეზიიდან, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, იშვიათად არის ხოლმე მთლიანი პოემა მოცემული. ქართული პოეზია (Georgian Poetry, 2004) ბადრი შარვაძის შენიშვნებით წარმოგვიდგენს მთლიან თარგმანებს დ. რეიფილდისგან, ვ. ურუშაძისგან, ვ. მაისა და დ. რუსელიისგან, სადაც არის 125 ქართული პოემა, მაგრამ ამ წიგნის მოპოვება ფიზიკურად შეუძლებელია. პროზის ფრონტზე შემთხვევით შეიძლება გადააწყდე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“ (1955, მოსკოვი) და გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელას“ (1981), რომლის მხოლოდ პირველი ნაწილია ნათარგმნი. ვიცით, რომ არსებობს უორდროპის ქართული ხალხური მითების თარგმანი (Georgian Folk



„მოგზაური ქალი ცხენზე“. უცნობი მხატვრის მიერ კავკასიაში შესრულებული ჩანახატი დაიბეჭდა ჟურნალ „ტურ დე მონდო“, 1870 წელს



პიტერ სკინერი ვანის ქვაბებში, წმინდა გიორგის ტაძარში


Tales), მაგრამ ამ წიგნის შოვნაც შეუძლებელია. მხატვრობა, არქიტექტურა, დეკორაცია და სამზარეულო ბევრად კარგად არის წარმოჩენილი, თუნდაც მხოლოდ თბილისში მოგზაური ტურისტისთვის. მაგრამ ჩვენ მაინც გვაკლია ფიროსმანი, გუდიაშვილი, გამრეკელი, იშხნელი... ეს მცირედი ჩამონათვალია. თბილისში, მართალია, უზვადაა წიგნები ეკლესია-მონასტრებსა და მათ არქიტექტურაზე, მაგრამ თითქმის არ იშოვება ნაშრომები ციხესიმაგრეებსა და ციხე-დარბაზებზე.

ქართულ სტამბებში დაბეჭდილი წიგნის ხარისხი და გამოცემის დონე მაღალი კლასისაა, მაგალითად; თბილისის, მცხეთის და ქუთაისის სერიები, ანდა ძველი ქართული ქალაქებისა და სოფლების სერიები; საქართველოს ნაციონალური ტურიზმის სააგენტოს გამოცემები, ქართული მხატვრობისა და კულტურის ცენტრის გამოცემები და რამდენიმე წიგნი ქართულ სამზარეულოზე, ქსოვილებსა და ღვინოზე... მაგრამ როგორ უნდა მიაკვლიოს ადამიანი ამ წიგნებს? საზღვარგარეთ ეს თითქმის შეუძლებელია, თუ საქართველოში არ ჩახვალ და არ იყიდი!

ეს წერილი უნდა დასრულდეს ბოდიშის მოხდითა და თხოვნით. არც ერთ უცხოელს არ შეუძლია, ობიექტურად განსაზღვროს საქართველოში ინგლისურ ენაზე მიმდინარე მთარგმნელობითი საქმიანობა და შესთავაზოს, რომელი მწერლები უნდა ითარგმნოს. დაფინანსება ყოველთვის პრობლემა იქნება. მაგრამ თანამედროვე ინტერნეტის ხანაში, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ, მხოლოდ მცირე თხოვნა გვქნება: ერთი ინტერნეტგვერდი მაინც არსებობდეს, სადაც განთავსდება ინგლისურ ენაზე ნათარგმნი ქართული ნაშრომები და საიდანაც მოყვარული მკითხველი ამ წიგნების შეკვეთას შეძლებს. ეს იქნება პირველი სასიცოცხლო ნაბიჯი ქართული ისტორიით, კულტურითა და ლიტერატურით დაინტერესებული ფართო საზოგადოების მოპოებისთვის, რასაც უძველესი კულტურული მემკვიდრეობით მდიდარი საქართველო ნამდვილად იმსახურებს.

პიტერ სკინერი

(თარგმნა ლევან კიკნაძემ)



პიტერ სკინერის წიგნის წინა ყდა



კოპ კერის სამონასტრო კომპლექსი

გატაცებული მუზეუმი კამბოჯაში ბრუნდება

„სოთბის“ სააუქციონო სახლთან და ლოტის მფლობელთან შეთანხმება უკვე მიღწეულია. 2013 წლის 12 დეკემბრის დოკუმენტით, რომელსაც ხელს აშშ-ის ფედერალური პროკურორიც აწერს, სკულპტურის ყოფილი მფლობელი ვალდებულია, არტეფაქტი კამბოჯაში 90 დღეში დააბრუნოს. ძველინდური ეპიკური პოემის, „მაჰაბჰარატას“ ერთ-ერთი მთავარი გმირის სკულპტურა 1970 წელს კოპ კერის სამონასტრო კომპლექსიდან მოიპარეს. იგი ვიშნუს ტაძარს ამკობდა.



მფლობელს მეფე დურიოდჰანას სტატუის გაყიდვა \$3 მილიონად სურდა

ქმედების X საუკუნის ქანდაკება „სოთბის“ ნიუ-იორკის აუქციონზე 2011 წელს გამოიტანეს. კამბოჯის ხელისუფლებამაც აშშ-ის პროკურატურას გატაცებული არტეფაქტის დაბრუნების თხოვნით მიმართა. როცა რამდენიმე ექსპერტმა დაადასტურა, რომ აუქციონზე გატანილი სტატუა 1970 წელს კოპ კერის მონასტრიდან გატაცებული დურიოდჰანას სკულპტურა იყო, აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტმა 2012 წელს „სოთბის“ წინააღმდეგ სასამართლო პროცესი წამოიწყო უკანონო ვაჭრობის ბრალდებით.

ნიუ-იორკის სამხრეთის ოლქის პროკურორმა პრიტ ბჰარარამ სამოქალაქო სარჩელიც შეიტანა სააუქციონო სახლისთვის გატაცებული არტეფაქტის კონფისკაციის მოთხოვნით.

ლოტის მფლობელს ბრალი დასდეს, რომ მან სკულპტურის არაკანონიერი წარმოშობის შესახებ იცოდა, თუმცა 2011 წელს მაინც გაიტანა აუქციონზე. X საუკუნის არტეფაქტის ბელგიელი მფლობელი კი ამტკიცებდა, რომ სტატუა 1975 წელს, დიდ ბრიტანეთში გამართულ აუქციონზე კანონიერად შეიძინა. მფლობელს მისი გაყიდვა \$3 მილიონად სურდა. სააუქციონო სახლსა და

არტეფაქტის მფლობელთან შეთანხმების მიღწევის შემდეგ სასამართლო პროცესი შეწყდა.

„ამერიკის შეერთებული შტატები სხვა ერებისთვის მოპარული და გატაცებული უძველესი ნივთების ბაზარი არ არის. ჩვენ განვაგრძობთ ყველა იმ ნივთის ამოღებასა და უკან დაბრუნებას, რომლებიც აქ არალეგალურად ჩამოიტანეს“, — ამბობს პრიტ ბჰარარა.

2013 წლის ივნისში აშშ-ის ხელისუფლებამ კამბოჯაში ორი სხვა სტატუა დააბრუნა. ერთ-ერთი იყო „მუხლმოდრეკილი მსახური“, რომელიც ასევე კოპ კერის სამონასტრო კომპლექსიდან სამოქალაქო ომის დროს, XX საუკუნის 60-70-იან წლებში გაიტაცეს. „მუხლმოდრეკილი მსახურები“ მეტროპოლიტენ-მუზეუმში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელოვნების გალერეაში ინახებოდა.

ამჟამადაც კამბოჯის ხელისუფლებამ მოლაპარაკებებს განაგრძობს კალიფორნიის შტატში, პასადენაში მდებარე ნორტონ საიმონის მუზეუმთან, ღურიოდჰანას „ტყუპისცალი“ სტატუის დაბრუნების შესახებ. სკულპტურა აქ 1980 წლიდან ინახება. მუზეუმის ექსპერტები პასადენიდან კამბოჯაში 2014 წლის დასაწყისში ჩაელენ. მათ უნდა შეისწავლონ ადგილი და კვარცხლბეკი, სადაც მოპარული სტატუა იდგა. ღურიოდჰანას „ტყუპისცალის“ რეპატრიაციის შესახებ დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ.

*მომზადებულია
Archaeology Magazine-ის მიხედვით*



„მუხლ-
მოდრეკილი
მსახური“,
ისევე როგორც
ღურიოდჰანას
სტატუა,
კოპ კერის
სამონასტრო
კომპლექსიდან
მოიპარეს



„მუხლმოდრეკილი მსახურის“ კვარცხლბეკი



ღურიოდჰანას
და მისი
ტყუპისცალის
სტატუის
კვარცხლბეკები
კამბოჯაში



ბოსფორი და დარდანელი

სრუტეების ისტორია კონსტანტინოპოლის
დაცემიდან დღემდე
(ნაწილი I)

ანტიკური ხანიდან მოყოლებული, შავ ზღვას უდიდესი საგაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა მისი მოსაზღვრე თუ არამოსაზღვრე ქვეყნებისთვის. ისეთი მსოფლიო იმპერიები, როგორებიც იყვნენ რომი და ბიზანტია, დიდ ადგილს უთმობდნენ შავიზღვისპირეთის ქვეყნებთან ვაჭრობას. მანამდე, ანტიკურ ხანაში ბერძნებს საკმაოდ გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონიათ შავიზღვისპირეთში მოსაზღვრებთან. ამის ნათელი მაგალითია მათ მიერ დაარსებული კოლონიები, რომელთა დიდი ნაწილი შემდგომში საფუძვლად დაედო მრავალ ზღვისპირა საქალაქო ცენტრს, მათ შორის, ქართული მოდემის ხალხების მიწებზე.

შავ ზღვაში შემსვლელთ თუ შავი ზღვიდან გამსვლელთ უწყვედად ორი სრუტის გავლა, რადგან ეს ერთადერთი საზღვაო გზაა ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვაში შესასვლელად. ეს გახლავთ დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები. შავსა და მარმარილოს ზღვებს ერთმანეთთან ბოსფორის სრუტე აკავშირებს, ხოლო მარმარილოსა და ეგეოსის ზღვებს — დარდანელის. იგივე სრუტეები ერთმანეთისგან აცალკევებს ვერობასა და აზიას. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც შეგვიძლია დავინახოთ მკაფიო მიჯნა ხმელეთის ორ სხვადასხვა ნაწილს შორის. სხვაგან აზიისა და ვერობას გამიჯვნა პირობითია. ერთი დიდი კონტინენტის ვერობად და აზიად დაყოფას სწორედ ამ სრუტეების ნაპირებზე დაედო დასაბამი.

ბერძნულად ბოსფორი ნიშნავს „ძროხის ფონს“. ამ სრუტესთან დაკავშირებულია ზოგიერთი ძველბერძნული მითი. 30 კილომეტრის სიგრძის ბოსფორის სრუტე მსოფლიოში ყველაზე ვიწრო სრუტეა, რომელიც საერთაშორისო ნაოსნობისთვის გამოიყენება. მისი მაქსიმალური სიგანე 3,7 ათასი მეტრია, ხოლო მინიმალური — მხოლოდ 750. ბოსფორის სრუტის სიღრმე მერყეობს 36-დან 124 მეტრამდე. დარდანელს ძველად ჰელესპონტს უწოდებდნენ. გადმოცემით, ეს სახელწოდება წარმოიშვა მეფის ასულ ჰელასგან, რომელიც დედინაცვალს გამოექცა, ზღვაში გადავარდა და დაიხრჩო. ჰელესპონტს დარდანელი ეწოდა შუა საუკუნეებში აზიის სანაპიროზე მდებარე ძველი ქალაქის, დარდანოსის მიხედვით. დარ-



მეჰმედ II-ის შესვლა კონსტანტინოპოლში

დანელის სრუტის სიგრძე 61 კილომეტრია, მინიმალური სიგანე 1,2 ათასი მეტრია, მაქსიმალური — 6,5 ათასი. სრუტის მაქსიმალური სიღრმე 103 მეტრია.

ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებთან დაკავშირებით მოქმედი რეჟიმის შესახებ დადებული ხელშეკრულებები, 1936 წელს გაფორმებულ მონტრეს ხელშეკრულებამდე, შეგვიძლია დავყოთ შემდეგ კატეგორიებად: ოსმალური გავლენის პერიოდი (1453-1809); ორმხრივი (რუსულ-ოსმალური) ხელშეკრულებების ხანა (1809-1841) და მრავალმხრივი ხელშეკრულებების ხანა (1841-1923 წლები).

ბოსფორსა და დარდანელს, რომელთაც დღეს თურქეთის სრუტეებს უწოდებენ, ბოლო ორი ათასწლეულის განმავლობაში ფლობდა ორი იმპერია (თავიანთ სამართალმემკვიდრეებთან ერთად) — რომი/ბიზანტია და ოსმალეთი/თურქეთი. XIII საუკუნის პირველ ნახევარში სრუტეებს აკონტროლებდნენ ვეროპელი ჯვაროსნები.

1453 წელს ოსმალთა იმპერიის მიერ ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლის

აღების შემდეგ „მეორე რომა“ (ბიზანტიის სახით) არსებობა შეწყვიტა. შავი ზღვა იქცა „ოსმალეთის ტბად“ და სრუტეებიც ოტომანთა იმპერიის გამგებლობაში მოექცა. ამგვარი მდგომარეობა შენარჩუნდა 1696 წლამდე, როცა რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა აიღო აზოვი, ხოლო მოგვიანებით, 1699 წელს რუსული ზომადლი „კრეპოსტი“ გაემართა სტამბოლისკენ. მიუხედავად ამ წარმატებისა, ოსმალები საშუალებას არ აძლევდნენ რუსებს, შავ ზღვაში საკუთარი ფლოტი ჰქონოდათ, რაც 1700 წლის სტამბოლის ზავით დადასტურდა. უკვე XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო სრუტეების ოსმალეთის იურისდიქციისგან გათავისუფლების საკითხი. 1774 წელს რუსეთ-ოსმალეთის შორის გაფორმებული კუჩუკ-კაინარჯის ზავით, რუსეთმა შავ ზღვაში სავაჭრო ნაოსნობის უფლება მოიპოვა.

სავაჭრო უფლებებსა და თავისუფლებებს არ შეეძლო ჩაენაცვლებინა რუსეთისთვის მნიშვნელოვანი სამხედრო პრივილეგიების მოპოვების საკითხი შავ ზღვაში. 1798 წლისთვის რუსეთსა და ოსმალეთს საერთო მტერი გამოუჩნდათ ნაპოლეონ ბონაპარტის სახით. „ოტომანთა პორტამ“ შავ ზღვაში შესვლის ნება დართო რუსულ სამხედრო ფლოტს, რადგან თავად ესაჭიროებოდა მისგან დახმარება. მოგვიანებით, 1805 წლის რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმებითაც, რუსეთმა მიიღო უფლება, შავ ზღვაში სამხედრო ფლოტი ჰყოლოდა. ამასობაში დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი (1806 წელი), საქმეში ჩაერთნენ ინგლისი და საფრანგეთიც. მათ სურდათ, თამაშის საკუთარი წესები ეკარნახათ რუსეთისა და ოსმალეთისთვის. ნაპოლეონის შთამბეჭდავმა გამარჯვებამ რუსეთთან (და ავსტრიასთან) აუსტერლიცში და ზოგადად, ვეროპაში ფრანგული გავლენის ზრდამ, რომელიც პრესბურგის ზავმა (1805) განამტკიცა, ოსმალეთის იმპერია აიძულა, ნაპოლეონი იმპერატორად ედარებინა. „პორტა“ 1806 წელს იძულებული გახდა უარი ეთქვა რუსული სამხედრო ზომადლების შავ ზღვაში განლაგებაზე. სამი წლის შემდეგ ინგლისმა საკუთარი ინტერესები „ოტომანთა იმპერიის ძველი კანონით“ — ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულებით შენიღბა და ამით ყველა სახელმწიფოს აუკრძალა სამხედრო ფლოტის ყოლა შავ ზღვაში.

1833 წელს რუსეთი მოხერხებულად ჩაერია

დასასრულს მიახლოებულ ოსმალეთ-ეგვიპტის ომში (1831-1833) და მოიპოვა მთელი რიგი პრივილეგიებისა შავ ზღვასა და მის სრუტეებში, რაც უნკიარ-ისკელესის რვაწლიანი ხელშეკრულებით დამტკიცდა. ოსმალეთის იმპერია ვალდებული შეიქნა, რუსეთის მოთხოვნით ჩაეკეტა შავი ზღვის სრუტეები ამა თუ იმ ქვეყნის საჯაჭრო და სამხედრო ხომალდებისთვის. ცხადი გახდა, რომ შექმნილ ვითარებას ევროპა და მით უმეტეს ინგლისი ვერ შეეგუებოდა, რომელმაც საბოლოოდ 1840-1841 წლებში ლონდონის კონვენციით მოახერხა და დააკარგვინა რუსეთს 1833 წლის შეთანხმებით შავ ზღვაზე მიღებული უპირატესობანი. რუსეთის ფლოტი ზღვაში ჩაკეტილი აღმოჩნდა. იმავე ლონდონის კონვენციის მიხედვით, რუსეთსა და ოსმალეთს აკრძალათ შავ ზღვაზე ძალთა თანაფარდობის რეგულირება მხოლოდ ორმხრივ ხელშეკრულებათა საშუალებით. ამიერიდან შავი ზღვის საკითხმა უფრო ფართო მასშტაბი შეიძინა.

ოსმალეთი უფრო და უფრო ექცეოდა ევროპის სახელმწიფოთა გავლენის ქვეშ, რაც თავის მხრივ ყურადღების მიღმა არ რჩებოდა რუსეთს. სწორედ ამგვარი ვითარება გახდა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი 1853-1856 წლების ყირიმის ომისა რუსეთსა და ოსმალეთ-ინგლის-საფრანგეთ-სარდინიის სამეფოს კოალიციას შორის, რომელიც საბოლოოდ რუსეთის მარცხითა და პარიზის ზავით დასრულდა. ზავის პირობებით, შავი ზღვა ღიად გამოცხადდა საჯაჭრო მიზნებისთვის და დაიხურა ყველა სახის სამხედრო ხომალდებისთვის. შავი ზღვის სრუტეების სტატუსი 1871 წლის ლონდონის კონვენციით შეიცვალა, როცა რუსეთმა და ოსმალეთმა მიიღეს შავ ზღვაში სამხედრო ფლოტის ყოლის უფლება. 1878 წლის ბერლინის კონგრესზე რუსეთმა შეიერთა აჭარა, ბათუმი კი თავისუფალ ქალაქ-ნავსადგურად (პორტო-ფრანკოდ) გამოცხადდა. რუსეთის ჯარები და ქართველთა სახალხო ლაშქარი ბათუმში 1878 წლის 25 აგვისტოს შევიდნენ. იმავე დღეს რუსეთის სამხედრო ფლოტის გემებმა ბათუმის ნავსადგური დაიკავეს. ამგვარად, რუსეთის სამხედრო ფლოტმა შავ ზღვაში შეღწევა მოახერხა.

1900-1904 წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკური ორიენტირი შორეული აღმოსავლეთისკენ იყო მიპყრობილი, ამიტომ შავი



ნიკოლოზ I-ის დროს (1825-1855) გაფორმდა უნკიარ-ისკელესის რვაწლიანი ხელშეკრულება

ალექსანდრე II-ის (1855-1881) დროს დასრულდა ყირიმის ომი, 1871 წელს კი რუსეთმა შავ ზღვაში სამხედრო ფლოტის შექმნის უფლება მოიპოვა





რუსეთ-იაპონიის ომი, ცუშიმას ბრძოლა. 1905 წლის მაისი

პორტსმუთის მოლაპარაკებებმა (1905), ფაქტობრივად, რუსეთ-იაპონიის ომი დაასრულა

ზღვის სრუტეების საკითხმა მცირე დროით უკანა პლანზე გადაინაცვლა. თუმცა 1902 წელს საკითხი წამოიწია, როცა აგვისტოში რუსეთმა თხოვნით მიმართა ოსმალეთს, სრუტეებში ოთხი კონტრნაღმოსნის გატარების ნება დაერთო, რომლებიც კრონშტადტიდან შავი ზღვის ფლოტს უნდა შეერთებოდნენ. რადგან რუსეთის ეს თხოვნა თავაზიანობის ფარგლებს არ სცილდებოდა და თანაც მცირეტონაჟიან გემებს ეტებოდა, სულთან აბდულ ჰამიდ II-მ საკითხი არ გაამწვავა და საგანგებო ნებართვით მისცა რუსეთს შავ ზღვაში კონტრნაღმოსნების შეყვანის უფლება. ამან ინგლისის უკმაყოფილება გამოიწვია, რომელიც ოსმალეთის იმპერიას 1871 წლის ხელშეკრულების დარღვევაში დებდა ბრალს, თუმცა როგორც საბოლოოდ გაირკვა, სწორედ შემოადინებული 1871 წლის ხელშეკრულება აძლევდა ოსმალეთის სულთანს უფლებას, საჭიროების მიხედვით, სრუტეებით სარგებლობის ნება დაერთო ამა თუ იმ ქვეყნის ფლოტისთვის. საბოლოოდ, რამდენიმეკვირიანი დიპლომატიური დავის შემდეგ, საკითხი რუსეთის სასარგებლოდ გადაწყდა.

მოგვიანებით, 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში, შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარე საზღვაო ბრძოლებისთვის რუსეთს შეეძლო ბალტიისა და შავი ზღვების ფლოტების გამოყენება. ბალტიის ზღვიდან ფლოტის გაყვანა რუსეთისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა, განსხვავებით შავი ზღვის ფლოტისგან, რომელიც ოსმალეთის იმპერიის მტკიცე უარის გამო, გაეხსნა სრუტეები რუსული ზომაღლებისთვის, გამოუყენებელი დარჩა.

1907 წელს რუსეთსა და ინგლისს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დასრულდა ანტანტის შექმნა საფრანგეთის, ინგლისისა და რუსეთის შემადგენლობით. ხელშეკრულებაში არაფერი თქმულა შავი ზღვის სრუტეების შესახებ. ამის შემდეგ რუსულმა დიპლომატიამ სრუტეების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვიტა, ავსტრია-უნგრეთთან დაემყარებინა დიპლომატიური ურთიერთობა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრ იზვოლსკიმ შეადგინა პროექტი, რის მიხედვითაც რუსეთს თანხმობა უნდა განეცხადებინა ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნია-ჰერცეგოვინის (რომელიც

მხარდამჭერად და „მფარველად“ მიიჩნეოდა რუსეთს) ოკუპაციაზე, რის სანაცვლოდაც ავსტრია-უნგრეთი სრუტეების საკითხში დაუჭერდა რუსეთს მხარს. 1908 წელს იზვოლსკისა და ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ალოიზ ფონ ერენთალის შეხვედრაზე (ბუხლაუში) ზემოაღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ, ერენთალმა განუცხადა იზვოლსკის, რომ გარიგებაზე თანახმა იყო, თუ მცა ამისთვის მხოლოდ ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის „კეთილი ნება“ არ კმაროდა. საქმეში უნდა ჩართულიყვნენ ლონდონის კონფერენციის მონაწილე ევროპის ქვეყნები. მიუხედავად იზვოლსკის იმედისა, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინის დაპყრობის შემთხვევაში ავსტრია-უნგრეთი გაითვალისწინებდა რუსეთის დანტერესებას შავი ზღვის სრუტეებით, ასე არ მოხდა. 1908 წელს ბოსნია-ჰერცეგოვინა ავსტრია-უნგრეთმა დაიპყრო. იზვოლსკის მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, დაეინტერესებინა საფრანგეთი და ინგლისი რუსეთის მდგომარეობით სრუტეებზე, მან სასურველ შედეგს ვერ მიაღწია. საბოლოოდ იზვოლსკი 1910 წელს იძულებული გახდა, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაეტოვებინა, თუმცა ერთი წლით ადრე იზვოლსკიმ, ბუხლაუს შეხვედრის მსგავსი სცენარით, იტალიასთან მოლაპარაკება სცადა.

ნიკოლოზ II-სა და იტალიის მეფე ვიტორიო ემანუელს შორის შეხვედრა გაიმართა ჩრდილოეთ იტალიაში, რაკონიჯში. შეთანხმების მიხედვით, რუსეთმა თანხმობა განაცხადა, მხარი დაეჭირა იტალიელთა სურვილისთვის საკუთარი გავლენა გაეგრძელებინათ ტრიპლიტანიისა და კირენეიკის (თანამედროვე ლიბია) ტერიტორიაზე, რომელიც მაშინ ოსმალეთის შემადგენლობაში შედიოდა. თავის მხრივ, იტალია მხარდაჭერას აღუთქვამდა რუსეთს შავი ზღვის სრუტეების საკითხთან დაკავშირებით. 1911 წელს იტალია-ოსმალეთის ომის დაწყებისთანავე რუსეთმა ხელშეკრულება გააფორმა ოსმალეთთან კონსტანტინოპოლში მივლენილი ელჩის, ნიკოლაი ჩარიკოვის მეშვეობით. ამ ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთის მთავრობას დახმარება უნდა გაეწია თურქეთისთვის ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების მიმდებარე ზონაში არსებული ვითარების შენარჩუნებაში. თავის მხრივ, ოტომანთა მთავრობა წინააღმდეგობას არ

გაუწევდა რუსეთის სამხედრო გემების სრუტეებში გასვლას (როგორც მშვიდობიანობისას, ისე ომის დროს) იმ პირობით, რომ ისინი გაივლიდნენ შეჩერების გარეშე და დაიცავდნენ კონვენციით დადგენილ სავალდებულო წესებს. პროცესში ჩაერთნენ ევროპის დიდი სახელმწიფოებიც. საბოლოო ჯამში, შავი ზღვის სრუტეებში რუსული გემების გატარების განზრახვას ოსმალურ საზოგადოებაში იმდენად უარყოფითი გამოხმაურება მოყვა და ევროპის სახელმწიფოთა უმოქმედობა რუსეთის წინაშე იმდენად შორს წავიდა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი საზონოვმა „განტევენების ვაცად“ ნიკოლაი ჩარიკოვი გამოიყვანა და განაცხადა, რუსეთს არანაირი პრეტენზია არ ჰქონია შავი ზღვის სრუტეებზე და რუსეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში საკუთარ უფლებებს გადააჭარბაო. ჩარიკოვი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ასე დასრულდა მეფის რუსეთის დიპლომატიების მეორე ცდა — მიეღწიათ სრუტეების რეჟიმის შეცვლისთვის დიპლომატიური არხების მეშვეობით, თურქეთთან პირდაპირი მოლაპარაკების გზით.

ბალკანური ომების დასაწყისისთვის (1912)

ნიკოლოზ II





გალიპოლის ოპერაციის კარიკატურა

რუსეთის იმპერიამ უკვე იცოდა, რომ შავი ზღვის სრუტეების საკითხთან დაკავშირებით ვეროპის სახელმწიფოებთან მოუწევდა კონფრონტაცია, ანტანტელი მოკავშირეების ჩათვლით. ამიტომ რუსეთის ძირითადი საგარეო-პოლიტიკური მიზანი იყო, არ დაეშვა მესამე სახელმწიფოს მიერ გავლენის მოპოვება ბოსფორსა და დარდანელის სრუტეებზე. თუმცა ამ გეგმის განხორციელება ადვილი არ აღმოჩნდა. დაშლის პირას მდგარ ოსმალეთის იმპერიაზე ვეროპის ჰეგემონ სახელმწიფოებს ეჭირათ თვალი. 1913 წლის 25 ნოემბერს გერმანიამ ზუთფლიანი კონტრაქტი გააფორმა ოსმალეთის იმპერიასთან და საკუთარი წარმომადგენელი, გენერალი ლიძან ფონ სანდერსი მიავლინა ოსმალური სამხედრო ნაწილების მეთაურად, რამაც რუსეთისა და ინგლის-საფრანგეთის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ინგლის-საფრანგეთისთვის გერმანია კონკურენტი იყო ოსმალეთის დანაწილების საქმეში, ხოლო რუსეთს საკუთარი ინტერესები ჰქონდა შავი ზღვის სრუტეებთან დაკავშირებით. ლიძან ფონ სანდერსის სამხედრო მისიის ოსმალეთში გაგზავნით გამოწვეული კრიზისის პერიოდში რუსეთმა მოახერხა გერმანიასთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნება, თუმცა ცხადი იყო, რომ დიდხანს ეს ვერ გასტანდა.

პირველი მსოფლიო ომის სამხედრო

ისტორიაში ნიშანდობლივია გალიპოლის ოპერაცია, რომელიც დიდი ბრიტანეთის იმდროინდელი საზღვაო მინისტრის, უინსტონ ჩერჩილის ინიციატივით განხორციელდა. ოპერაციის მიზანი იყო კონსტანტინოპოლზე გავლენის მოპოვება ვეროპის სახელმწიფოების მიერ, რომელთაც არ უნდა დაეშვათ კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდება რუსეთის მიერ. ამისთვის 1915 წლის 19 თებერვალს სამხედრო მოქმედებებში ჩაერთო ბრიტანულ-ფრანგული საზღვაო ფლოტი და მალევე დამარცხდა კიდევ თურქებთან. ბრიტანელებმა გადაწყვიტეს სახმელეთო დესანტის გალიპოლის ნახევარკუნძულზე გადასმა, რაც 25 აპრილს მოახდინეს და რაშიც ვეროპელებს დაეხმარნენ ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის სამხედრო ნაწილები. საბოლოოდ, დიდი ბრიტანეთის მიერ არცთუ კარგად ორგანიზებული გალიპოლის ოპერაცია თურქეთის გამარჯვებით დასრულდა. მსხვერპლი დიდი იყო. თურქების მხრიდან 195 ათასი, ხოლო მოკავშირეთა მხრიდან — 141 ათასი კაცი დაჭრილებისა და დაღუპულების სახით აღირიცხა. 1916 წლის 9 იანვარს ანტითურქული ალიანსის უკანასკნელმა სამხედრო ნაწილებმა გალიპოლის ნახევარკუნძული დატოვეს.

ოსმალეთის იმპერია პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მოკავშირე იყო. 1915 წელს

ინგლის-საფრანგეთ-რუსეთს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომელიც რუსეთს აღუთქვამდა კონსტანტინოპოლისა და შავი ზღვის სრუტეების კონტროლს. ეს შეთანხმება ინგლის-საფრანგეთის მხრიდან რუსეთის „მოხიბვლის“ ერთგვარ მცდელობას წარმოადგენდა, რათა მას გერმანიასთან ომი საბოლოო გამარჯვებად მიეყვანა. 1917 წლის „ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის“ გამარჯვების შემდეგ, რუსეთის ახალმა მთავრობამ გააუქმა იმპერიალისტური რეჟიმის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, თუმცა თავის მხრივ მემარჯვენე მონარქისტები მაინც ცდილობდნენ სრუტეების შენარჩუნების საკითხის წინ წამოწევას. 1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსში (კუნძული ლემნოსი) ხელი მოეწერა ოსმალეთის კაპიტულაციას ანტანტის ქვეყნების წინაშე. თურქეთი აძლევდა გამარჯვებულს შავ ზღვაში შესვლისა და კონსტანტინოპოლისა და სრუტეების ოკუპაციის უფლებას. 1920 წლისთვის ანტანტის სამხედრო ნაწილებმა დაიკავეს სტამბოლი და შავი ზღვის სრუტეები, რამაც მათ საშუალება მისცა, შეიარაღებული ინტერვენცია მოეხდინათ სამხრეთ რუსეთში, სადაც სამოქალაქო ომის დროს გენერალ ანტონ დენიკინის ნაწილები იყვნენ განლაგებული. ასევე ანატოლიაში, რაშიც ანტანტის ძალებს ბერძნები ეხმარებოდნენ. 1920 წლის 10 აგვისტოს პარიზის მახლობლად, სევრში დასრულდა პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნებს

შორის ხელშეკრულებათა დადება. მათ ერთი მხრიდან ხელს აწერდა თურქეთი, მეორე მხრიდან კი — დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, სომხეთი, ბელგია, საბერძნეთი, ჰიჯაზი, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, იუგოსლავია და ჩეხოსლოვაკია. ამ ხელშეკრულებით თურქეთი კარგავდა თავისი ტერიტორიის 3/4-ს, სრუტეები უნდა გაეკონტროლებინა სპეციალურ კომისიას, რომელსაც საკუთარი დროშა ექნებოდა და ეყოლებოდა პოლიციაც, თურქეთის ერთადერთი წარმომადგენელი კი მასში მხოლოდ მას შემდეგ შევიდოდა, როცა თურქეთს ერთა ლიგაში მიიღებდნენ.


1921 წლის 16 მარტს რუსეთის სოციალისტურ ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის V მუხლი ეხებოდა სრუტეებს. აღნიშნულის მიხედვით შავი ზღვის სრუტეების საკითხი განსახილველად უნდა გადასცემოდა კონფერენციას შავი ზღვის სპირეთის ქვეყნების შემადგენლობით. საკითხის გადაწყვეტისას დაცული უნდა ყოფილიყო თურქეთის სუვერენიტეტი. მსგავსი პირობები იყო განხილული მოგვიანებით რუსულ-თურქულ ყარსის ხელშეკრულებაში 1921 წლის 13 ოქტომბერს და ასევე 1922 წლის უკრაინულ-თურქულ ხელშეკრულებაში.

პახაზარ ჩალიჩაზა

ოსუ-ის ახალი და უახლესი ისტორიის მაგისტრანტი

გალიპოლის ოპერაციისას, ავსტრალიური და ახალზელანდიური სამხედრო ნაწილების სანვარში. 1915 წელი






ორთქლის ძრავაზე მომუშავე ტრანსპორტის ეპოქა

ავტომობილის „წინაპრები“

ორთქლისძრავიანი ურჩხულების ევოლუცია და აღსასრული

ავტომობილის შექმნას ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. ყველაფერი კი დაიწყო ძალიან დიდი ხნის წინ — ქრისტეს შობამდე დაახლოებით IV ათასწლეულის შუა ხანებიდან, როცა მესოპოტამიაში ბორბალი გამოიგონეს. ბორბალს ორთავალა და ოთხთავალა ტრანსპორტი მოჰყვა...



ჰერონ ალექსანდრიელი



ჰერონ ალექსანდრიელის ორთქლის ძრავა

რომის იმპერიის დაცემამ და ევროპის წვრილ ფეოდალურ სამთავროებად დაქუცმაცემამ ბორბლიანი ტრანსპორტის განვითარებაც დაამუხრუჭა. შუა საუკუნეების ევროპაში ოთხთავლებით მგზავრობა არაკომფორტული და დამძლეული იყო. ამიტომ ბორბლიანი ტრანსპორტით ძირითადად ტვირთი გადაჰქონდათ. ხალხი კი ცხენით, ქვეითად ან მდინარეებით გადაადგილდებოდა.

XV-XVI საუკუნეებში ევროპაში ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ ბუნებრივად მოითხოვა ბორბლიანი ტრანსპორტის გაუმჯობესება. XV საუკუნიდან ოთხთავალა სულ უფრო კომფორტული ხდებოდა. გამოიჩნდა

ტყავის საგარძლიანი, შემინულ-გადახურული ოთხთვალეები. თანდათან შუა საუკუნეების ოთხთვალა ყველასთვის სასურველ ეტლად გადაიქცა. შეიქმნა კომფორტული კარტებიც.

სიტყვა ავტომობილი თვითმოდრავ ოთხთვალას ნიშნავს. თვითმოდრავი ოთხთვალის პირველი მოდელები ევროპაში XVII საუკუნის მიწურულს გამოჩნდა. ეს მოდელები ორთქლის ძრავის საშუალებით მოძრაობდნენ. პირველი თვითმოდრავი ოთხთვალეების დიზაინი, მექანიზმი, ფუნქციები და შესაძლებლობები, რასაკვირველია, ძალიან შორს იყო მომავალი კლასიკური ავტომობილისგან. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ავტომობილის იდეა უკვე გამოიკვეთა. ამ იდეის განვითარებას მთავარი მუხტი ორთქლის ძრავის გამოგონებას და მისმა პრაქტიკულმა გამოყენებამ შესძინა. ორთქლის ძრავა ევროპაში XVII საუკუნიდან გამოჩნდა და მომდევნო საუკუნეში დიდი ცვლილება განიცადა. მის ტექნიკურ სრულყოფაზე იყო დამოკიდებული, როგორები იქნებოდნენ პირველი ავტომობილები.

ორთქლის ძრავის მსოფლიოში უძველესი მოდელი, რაც უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, ჯერ კიდევ I საუკუნის მეორე ნახევარში შექმნა ბერძენმა მათემატიკოსმა და მექანიკოსმა ჰერონ ალექსანდრიელმა. თუმცა ის ალბათ ვერც იფიქრებდა, რომ მრავალი საუკუნის შემდეგ მისი იდეა კვლავ აღორძინდებოდა, დაიხვეწებოდა და ინდუსტრიული რევოლუციის მთავარი მამოძრავებელი გახდებოდა.


პირველი პრაქტიკული ორთქლის ძრავა ინგლისელმა მექანიკოსმა და გამომგონებელმა თომას სვეერიმ დააპროექტა. მისმა მოწყობილობამ, ე.წ. ცეცხლოვანი ტუმბომ, 1698 წელს პირველად გამოიყენა ორთქლის ენერჯია. აღსანიშნავია, რომ 1707 წელს რუსეთის იმპერატორმა პეტრე I-მა გამოიწერა ცეცხლოვანი ტუმბო პეტერბურგში, ზაფხულის ბაღში შადრევნების მოსაწყობად.

სვეერის ორთქლის ძრავა გარკვეულწილად გააუმჯობესა ინგლისელმა გამომგონებელმა თომას ნიუკომენმა. ნიუკომენმა ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ორთქლის ძრავა მექანიკური სამუშაოს მისაღებად 1712 წელს.

ორთქლის ძრავის შემდგომი განვითარება უკავშირდება გამოჩენილ შოტლანდიელ გამომგონებელ-მექანიკოსს, ედინბურგისა და ლონდონის სამეფო საზოგადოებების, პარი-




თომას სვეერი



თომას სვეერის ორთქლზე მომუშავე „ცეცხლოვანი ტუმბო“



ჯეიმს უატი



ოლივერ ევანსის მანქანა-ამფიბია, 1804, ფილადელფია

ზის მეცნიერებათა აკადემიის წევრს ჯეიმს უატს. 1769-1782 წლებში მან მნიშვნელოვნად დახვეწა ნიუკომენის ძრავა და მისი შესაძლებლობები ერთიორად გააუმჯობესა. რაც მთავარია, უატის ძრავა გაცილებით სწრაფი იყო.

ორთქლის ძრავის განვითარებას, ბუნებრივია, მოსდევდა თვითმოდრავი ოთხთვალების განვითარებაც. ორთქლის ძრავაზე მომუშავე ავტომობილის უძველესი მოდელის ესკიზები მიეკუთვნება გამოჩენილ ინგლისელ მათემატიკოსს, მექანიკოსს, ასტრონომსა და ფიზიკოსს ისააკ ნიუტონს. 1663 წელს შესრულებულ მის შრომებში აღმოჩენილია ოთხთვალის სქემა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავდა ორთქლის ძრავას. ნიუტონმა ამ მიმართულებით მუშაობა განაგრძო და XVIII საუკუნის დასაწყისში ნიუკომენტან ერთად შექმნა კიდევ ორთქლის ძრავაზე მომუშავე ოთხთვალა. თუმცა მოდელი ძალიან დიდი იყო და საწვავ მასალას (ქვანახშირს) ჭარბად მოიხმარდა, რის გამოც ნიუტონის ავტომობილი არაპრაქტიკული გამოდგა.

1672 წელს ბელგიელმა იეზუიტმა ფერდინანდ ფერბისტმა შექმნა თვითმოდრავი ოთხთვალის სათამაშო მოდელი. მისი სიგრძე 60 სანტიმეტრი იყო. ამ მინიატურულ ავტომობილსაც ცხელი ორთქლის ძალა ამოძრავებდა.

ორთქლის ძრავაზე მომუშავე პირველი ავტომობილი 1769 წელს შექმნა ფრანგმა მეცნიერმა ნიკოლას ფოზეფ კიუნომ. ეს თარიღი შესაძლოა ავტომობილის დაბადების დღედაც ჩაითვალოს. კიუნოს სურდა შექმნა საკმარისად გამწვავი ძალის მქონე ავტომობილი საარტი-

ლერიო მოწყობილობებისა და ჭურვების გადასატანად. კიუნოს ოთხთვალა პარიზში აიწყო. ერთტონიანი მანქანა დიდი რაოდენობით საწვავს მოიხმარდა. ავტომობილის მართვას ორი კაცი ძლივს ართმევდა თავს. ოთხთვალას შეეძლო 3 ტონამდე ტვირთის გადატანა 2-დან 4 კმ/სთ-მდე სიჩქარით. ტექნიკური თვალსაზრისით, კიუნოს მოდელს ბევრი მინუსი ჰქონდა. როულად სამართავი ავტომობილის ორთქლის დიდ ქვაბში წნევა მალე ეცემოდა. წნევის შესანარჩუნებლად საჭირო იყო მანქანის ყოველ 15 წუთში გაჩერება. ერთ-ერთი მგზავრობის დროს კიუნო და მისი თანაშემწე ვერ გაუმკლავდნენ მართვას და ოთხთვალამ მკვეთრად მოუხვია. ორთქლის ქვაბი კორპუსს მოსწყდა და მიწაზე დაცემისას აფეთქდა. როგორც იმ დროის გაზეთები წერდნენ, აფეთქების ხმამ მთელი პარიზი შეაზანზარა. მიუხედავად ამისა, 1771 წელს კიუნომ მეორე, კიდევ უფრო დიდი ოთხთვალა შექმნა. თუმცა ვერც ამ მანქანამ „გაამართლა“. 1794 წელს კიუნოს მეორე მოდელი პარიზში ახლადშექმნილ ტექნიკურ მოწყობილობათა მუზეუმს გადასცეს. მოგვიანებით ეს ექსპონატი მუზეუმის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა გახდა. ამ ავტომობილის გამოსახულება საფრანგეთის ავტოინჟინერთა საზოგადოების ემბლემად იქცა. შშობლიურ ლოთარინგიაში კი კიუნოს ძეგლი დაუდგეს. 1969 წელს კიუნოს ავტომობილის 200 წლისთავი მუზეუმში საგანგებოდ აღინიშნა.

1801 წელს ინგლისელმა გამომგონებელმა რიჩარდ ტრევისიკმა საზოგადოებას წარუდ-

გინა ორთქლის ძრავაზე მომუშავე პირველი კომპაქტური ავტომობილი, მგზავრთა გადასაცვანად. ორი წლის შემდეგ მეცნიერმა გაუმჯობესებული მოდელი წარმოადგინა — მისმა სიჩქარემ 15 კმ/სთ-ს მიაღწია, ხოლო აღმართზე — 6 კმ/სთ-ს.

1804 წელს ამერიკელმა ოლივერ ევანსმა კი ე.წ. ავტომობილი ამფიბია წარმოადგინა. ორთქლის ძრავაზე მომუშავე მანქანას ნავისებრი კორპუსი ჰქონდა და პროექტის მიხედვით, ხმელეთის გარდა წყალშიც შეეძლო გადაადგილება.

ორთქლის ძრავაზე მომუშავე პირველი ავტომობილების ერთგვარი სახეობა იყო დილიჟანსი — დიდი ზომის ეტლი საქალაქთაშორისო საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფუნქციით. დილიჟანსი დაახლოებით 20 კაცს იტევდა. მათი საშუალებით გადაჰქონდათ ფოსტაც.

აღსანიშნავია მექანიკოსების — გორდონისა და ჰერნეის ახალი ტიპის დილიჟანსები. გარეგნულად ეს მანქანები საკმაოდ ლამაზად გამოიყურებოდა: ლაკირებული მორთულ-მოკაზმული ექსტერიერი, მყუდრო სალონი. თვალში საცემი იყო საკვამური მილები. 1825 წელს ლონდონი-ბატის მიმართულებით 171

ჰერნეის დილიჟანსის მოდელი

კმ-იანი პირველი სამგზავრო ხაზი შეიქმნა. ამ მოვლენამ სათავე დაუდო ჩქაროსნული საგზაო ეკიპაჟების გაფრცვლევას, განსაკუთრებით იტალიასა და საფრანგეთში. თანდათანობით სამგზავრო მანქანების სიმძლავრემ უკვე რვა-ათჯერ გადააჭარბა კიუნოს ავტომობილისას. იმავედროულად შემცირდა საწვავი მასალის ოდენობა.

XIX საუკუნეში ორთქლის ძრავაზე მომუშავე ტრანსპორტის განვითარებას ბევრი პრობლემა და დიდი წინააღმდეგობებიც შეხვდა. ასე, მაგალითად, ჯეიმს უატმა თავის ყოფილ თანამშრომელს რიჩარდ ტრევისიკს ბრალი დასდო ფირმა „ბოლტონი და უატის“ იდეების მოპარვაში. უატი შეეცადა, პარლამენტში მიეღოთ კანონი ორთქლისძრავიანი „საშიში“ ეკიპაჟების ასაკრძალავად. პარლამენტმა მეცნიერის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. პრობლემები გრძელდებოდა. ახალი ტიპის დილიჟანსის პატრონები რვა-ცხრაჯერ მეტ მოსაკრებელს იხდიდნენ, ვიდრე ცხენის ძალაზე მომუშავე ეკიპაჟების მფლობელები. მეტიც, გადასახადი იყო დაწესებული ორთქლისძრავიანი დილიჟანსის ადგილებისა და ბორბლების რაოდენობაზე, ასევე მანქანის სიმძლავრეზე. ბორბლები კი ახალ დილიჟან-





ჰერნის დილიჟანსი

კლასიკური დილიჟანსი-ორთქლის ძრავა ცხენის სიმძლავრეს დაუპირისპირდა



ალბერტ დე დიონი — სპორტული მარკიზი (1899 წ.)



სებს მრავლად ჰქონდა. კონსტრუქცია მოითხოვდა საშუალოდ ექვს ბორბალს. ხშირად დილიჟანსს ორი-სამი ვაგონი ემატებოდა, რაც ზრდიდა ბორბლების რიცხვს.

ახალ დილიჟანსებს საცხენოსნო-საფოსტო ტრანსპორტის მფლობელებმაც შეუტყეს. მათ დაარწმუნეს პარლამენტი, რომ მძიმე ორთქლისძრავიანი მანქანები გზებს აფუჭებდნენ. შედეგად, მათ გადასახადი გაუზარდეს. ტენდენციურად განწყობილი ჟურნალისტები, რომლებიც ძველი ტიპის ეკიპაჟებს „თანაუგრძნობდნენ“, თავიანთ სტატიებში ამუქებდნენ ორთქლისძრავიან დილიჟანსებზე მომხდარ უმნიშვნელო ტექნიკურ პრობლემებს. ამავე დროს, უარყოფითად განწყობილი ე.წ. ლუდიტები (აპროტესტებდნენ სამრეწველო რევოლუციის მოტანილ ტექნიკურ საიხლეებს) ხის მორებით ზერგავდნენ გზებს, ახალ დილიჟანსებს ესროდნენ ქვებს — ორთქლისძრავიანი ეკიპაჟებით მგზავრობა უკვე აღარ იყო უსაფრთხო. ახალი ტიპის დილიჟანსების მთავარი უპირატესობა სიჩქარე გახლდათ. თუმცა კანონით საგზაო ლოკომოტივების შესახებ მათი დასაშვები სიჩქარე გაუტოლეს ცხენის ძალაზე მომუშავე ეკიპაჟებისას — 16 კმ/სთ-ს. 1865 წელს ამ კანონში დამატება შევიდა, რომლის მიხედვითაც ახალი ტიპის ლოკომოტივების (ორთქლისძრავიანი დილიჟანსები) დასაშვები სიჩქარე განისაზღვრა 6,5 კმ/სთ-ით, ორჯერ უფრო მცირე დასახლებულ პუნქტებში. კიდევ ორთქლისძრავიან დილიჟანსებს მოძრაობის დროს უსაფრთხოების დამატებითი ვალდებულებები დააკისრეს. კანონი შემსუბუქდა 1878 წელს, ხოლო გაუქმდა 1896 წელს.

XIX საუკუნის ორთქლისძრავიანი ავტომობილები საკმაოდ მოუხერხებელი იყო. მძღოლს ფაქტობრივად იგივე ცოდნა უნდა ჰქონოდა, რაც რკინიგზის ორთქლმავლის მემანქანეს. ავტომობილის დამერა დიდ ოსტატობასა და დროს საჭიროებდა. მოძრაობისას მძღოლს ხშირად უნდა ეკონტროლებინა ორთქლის წნევა. საამისოდ მანქანაზე საგანგებო მინის მილი იყო დამონტაჟებული. ხშირად მძღოლის უყურადღებობის გამო მილს წნევა ხუთქვდა, მანქანა ჩერდებოდა. საინტერესოა, რომ უკანა ხედის სარკე თავდაპირველად სწორედ მილის საკონტროლებლად დამონტაჟდა ამერიკულ „ლოკომობილზე“. მგზავრობისას

მძღოლს ასევე უნდა ეკონტროლებინა ქვაბ-ში წყლის რაოდენობაც, ჩაემატებინა წყალი აღმართზე ასვლის წინ. ყოველ 30-40 წუთში ქვაბის გამართვა იყო საჭირო. ამგვარად, ორთქლისძრავიანი მანქანა ამ ეტაპზე არ იყო სათანადოდ უსაფრთხო და ხელმისაწვდომი. თუმცა სწორედ მისი მეშვეობით განვითარდა საავტომობილო ტექნიკა. სწორედ ორთქლისძრავიანი ავტომობილებისგან შეპორჩა სიტყვა შოფერი, რაც ფრანგულად მეცეცხლურს ნიშნავს.

XIX საუკუნეში ორთქლისძრავიანი ავტომობილები გამოჩნდა საფრანგეთშიც. ლეონ სერპოლეს მოდელში ტექნიკური მონაცემები საგრძნობლად გაუმჯობესდა, დაახვეწა მართვის სისტემა. 70-იან წლებში მამა-შვილმა ბოლემბა წარმოადგინეს ორთქლისძრავიანი მანქანების მოდელები. 1875 წელს შვილმა ბოლემ პარიზში ე.წ. დამჯერი ავტომობილის მოდელი წარმოადგინა: მასა — 5 ტონა, საწვავის ხარჯვა — 2,5 კგ ნახშირი და 14 ლიტრი წყალი 1 კმ-ზე, სიჩქარე 25 კმ/სთ. 80-იან წლებში გამოჩნდა უმცროსი ბოლეს ახალი მოდელი: მასა — 3,5 ტონა, საწვავის ხარჯვა — 1,5 კგ ნახშირი და 7 ლიტრი წყალი 1 კმ-ზე, სიჩქარე — 38 კმ/სთ. თუ არ ჩავთვლით ამ ახალი მოდელის ორთქლის ძრავას, სწორედ ბოლეს ეს მოდელი უფრო ჰგავს მომავალ კლასიკურ ავტომობილს, ვიდრე თუნდაც პირ-

ველი ბენზინის ძრავაზე მომუშავე მანქანები.


საფრანგეთში ავტომობილის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ასევე ალბერტ დე დიონს, მეგობრები მას სპორტულ მარკიზს უწოდებდნენ. იგი გახდა თავისი ქვეყნის ერთ-ერთი პირველი ავტომობილისტი და საფრანგეთის ავტოკლუბის დამაარსებელი. 1882 წელს კი შეიქმნა ფირმა „დე დიონ-ბუტონ და ტრეპარდუ“, რომელიც ორთქლისძრავიან ავტომობილებს აწარმოებდა. 1894 წელს პარიზი-რუანის ტრასაზე გამართულ პირველ ავტორბოლაზე დე დიონმა საკუთარი მანქანით გაიმარჯვა, თუმცა შემდგომ რბოლებში დამარცხდა და გადაწვიტა, ბენზინის საწვავზე მომუშავე მოდელზე ეფიქრა.

ამდენად, XIX საუკუნე, განსაკუთრებით კი მისი მეორე ნახევარი, ორთქლისძრავიანი ავტომობილების ეპოქას წარმოადგენდა. XX საუკუნის დასაწყისიდან წინა პლანზე წამოვიდა ე.წ. შიდაწვის ძრავები, ორთქლისძრავიანი მანქანები კი თანდათან წარსულს ჩაჰბარდა. თუმცა აშშ-ში ისინი 1930 წლამდეც კი მოძრაობდნენ. XIX საუკუნის მიწურულიდან და XX საუკუნის დამდეგიდან შიდაწვის ძრავის გამოჩენამ და ბენზინის საწვავის გამოყენებამ ავტომობილის ისტორიაში ორთქლის ძრავების ეპოქას წერტილი დაუსვა.

მიხეილ ბარნოვი,

თსუ-ის ისტორიის დოქტორანტი

ნიკოლას ჟ. კიუნოს ავტომობილი მუზეუმში



1800 წლის წინანდელი სათამაშო ბაგინეთიდან

II-III საუკუნის კერამიკა, სარძევე და მინის ჭურჭელი, ხელაღები, სანელსაცხებლეები და 1800 წლის წინანდელი სათამაშო ნიღბიანი კაცის გამოსახულებით — ყველა ეს არტეფაქტი არმაზციხე-ბაგინეთის განახლებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოავლინა.



იქ, სადაც ძველი მცხეთის ცენტრალური ნაწილი და სამეფო რეზიდენცია მდებარეობდა, 250 კვმ ფართობზე მეცნიერებმა ერთმანეთთან ღიობებით დაკავშირებული ყაზარმული ტიპის ათი ნაგებობა აღმოაჩინეს. ასევე გამოვლინდა ორი ტიპის ბრტყელი და ღარიანი ე.წ. მცხეთური კრამიტი.

ექსპედიციის წევრებს აღმოჩენილი მასალებით დასახლების ზუსტი დანიშნულებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესის განსაზღვრა ჯერ უჭირთ.

ვახტანგ ნიკოლაიშვილი (საქართველოს ეროვნული მუზეუმის არმაზციხე-ბაგინეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი): — აღმოჩენილი მასალა, ძველად გამოვლენილ ნაგებობებთან ერთად, ახალ ინფორმაციას გვაწვდის მშენებლობის შესახებ.

თითო-ოროლა არქიტექტურული დეტალიც გამოჩნდა. ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანი წყაროა დედაციხის გეგმის გამოსაკვეთად.

არმაზციხე-ბაგინეთი ერთ-ერთი განვითარებული არქეოლოგიური ძეგლია. ბაგინეთის განახლებული კვლევა მეორე წელიწადია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით მიმდინარეობს. სამუშაოებს საქართველოს ეროვნული მუზეუმი წარმართავს.

ქართლის უძველესი დედაქალაქის, მცხეთის სამეფო რეზიდენცია პირველად 120 წლის წინ ილია ჭავჭავაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით გამოიკვლიეს. მაშინ აღმოჩნდა ბაგინეთში I საუკუნის პოლიქრომული ფერწერის ნაშთი — ფრესკის ნატეხი ქალი-ღვთაების გამოსახულებით,



250 კვმ ფართობზე, ყაზარმული ტიპის ათ ნაგებობასთან ერთად, არტეფაქტებიც აღმოჩნდა



ექსკავაციის
წარმართული
ტაძარი

რაც ამ ეპოქისთვის იშვიათია. მოგვიანებით, 1943-1948 წლებში აკადემიკოსების, სიმონ ჯანაშიასა და ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით გამოვლინდა სამეფო სასახლე — ე.წ. „სვეტებიანი დარბაზი“, რომელიც ტიპის აბანო, ზღუდე-გალავნისა და ოთხკუთხე კოშკების ნაწილები, ქვათილებით ნაგები სამეფო აკლდამის ნაშთი და ერთიანი ქვისგან გამოთლილი ორფერდა სახურავიანი სარკოფაგი, რომელიც შეიცავდა ოქრომჭედლობის (II-III სს.) უმდიდრეს ნიმუშებს.

1993-1998 წლებში მიაკვლიეს ახ.წ. პირველი საუკუნეების ტაძარს მარნით, რომელიც ტიპის ორ აბანოს, აუზსა და ბერძნულ ენაზე შესრულებული ეპიგრაფიკულ ძეგლებს, რომლებიც ქართლის (იბერიის) სამეფო კარზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებზე

მოგვითხრობს. ეროვნული მუზეუმის ექსპედიციამ წლეულს მუშაობა არმაზის ციხეზეც განაახლა.

ტაძრის დასავლეთით აღმოჩნდა ქვათილებით ნაგები და როგორც ჩანს, კრამიტით დაბურული შენობები, სადაც დადასტურდა: მოზაიკური ფილები, კირხსნარისგან დამზადებული პროფილირებული არქიტექტურული დეტალები, სავარძლის ბრინჯაოს მორთულობა, ბრინჯაოს სარკე, მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის ნაწილები და სხვ.

უკვე გამოვლენილ ნაგებობებს — დედოფლის აბანოს, წარმართულ ტაძარს, ორსენაკიან ნაგებობას, სვეტებიან დარბაზს, ერთნაგიან ეკლესიას, კონსერვაცია გაუკეთდა.

„ისტორიანი“



გამოვლინდა
ალიზით ნაგები
შენობის
ნაშთებიც



გენერალი კარლ ვოლფი

კარლ ვოლფი — ზედმეტად ჭკვიანი ნაცისტის გენერალი

1973 წელს ტელეეკრანებზე გამოვიდა საბჭოთა სერიალი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ და მყურებელმა მისი ერთ-ერთი პერსონაჟი, გენერალი კარლ ვოლფი გაიცნო. ეს პიროვნება რეალურად არსებობდა და მემუარებიც ჰქონდა დატოვებული. თუმცა კარლ ვოლფის სახელს იმხანად უმკაცრესი ტაბუ ედო. გენერლის როლის შემსრულებელ მსახიობ ვასილი ლანოვის სუკი დაეხმარა, რომლის დახურულ ბიბლიოთეკაშიც ინახებოდა კარლ ვოლფის წიგნი და მსახიობს მასთან გაცნობის შესაძლებლობა მისცა...

რამ ბაღარაინა ვენეცია, მილანი, ფლორენცია...

კარლ ვოლფი (1900-1984) სასამართლოს მოხელის ოჯახში დაიბადა. სამხედრო კარიერაზე ბავშვობიდან ოცნებობდა, ჩვიდმეტი წლისა ფრონტზე მოხალისედ წავიდა და ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისათვის რკინის ჯვარიც დაიმსახურა. თუმცა ყოველივე ამას გამოდგა.

— გერმანია ომში დამარცხდა, — წერდა შემდგომში ვოლფი, — მას მძიმე სამშვიდობო პირობები წაუყენეს. დაეკარგეთ ტერიტორიები, დაგვაკისრეს რეპარაციები.

ცნობილი გამოთქმა — „ყველა ომი ზავით მთავრდება, გემინოდეთ მშვიდობის!“ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში შფოთი დაიწყო: ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადება (1919 წ.), კომუნისტური პუტჩი ჰამბურგში (1923 წ.), ე.წ. „ვაიმარის რესპუბლიკის“ შექმნა, რომელმაც ხალხის იმედები ვერ გაამართლა, კორუფცია, ინფლაცია, ზნეობისა და ეკონომიკის სრული მოშლა. ყოველივე ამას ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლა მოჰყვა.

— ან კომუნიზმი, ან ნაცისმი, საკითხი სწორედ ასე დადგა. ბევრმა გერმანელმა ნაცისმი ამჯობინა, არსებული ჩიხიდან ერთადერთ გამოსავლად მიიჩნია, — წერს გერმანელი ისტორიკოსი კურტ ფონ ტიპელსკირხი.

ამ გერმანელთა შორის კარლ ვოლფიც იყო, რაც კომუნიზმისადმი მისმა ანტიპათიამ განაპირობა. კონსერვატორულ ოჯახში აღზრდილ ვოლფს მემარცხენეები ჭირფით სძულდა, ამიტომ ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის ჩანშობაში აქტიურად მონაწილეობდა. შემდგომში ვოლფმა საუაჭრო-საადვოკატო ფირმა გახსნა და მსხვილი მრეწველის ქალიშვილზე დაქორწინდა. 1931 წელს ვოლფი ნაცისტური პარტიის წევრი ხდება.

— ვოლფის ცოლი ჰიმლერის ნათესავი იყო. რაიხსფიურერიც ვოლფისადმი ნდობით განიმსჭვალა, — წერს ტიპელსკირხი.

ჰიმლერს მოეწონა კარგი გარეგნობის, განათლებული ახალგაზრდა კაცი, რომელიც ომში მონაწილეობდა და საბრძოლო გამოც-

დილებაც გააჩნდა. ვოლფი აქტიურად მონაწილეობდა დამცავი რაზმების (SS) შექმნაში.

— SS-ის თავკაცი ჰიმლერი იყო. თუმცა მთელი „შავი სამუშაო“ ამ სტრუქტურის შესაქმნელად ვოლფმა გასწია, — მოგვითხრობს ტიბელსკირნი.

ჰიტლერი შემოთავაზებული იყო მოიერიშეთა რაზმების (SA) აღვირახსნილობითა და მათი მეთაურის, ერნსტ რემის თავხედობით. რემს თავი ნაცისტური პარტიის შემქმნელად მოჰქონდა. ფიურერთან ფამილარული იყო. „ძმად აღიარებულ“ — ასე მიმართავდა ის ჰიტლერს. ხელისუფლებაში მოსვლამდე ჰიტლერი იმუშავეს იყო, ამას შეგუებოდა.

— მოიერიშეებმა არჩევნებში ნაცისტების გამარჯვება უზრუნველყვეს, — წერს ამერიკელი ჟურნალისტი და ისტორიკოსი უილიამ შირერი, — მათი ლიკვიდაციის ჟამიც დადგა.

1934 წელს რემი და მისი გარემოცვა გააძაბეს. ვოლფმა ამ დროს თავი გამოიჩინა. მისი ღვაწლი თავად ჰიტლერმა აღნიშნა.

— ამის შემდეგ ვოლფის კარიერა აღმაწვიდა, — წერს შირერი.

ვოლფი ჰიმლერის პირადი შტაბის უფ-

როსი გახდა. 1938 წელს კი რაიხსტაგის დეპუტატად ირჩევენ. რაიხსფიურერი მას ენდობოდა. ვოლფიც მის ყველაზე საიდუმლო და დელიკატურ დავალებებს ასრულებდა.

„გერმანია უნდა გადაპარჩინოთ“

1942 წელს ცხადი გახდა, რომ რუსეთში ბლიცკრიგი ჩაიშალა. პროფესიონალები, მათ შორის ვოლფიც, ხედავდნენ, რომ გერმანია ამ ომს ვერ მოიგებდა. კარლ ვოლფმაც ამის თაობაზე შელენბერგს გულახდილად განუცხადა.

— ჯერჯერობით ფრონტზე საქმეები კარგად მიდის, მაგრამ უნდა ვინჩაროთ და გერმანიის გადარჩენაზე ახლავე ვიზრუნოთ, — უთხრა შელენბერგს ვოლფმა.

— რას გვთავაზობთ? — შეეკითხა შელენბერგი.

— რაიხსფიურერი ჰიმლერი ერთადერთია, ვისაც ქვეყნის გადარჩენა შეუძლია, — ვოლფი წამით გაჩუმდა, — ის ხომ SS-ს უდგას სათავეში, ეს კი დღეისთვის გერმანიაში ყველაზე მძლავრი ორგანიზაციაა.

— კეთილი, უთხარით ამის შესახებ რა-

ჰიმლერის ვიზიტი მატკაუზენში, 1941 აპრილი. მარჯვენა კარლ ვოლფი





ვალტერ შელენბერგი ნიურნბერგის პროცესზე

იხსფიურერს, — უპასუხა შელენბერგმა, ამ თემაზე საუბარი აშკარად არ სიამოვნებდა.

ჰიმლერს დასავლეთთან ზავის დადების თაობაზე პირადად ვოლფი ელაპარაკა. რაინისფიურერი შეცბუნებული იყო. ჰიმლერმა წაიჩურჩულა:

— აბა, რას ლაპარაკობთ...

— გერმანიის გადარჩენაზე ახლავე უნდა ვიზრუნოთ, — ჯიუტად წარმოთქვა ვოლფმა.

გენერალს გეგმა მზად ჰქონდა. SD-ს (უშიშროების სამსახური) გერმანიის წინააღმდეგობის მოძრაობაში თავისი აგენტურა ჰყავდა. მათი მეშვეობით შესაძლებელი იყო დასავლეთთან კავშირის დამყარება, მოსალოდნელი ზავისთვის ნიადაგის მოსინჯვა.

— ჰო, მაგრამ ჰიტლერი მოლაპარაკებებზე არ წავა, — წაიჩურჩულა ჰიმლერმა, — ფიურერს ხომ თავისი ვარსკვლავისა ბრმად სჯერა.

— გეგვც რომ არ იყოს, ჰიტლერთან მოლაპარაკების მაგიდასთან არაფერს დაჯდება, — ვოლფმა გაიღიმა.

— მაშ, როგორ მოვიქცეთ?

— დაე, ე.წ. „ანტიფაშისტებმა“ ფიურერს ანგარიში გაუსწორონ. ამის შემდეგ კი მთელ

წინააღმდეგობის მოძრაობას გაგანადგურებთ, — ვოლფს სახე სერიოზული გაუხდა, — დასავლეთი იმასთან ილაპარაკებს, ვის ხელშიც რეალური ძალა და მართვის რეალური ბერკეტებია. ეს კი მხოლოდ ჩვენ ვართ.

— ჩვენ?!

— უფრო სწორად, თქვენ, ჰერ რაინისფიურერო! გერმანიის გადარჩენის უმთავრესი ტვირთი თქვენ უნდა იკისროთ. მე თქვენს ერთგულ ჯარისკაცად მიგულებთ. მეტზე პრეტენზია არ მაქვს.

— ხომ არ შეიშალებთ?! — ფერწასული ჰიმლერი სავარძელში ჩაეშვა.

რაინისფიურერი კარგა ხანს ყოყმანობდა, თუმცა ბოლოს მაინც გასცა სანქცია, დაწყებულიყო მოლაპარაკებები დასავლეთთან.

მზვიდობის კიეზაში

ჰიმლერი საშუალო მონაცემების კაცი იყო. თანამდებობისთვის, რომელიც ეკავა, არც ინტელექტით, არც განათლებით, არც სიმამაცით შესაფერისი არ ყოფილა. ამან რაინისფიურერის ეჭვიანობაც განაპირობა. ჰიმლერი არაფის, მათ შორის, თვით ვოლფსაც არ ენდობოდა.

— ის ჩემზე ახალგაზრდა, განათლებული, მამაცი და ჭკვიანია, ამიტომ პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში სარმას გამოძებნის, — განუცხადა ჰიმლერმა თავის ადიუტანტს.

ჰიმლერის აგენტებიც ვოლფს გულდასმით უთვალთვალებდნენ. თავის მხრივ, ვოლფს არც SD-ს მაშინდელი შეფი ჰაიდრიხი ენდობოდა. ის გენერალს „ჰიმლერის კაცად“ მიიჩნევდა, ამიტომ ჯაშუშები მიუჩინა. ვოლფის ადიუტანტი ჰაიდრიხისთვის მუშაობდა. თავის მხრივ, ვოლფს გესტაპოს შეფი მიუღწერიც თვალს არ აშორებდა. რაინჰარდ გელენის აზრით, მიუღწერს იმხანად ორი პატრონი ჰყავდა: რუსები და ბორმანი.

— არ გამოვრიცხავ, რომ ბორმანიც უკვე რუსებისთვის მუშაობდა, — წერს ჰიტლერული გერმანიის სამხედრო დაზვერვის (აბვერის) პირველი შეფი რაინჰარდ გელენი.

ამას ვალტერ შელენბერგიც იზიარებს, თუმცა არც მას, არც გელენს არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ მოჰყავთ. ფაქტია მხოლოდ ის, რომ მიუღწერიცა და ბორმანიც ყველაფერს აკეთებდნენ, რათა დასავლეთთან სეპარატული ზავის დადება ჩაეშალათ.

— აქედან გამომდინარე, მართლაც ლოგიკურია ვარაუდი, რომ მიუღწერია და ბორმანიც რუსების აგენტები იყვნენ, თუმცა მხოლოდ ლოგიკაზე დაყრდნობით საბოლოო დასკვნის გამოტანა არ შეიძლება. ასე რომ, ეს მხოლოდ ვარაუდია, რომელსაც არსებობის უფლება უდავოდ აქვს, — წერს უილიამ შირერი.

ამრიგად, ვოლფი გაძლიერებული ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა. მისი ადიუტანტი ჰაიდრიხის აგენტი იყო. დაცვის უფროსი მიუღწერისთვის, იმავედროულად კი ჰიმლერისთვის მუშაობდა. ასევე ორი პატრონი ჰყავდა ვოლფის მდივან ჰერტა ჰასსაც, რომელიც მუშაობდა როგორც ჰაიდრიხისთვის, ასევე მიუღწერისთვის. გესტაპოს აგენტი იყო გებელსის მზარეული ფრაუ ჰილდაც. მიუხედავად ამისა, ვოლფმა მაინც გარისკა და მშვიდობის დამყარებისთვის კონკრეტული ნაბიჯები გადადგა.

1943 წელს ვოლფი ე.წ. „სალოს რესპუბლიკაში“ (მარიონეტული სახელმწიფო ჩრდილოეთ და ნაწილობრივ ცენტრალურ იტალიაში) რაიხის სრულუფლებიან და საგანგებო წარმომადგენლად დაინიშნა. იმავედროულად ვოლფი იყო იტალიაში მთელი გერმანული უშიშროებისა და პოლიციური აპარატის უფროსი. მან კავშირი დაამყარა ვატიკანთან, რაშიც ძველი მეგობარი, ხორვატი კათოლიკე მღვდელი კრუნისლავ დრაგანოვიჩი დაეხმარა. ვატიკანის მეშვეობით ვოლფი გავიდა ევროპაში აშშ-ის დაზვერვის რეზიდენტ ალენ დალესზე, რომელიც მაშინ ბერნში (შვეიცარია) იმყოფებოდა. 1943 წლის ბოლოს ვოლფსა და დალესს შორის კონტაქტი დამყარდა.

რამ გადაარჩინა ვენეცია და ფლორენცია

დალესი გამოცდილი პროფესიონალი იყო და ესმოდა, რომ ჰიტლერული გერმანიის შენარჩუნება ისეთივე ბოროტება იქნებოდა, როგორც გერმანიის დაქუცმაცება და ევროპაში პრორუსული მარიონეტული რეჟიმების დამყარება. საფრთხე კი რეალური გახლდათ. 1944 წლისთვის იტალიაში, საფრანგეთში, საბერძნეთში და სხვა ქვეყნებში კომუნისტური მოძრაობა გაძლიერდა. დალესმაც ვოლფს განუცხადა:

— საკსებით გეთანხმებით, რომ შექმნილ

ვითარებაში გერმანია-დასავლეთს შორის ზავი ერთადერთი ხსნაა, მაგრამ სამწუხაროდ, ეს უკვე შეუძლებელია.

— რატომ? — შეეკითხა ვოლფი.

— იმიტომ, რომ თქვენ, გერმანელებმა, მოახერხეთ და მთელი მსოფლიო გადაიმტერეთ! სამწუხაროდ, დღეს სიტყვა გერმანელი ბარბაროსის სინონიმი გახდა.

— ჩემი აზრით, ცნებები გერმანია და ჰიტლერიზმი ერთმანეთისგან უნდა განვაცალკევოთ, — ვოლფი შეიშმუშნა.

— გეთანხმებით, მაგრამ ამას არც ჩვენი პოლიტიკოსები, არც ხალხი არ იზიარებს! საღმა აზრმა უკანა პლანზე გადაიწია. დაიწყეთ ფსიქოზი. ხალხიც მთავარ მტრად არა ივანს, არამედ ჰანსს მიიჩნევს.

— ჰიტლერი რომ გადავაყენოთ?

— ეს არაფერს შეცვლის. უსიტყვო კაპიტულაცია, — ასეთია როგორც ვაშინგტონის, ასევე ლონდონის პოზიცია! — დალესმა ნაღვლიანად ამოიოხრა, — ეს თანაბრად ეხება როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ფრონტსაც.

— ნუთუ არაფრის გაკეთება აღარ შეიძლება? — ვოლფს ხმა აუკანკალდა.



ევროპაში აშშ-ის დაზვერვის რეზიდენტმა ალენ დალესმა დასავლეთი ევროპა „გაწითლებისგან“ იხსნა



კარლ ვოლფი (მარჯვნიდან მესამე) და გერმანული შტაბების ოფიცრები ბოლცანოში (იტალია). გადაღებულია 1945 წლის 9 ან 10 მაისს

— ახლა დასავლეთ ვეროპის გადარჩენა აუცილებელი, — დალესმა კვლავ ამოიხრა, — ამასაც უდიდესი ძალისხმევა დასჭირდება.

ბერნში საუბარი იყო არა გერმანია-აშშ-ს შორის ზავის დადებაზე, არამედ იტალიაში გერმანული არმიის კაპიტულაციაზე, თუმცა დალესის პოზიციას ბევრი არ ეთანხმებოდა. ფრანკლინ რუზველტის ვაჟი ელიოტი წერს:

— რუსეთმა ომის ძირითადი ტვირთი საკუთარ თავზე აიღო! ამიტომ თუკი ვოლფთან მოლაპარაკება დაეწეო, მას რუსებიც უნდა დასწრებოდნენ!

დალესმა რის ვაი-ვაგლახით მიადწია, რომ ვაშინგტონს მისთვის მხარი დაეჭირა. ასე მოეწყო ოპერაცია „სანრაიზი“ (რომელსაც ბრიტანელები „კროსუორდს“ უწოდებდნენ), რომლის მიზანიც იტალიაში გერმანული არმიის კაპიტულაცია და კომუნისტებისთვის ხელისუფლებაში მოსვლის ხელის შეშლა გახლდათ. ვოლფის დახმარებით, ოპერაცია წარმატებით დამთავრდა. მეტიც, მოხერხდა ვენეციის, მილანის, ფლორენციის გადარჩენა, თუმცა ჰიტლერმა ამ ქალაქების განადგურების ბრძანება გასცა. ვოლფის დახმარებით გადარჩა უამრავი ხელოვნების ნიმუში. ვოლფმა, შეიძლება ითქვას, გმირობა ჩაიდინა, მაგრამ 1945 წელს, მასობრივი ანტიგერმანული განწყობის პირობებში, ამას ბევრი არ იზიარებდა.

ომის უმეღვა

დალესთან მოლაპარაკებები ვოლფს კინალამ სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ბორმანმა ფიურერს მოახსენა, რომ ჰიმლერი თავისი ემისრის, ვოლფის დახმარებით თქვენ ზურგს უკან ამერიკელებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდაო. გააფთრებულმა ჰიტლერმა ვოლფის დაპატიმრება ბრძანა.

— ვოლფი სასწრაფოდ ბერლინში გამოიძახეს. აეროდრომზე მას გესტაპოს შემპყრობი ჯგუფი დახვდა. მიუღერმა მათ პირადად უბრძანა, ვოლფს გენერლის სამხრეები ჩამოაგლიჯეთ, ხელობრკილი დაადეთ და ჰიტლერის ბუნკერში ისე მოიყვანეთო, — წერს ტიპელსკირხი.

ვოლფს მხსნელად შელენბერგი მოველინა. ის აეროდრომზე პირადად გაემგზავრა და გესტაპოელები აიძულა, უკან დაეხიათ. შელენბერგმა ფიურერს ამომწურავი მოხსენება მიართვა და დაუმტკიცა, რომ გენერალი მის საწინააღმდეგო შეთქმულებაში არ მონაწილეობდა. ფიურერმაც ვოლფის დასჯაზე ხელი აიღო. ოპერაცია „სანრაიზი“ წარმატებით დასრულდა.

1945 წლის მაისში მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა. ჰიტლერული რაიხი აღიგავა პირისაგან მიწისა. ორგანიზაციები SS, SD, გესტაპო და სხვ. დანაშაულებრივ სტრუქტურებად გამოაცხადეს. მათი ბევრი წევრი,

როგორც სამხედრო დამნაშავე, საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე წარდგა. ბევრი მოითხოვდა, განსასჯელთა სკამზე ვოლფიც დაესვათ. აღწერა დალესმა თავისი გერმანელი მეგობრის დასახმარებლად ყველაფერი იღონა, თუმცა 1946 წელს ვოლფი მაინც დააპატიმრეს. ზოგიერთი მის სამხედრო დამნაშავედ გამოცხადებასა და ნიურნებერგის ტრიბუნალზე გაყვანასაც მოითხოვდა. „რაო, ჰიმლერის ნდობით აღჭურვილი პირი უდანაშაულოა?!“

1946 წელს ვოლფს ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. დალესმა ციხეში მოინახულა. „ეს უსამართლო განაჩენია. ყველაფერს ვიღონებ, რათა გაათავისუფლონ“, — განუცხადა დალესმა და პირობა შეასრულა. 1949 წელს ვოლფი გაათავისუფლეს. გერმანიის კანცლერი ადენაუერი მის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნას აპირებდა, მაგრამ გერმანიის ლიბერალური წრეები ამას გაათვრებით შეეწინააღმდეგნენ: „როგორ, ნაცისტური პარტიის წევრი, SS-ის გენერალი, ჰიმლერის ყოფილი მარჯვენა ხელი დემოკრატიული გერმანიის მინისტრი უნდა გახდეს?!“

გერმანიის ფედერალური კანცლერი კონრად ადენაუერი

ადენაუერი იძულებული გახდა, დაეთმო. კარლ ვოლფი დასავლეთ გერმანიაში რიგით მოქალაქედ რჩებოდა. როგორც SS-ის გენერალს, პენსია არ ეკუთვნოდა და შემოსავლის ძირითადი წყარო ლექციები გახდა. თუმცა მასზე შეტევები არ ცხრებოდა და დაუინებოთ მოითხოვდნენ უკვე მოხუცი ვოლფის გასამართლებას. კანცლერი ადენაუერი ამას კატეგორიულად შეინააღმდეგებოდა, რამაც შედეგი გამოიღო. კარგა ხანს ვოლფისთვის ხელის ხლებას ვერავინ ბედავდა. მტრები კი არ ცხრებოდნენ. მათ ვოლფს 300 ათასი ებრაელის მკვლელობაში დასდეს ბრალი. ის ბრალდებას კატეგორიულად უარყოფდა.

1961 წელს ვოლფი დააპატიმრეს. კანცლერმა ადენაუერმა მიადწია, გენერალი თავდებით გამოეშვათ ციხიდან, თუმცა გამოძიებაც გრძელდებოდა. 1963 წელს ადენაუერმა კანცლერის პოსტი დატოვა, მომდევნო წელს კი ვოლფი სასამართლოს წინაშე წარდგა. ის უკვე მძიმე ავადმყოფი იყო (გადიტიანა ინფარქტი), თუმცა მაინც გაასამართლეს და თხუთმეტი წლით პატიმრობა მიუსაჯეს.





„გაზაფხულის 17 გაელვების“ ავტორმა იულიან სემიონოვმა კარლ ვოლფს ფულის სანაცვლოდ შესთავაზა, სტეპან ბანდერასთვის გერმანელების აგენტობა დაებრალდებინა

მოხუცი გენერალი საავადმყოფოში მოათავსეს, გერმანელი საზოგადოება მის გათავისუფლებას კატეგორიულად მოითხოვდა, თუმცა კარგა ხანს ამას შედეგი არ გამოუღია. ვოლფი პატიმრობიდან მხოლოდ 1971 წელს გაათავისუფლეს. ექიმებმა დაასკვნეს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვოლფის



კარლ ვოლფის საფლავთან

პატიმრობაში გაჩერება აღარ შეიძლებოდა.

მწერალ-ჯაშუსი

1978 წელს მოხუც ვოლფს მოახსენეს, რომ საბჭოთა მწერალ იულიან სემიონოვს მასთან შეხვედრა სურს. ვოლფი დათანხმდა. მეორე დღეს სემიონოვი გენერალს შინ ესტუმრა.

— დიდხანს და გულახდილად ვისაუბრეთ, — იგონებდა შემდგომში ვოლფი, — სემიონოვი ჭკვიანი და ინტელიგენტი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, თუმცა მისი სუკთან კავშირი საუბრის პირველივე წუთებიდან ნათელი გახდა.

სემიონოვმა ვოლფს სთხოვა, დაედასტურებინა, რომ უკრაინელ ნაციონალისტთა ლიდერი სტეპან ბანდერა ჰიმლერის აგენტი იყო და რაინსფიურერისგან გვარიან გასამრჯელოსაც იღებდა. ვოლფი ამის გაგონებისთანავე შეხტა:

— ეს ტყუილია! ბანდერა ჩვენს წინააღმდეგ იარაღით ხელში იბრძოდა! ამის გამო საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. მისი ორი ძმა ოსვენციმში დაიღუპა, თავად ბანდერა სასწაულით გადარჩა.

— მაგას მნიშვნელობა არ აქვს, — სემიონოვმა გაიღიმა, — მთავარია, არსებობს ხალხი, რომელსაც სურს, ბანდერა ნაცისტების აგენტად წარმოაჩინოს და ამაში ფული გადაიხადოს, მაგალითად, ოცი ათასი ამერიკული დოლარი...

— როგორ მიბედავთ? — გაბრაზდა ვოლფი.

— ოტო სკორცენი დაგვთანხმდა ამ თანხის სანაცვლოდ ბანდერაზე ჩვენთვის სასურველი ცნობების მოწოდებას.

— ის სკორცენია, მე კი ვოლფი! — ცივად წარმოთქვა გენერალმა და ფეხზე წამოდგა იმის ნიშნად, რომ საუბარი დამთავრდა.

მოსკოვში დაბრუნებულმა სემიონოვმა კი დაწერა, რომ ვოლფი თავდაჯერებულ ნაცისტად და ანტიკომუნისტად დარჩა.

კარლ ვოლფმა ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა. ის როზენკაიმი (ბავარია) 84 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი პერსონა დღემდე იწვევს მწერალთა და მკვლევართა ინტერესს. იგი არაერთი რომანისა თუ ფილმის გმირია. ვოლფის ცხოვრებას უამრავი სამეცნიერო მონოგრაფია მიეძღვნა.

ნიკა თაყვაძე

ისტორიის დოქტორი



კემპ ლოუტონი

სელოვნება ტყვეთა ბანაკებიდან

1863 წლის 27 ნოემბერს ტოპოგრაფიის ინჟინერი რობერტ ნოქს სნედენი აშშ-ის ვირჯინიის შტატში, ბრენდი სტეიშენთან კონფედერატებმა დააკავეს. ჯარისკაცებს ჯონ სინგლეტონ მოსბი მეთაურობდა. ეს ტოპოგრაფიის ინჟინრის ტყვეობის დასაწყისი იყო. მან ექვს თვეზე მეტი დაყო სამოქალაქო ომის ტყვეთა ცნობილ ციხე ანდერსონვილში, რომელიც ჯორჯიის შტატის სამხრეთ-დასავლეთში მდებარეობდა. ეს ციხე სამოქალაქო ომის სასტიკი ტანჯვის სიმბოლოა.

დაკავებიდან ერთი წლის შემდეგ, სნედენი პირობით გაათავისუფლეს და ისაია უაიტის ზედამხედველობის ქვეშ დატოვეს. უაიტი ჯორჯიის შტატის აღმოსავლეთში, ახალაშენებულ სამოქალაქო ომის ტყვეთა ბანაკ კემპ ლოუტონში ექიმად მსახურობდა. პირობით გაათავისუფლებამდე სნედენმა ამ ბანაკში ორი თვე გაატარა, თუმცა ციხისა და მისი შემოგარენის ნახაზების შექმნა მოასწრო. მოგვიანებით, სამოქალაქო ომის დასრულებისა და ნიუ-იორკში დაბრუნების შემდეგ სნედენმა ნახაზები აკარულით გადაწერა.

ვირჯინიის ისტორიული საზოგადოების პროგრამული განვითარების მენეჯერი ენდრიუ ტალკოვის თქმით: „იმ პირობით, რომ არ გაიქცეოდა, სნედენი ბანაკის სამხედრო ქირურგთან კლერკად მუშაობდა, ამის გამო მას ბანაკის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების მეტი შესაძლებლობა ჰქონდა“.

სნედენის პირადი არქივის მცველი სწორედ

ტალკოვია. პირადი მოგონებები 5 ათასამდე გვერდია და კემპ ლოუტონის სურათებსაც მოიცავს. სნედენის სურათები უფრო ღრმა წარმოდგენას გვიქმნის ციხეზე, იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდნენ ტყვეები, ასევე კონფედერატების ბანაკზე, რომელიც ციხეს გარს აკრავდა.

სწორედ ეს მხატვრული ნამუშევრები დაეხმარა არქეოლოგებს სამოქალაქო ომის ტყვეთა იმ ბანაკის გათხრებისთვის სწორი ორიენტირების განსაზღვრისას, სადაც სნედენმა 150 წლის წინ მცირე დრო დაყო.

ვირჯინიის ისტორიული საზოგადოების კურატორი, დოქტორი უილიამ რასმუსენი ამბობს, რომ სნედენს საოცარი მხედველობითი მქსიერება ჰქონდა და შესანიშნავად მოახერხა ესკიზების ხელოვნების ნიმუშებად გარდაქმნა, ასევე სამოქალაქო ომისდროინდელ ტყვეთა ცხოვრების აღდგენა.

*მომზადებულია
Archaeology Magazine-ის მიხედვით*

გრავენსტინი

მრისხანე ძალაუფლების ათასწლიანი
სიმბოლო ფლანდრიაში

ფლანდრიის გრაფების შუა საუკუნეების ციხე-დარბაზი გრავენსტინი, ბელგიურ ქალაქ გენტში — ერთადერთია რეგიონში, რომლის დაცვის სისტემამ ჩვენს დრომდე პრაქტიკულად უცვლელად მიაღწია. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გრაფები ციხე-დარბაზს რეზიდენციად იყენებდნენ. მოგვიანებით ის ხან ზარაფხანა იყო, ხან — სასამართლო და საპყრობილე, ბოლოს კი ტექსტილის ფაბრიკაც.

ციხე-დარბაზის ადგილას პირველი დაცვითი ნაგებობა გრაფ ბოლუენ I „რკინის ხელის“ მიერ IX საუკუნეში აიგო ვიკინგებისგან თავდასაცავად. X საუკუნის დასაწყისში გრაფ

არნულფ I-ის ბრძანებით სიმაგრე მთლიანად გადააკეთეს. გამაგრებულ ბორცვზე ხის დიდი შენობის გარშემო იყო განლაგებული ხისავე ნაგებობები. გრაფ რობერტ I „ფრი-



▲ გრავენსტინის ზედი არხის მხრიდან. ციხე-დარბაზის ადგილას პირველი დაცვითი ნაგებობა გრაფ ბოლდუენ I „რკინის ზელის“ მიერ IX საუკუნეში აიგო, ვიკინგებისგან თავდასაცავად

ფლანდრიისა და ვერმანდუას გრაფის, ფილიპე ვან დენ ელზასელის მმართველობისას, 1180 წლისთვის, გრავენსტინმა პრაქტიკულად ისეთი სახე მიიღო, როგორც დღეს აქვს. გრაფის სტატუა ბრიუგეს ტაძრის კედელზე

ზის“ დროს, XII საუკუნის შუა წლებში ციხე-სიმაგრე საფუძვლიანად გადაკეთდა და ხის შენობის ადგილას ცენტრში აიგო 33 მეტრი სიგრძისა და 18,8 მეტრი სიგანის ქვის სამსართულიანი კოშკი სამი სააღლუმო დარბაზით. კოშკს ჰქონდა მონუმენტური ქვის კიბე, ბუხრები და ტუალეტები, რაც იმ დროს ფუფუნებად ითვლებოდა. მოგვიანებით, ციხესიმაგრე ისევ გადააკეთეს, თუმცა ძალიან დაზიანდა 1176 წლის დიდი ხანძრის დროს.

პრაქტიკულად ისეთი სახე, როგორც დღეს აქვს, გრავენსტინმა მიიღო 1180 წელს — ფლანდრიისა და ვერმანდუას გრაფ ფილიპე ვან დენ ელზასელის მმართველობისას. ძველი ქვის ნაგებობის პირველი სართულის კედლები, რომელთა სისქე 1,7 მეტრს აღწევს, მთავარი კოშკის საძირკვლად იქცა. ამ დროს გაათართოეს მთავარი დარბაზი, ხოლო მთელ ციხესიმაგრეს ქონგურებიანი გალავანი შემოავლეს, 24 ნახევრად წრიული საგუმბაგო კოშკით. მაღალი გალავნის გარშემო წყლისთვის





„ძალაუფლების დერეფნები“

გრავენსტინის საბრძოლო კოშკები



ღრმა თხრილიც გათხარეს. მასზე გადასვლა მხოლოდ მთავარი კიშკრის წინ გადებული ხიდით იყო შესაძლებელი. სხვათა შორის, ფილიპე ელზასელი ჯვაროსანი გახლდათ, წმინდა ადგილებში იყო ნამყოფი და მიიჩნევენ, რომ გრავენსტინი სირიაში არსებულ სიმაგრეებს სწორედ ამიტომ ჰგავს.

საბოლოოდ, გენტისთვის შფოთიან პერიოდში მედიდური გრავენსტინი იქცა გრაფების ძლევამოსილების სიმბოლოდ. დიდი ციხე-დარბაზი მდინარე ლეიეს გაღმა მდებარე მდიდარ მოქალაქეთა მაღალი სახლების საპირწონის როლს ასრულებდა. თუმცა იმის მიუხედავად, რომ უკვე შესანიშნავად იყო დაცული, გრავენსტინი თვით გენტის მოქალაქეებმა ორჯერ აიღეს, 1302 და 1338 წლებში.

XIV საუკუნეში გრავენსტინმა დაკარგა რეზიდენციის დანიშნულება — გრაფმა ლუდოვიკო II-მ ციხე-დარბაზი საცხოვრებლად არაკომფორტულად მიიჩნია და პრინსენჰოფში გადაბარგდა. თუმცა გრავენსტინის დარჩა საგრაფოს ადმინისტრაციული ფუნქცია და დიდი ცერემონიები კვლავ აქ ეწყობოდა.


1353 წლიდან გრავენსტინში გრაფის ზარაფხანა ამუშავდა. 1407 წლიდან კი აქ განლაგდა ფლანდრიის საბჭო სასამართლო პალატითა და საპრობილით. განაჩე-



ციხე-დარბაზი რესტავრაციამდე, XIX საუკუნის მიწურულს და რესტავრაციის შემდეგ



აღუდგენული ძველი ნაწილი



შიდა ეზოში



შუა საუკუნეების
ტურაღეტი



ციხე-დარბაზის უკანა ეზო

საბრძოლო იარაღის კოლექციის ექსპონატი

ნი სისრულეში მოჰყავდათ გალაუნის წინ სინტ-ვირლეპლეინის მოედანზე ან თავად ციხე-დარბაზის კედლებში. სასჯელი სრულიად სხვადასხვაგვარი გახლდათ: სამარცხვინო ბოძი, გაროზგვა, დადაღვა, კიდურების მოკვეთა, ჩამოხრჩობა თუ კოცონზე დაწვა. ყოველივე ამან განსაკუთრებით ფართო მასშტაბი შეიძინა XVI საუკუნეში აჯანყებებისა და რელიგიურ ამბოხთა გამო, ხოლო XVII საუკუნეში — „კუდიანებზე“ ნადირობის პერიოდში. გრავენსტინი და მისი შემოგარენი, სადაც ბოროტებამ დაისადგურა, შიშის ზარს სცემდა მოსახლეობას.

ფლანდრიის საბჭოს ციხე-დარბაზი 1778 წლამდე ეკავა. შემდეგ კი გრავენსტინისთვის უარესი დრო დადგა — დაიწყო მიტოვებული და „საძულველი“ ციხე-დარბაზის ნაწილ-ნაწილ გაყიდვა კერძო პირებს. შედეგად, 1807 წლიდან მთავარ კოშკში ტექსტილის ფაბრიკა აღმოჩნდა, ხოლო დანარჩენ ნაგებობებში ფაბრიკის მუშები ცხოვრობდნენ თავიანთი ოჯახებით. თანდათან ციხე-დარბაზმა მეტად სავალალო სახე მიიღო.






შუა საუკუნეების გიჟის პერანგი



წამების გამოფენის ექსპოზიცია



ცერა თითების ზრახნი (ზემოთ) და საწამებელი ძელი (ქვემოთ)



მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს დაა-ფასა გენტის ელიტამ და ქალაქის საბჭომ გრავენსტინის ისტორიული მნიშვნელობა. 1887 წლისთვის ციხე-დარბაზი თანდათან გამოისყიდეს კერძო მფლობელებისგან. მის კედლებზე მიშენებული ყველა სახლი და ქოხი დაანგრიეს. საბოლოოდ, 1894 წელს სარესტავრაციო სამუშაოები არქიტექტორ იოზეფ დე ვალეს დაევალა. ის მაქსიმალურად ეცადა გრავენსტინისთვის ფილიპე ელზასელის დროინდელი სახის დაბრუნებას, თუმცა პირვანდელი ფორმები არ მიუღიათ ბრტყელ სახურავებსა და ციხე-დარბაზის აღმოსავლეთ ფრთის ფანჯრებს.

მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნეში გრავენსტინი გენტისთვის ერთ-ერთი მთავარი ღირშესანიშნაობა შეიქნა, ძეგლის შენარჩუნებას სათანადო ყურადღება მაინც არ ექცეოდა, რადგან ჩრდილოეთ ვეროპაში არსებულ მსხვილ ისტორიულ ციხე-დარბაზებს შორის ყველაზე ნაკლებად იყო შესწავლილი და ცნობილი. მხოლოდ 1980 წელს, 800 წლისთავზე გრავენსტინი თითქოს ხელახლა აღმოაჩინეს. ციხე-დარბაზი ყურადღებით შეისწავლეს სპეციალისტებმა და რესტავრაციისა და გამაგრების მრავალფაზიანი პროგრამა შეიმუშავეს, რომელიც წარმატებით შესრულდა. მხოლოდ ძეგლის მცირე ნაწილი საგანგებოდ დატოვეს აღუდგენელი სახით.

ქალაქის საბჭომ დიდი ძალისხმევა დახარჯა უნიკალური ძეგლის კულტურული და ტურისტული პოტენციალის ასათვისებლად. ციხე-დარბაზში ოთხი საუკუნის განმავლობაში ფლანდრიის სასამართლო პალატის მუშაობასთან დაკავშირებით გახსნეს მართლმსაჯულებისა და იარაღის მუზეუმი. აქაა მიწისქვეშა ციხე, ხოლო საწამებელ ოთახში წარმოდგენილია შესაბამისი ინსტრუმენტები და წამების მეთოდები. მუზეუმშია გილიოტინაც. გრავენსტინში დაცული ისტორიული საბრძოლო იარაღის შესანიშნავი კოლექციის უდიდესი ნაწილი XIX საუკუნეში მრეწველმა ადოლფ ნეიტმა შეაგროვა. ციხე-დარბაზის ოთახებში ცოტაა ავეჯი და არც კედლები გამოირჩევა დასაკიდებელი ნივთების სიუხვით — მსგავსი სიცარიელე ადრეული საუკუნეების ატმოსფეროს ქმნის.

მოამზადა რამაზ გურგენიძემ



ქალაქი გენტის (ქვემოთ) და ციხე-დარბაზის მოედნის (ზემოთ) ხედები გრავენსტინის სახურავიდან





იარაღი,
რომელმაც
მსოფლიო
დაიპყრო

მშვილდოსნობა

ადამიანი უხსოვარი დროიდან აიძულა გარემოებებმა, გამოეგონებლობისთვის მიემართა. ერთ დღეს მან დაასკვნა, რომ მამონტებსა და ვეფხვებთან პირისპირ შეებმა არცთუ ჭკვიანური იყო... პირველყოფილი კეტის სროლა არცთუ დიდი შედეგის მომტანი ჩანდა — რა ძალითაც უნდა მოეჭინა, ძალიან მცირე იყო ალბათობა, საგრძნობი ზიანი მიეყენებინა თუნდაც რამდენიმე ნაბიჯში მყოფი გამძვინვარებული ნადირისთვის.

ადამიანის წინაშე ორმაგი ამოცანა იდგა: მხეცთან ბრძოლისას ხიფათისგან თავი რაც შეიძლება შორს უნდა დაეჭირა, ამასთან, უნდა ყოფილიყო ცხოველზე სწრაფი, რათა დაესწრო და მისთვის უფრო მეტი და ღრმა ჭრილობები მიეყენებინა.

პირველყოფილი მხიარაღები

პირველყოფილი ადამიანი ამ ორმაგ ამოცანაზე ათასწლეულები უშედეგოდ იმტვრეოდა თავს, თუმცა დრო მთლად ფუჭად მაინც არ დაუკარგავს. ჯერ წამახვილებული პირის მქონე ქვის იარაღისგან ხელშუბი შექმნა, შემდეგ კი მისი მარჯვედ ტყორცნაც ისწავლა.

გარაუდობენ, რომ მშვილდ-ისარი პირველყოფილი კონსტრუქციის ხაფანგისგან წარმოიქმნა, როცა ხელშუბს მოდრეკილ ტოტზე ამაგრებდნენ. ხაფანგი ნადირის შეხებისას ამოქმედდებოდა. ამგვარად, ერთბაშად გამოთავისუფლებული ენერჯის წყალობით ხელშუბს ცხოველი დიდი ძალითა და სისწრაფით უნდა განეგმირა.

პარადოქსია, მაგრამ დღეს ეს კონსტრუქ-

ცია მშვილდზე როული გვეჩვენება — ამ უკანასკნელზე მარტივი ხომ არაფერი შეიძლება იყოს: აიღე ღრუკაღი ტოტი, ზედ გადაჭიმე ლარი და ისარი ისროლე!!! მაგრამ ჩვენი შორეული წინაპრისთვის ყველაფერი ასეთი ადვილი და მარტივი არ ყოფილა. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ თოკი ჯერ კიდევ არ არსებობდა. აქ საქმე გვაქვს აზროვნების სტერეოტიპებთან, იმიტომ რომ ლაპარაკია სრულებით ახალი ტიპის იარაღზე, ერთდროულად მარტოვსა და გენიალურ მექანიზმზე.

ბუნებრივად ჩნდება კითხვები — ვინ იყო ის გენიოსი, ვინც მშვილდ-ისარი პირველმა გააკეთა? სად ცხოვრობდა ან როგორ მოუვიდა აზრად მისი შექმნა?

გამომგონებლის წარმომავლობასა თუ საცხოვრებელ მისამართზე, სამწუხაროდ, ისტორია დუმს. რაც შეეხება შექმნის თარიღს, მშვილდის გამოგონებას მეცნიერები გვიანდელი პალეოლითის ბოლოსა და მეზოლითის დასაწყისს უკავშირებენ. უძველესი აღმოჩენები, რომლებიც ამ იარაღს უკავშირდება, ძვ.წ. IX-VIII საუკუნეებით თარიღდება.

აირჩიე შესაფერისი იარაღი. ისროდე ზუსტად

ბააუმჭობესე შენი შაშხანის სიზუსტე

ინწავდე თოფისთვის საფანტის შერჩევა

სიახდე!

**ფასი
29.95 ლარი**

335 მნიშვნელოვანი რჩევა ნაღირობის შესახებ



შეიძინეთ ნიგნის პალატიები

ნიგნები სახლში მიიყვანეთ ფანაბათის გარეშე ტელ: 0(32) 238 26 73, 0(32) 238 26 74 www.elva.ge



სპარსელი მოისრეები (დარიოსის სასახლე, სუზა, ირანი)

ასურელი მშვილდოსნები.
ძვ.წ. 645 წლით დათარიღებული ბარელიეფი



ამასთან, ცხადი ხდება, რომ მშვილდ-ისარი დედამიწის ზურგზე პრაქტიკულად ყველა უძველეს ხალხში იყო გავრცელებული. ხმელეთის ერთადერთი ნაწილი, სადაც მის შესახებ XIX საუკუნემდე წარმოდგენაც არ ჰქონდათ, ავსტრალია და ოკეანეთი იყო.

ახალი გამოგონების მისამართით მაშინდელი რეტროგრადების ქირქილი ალბათ ზუსტად იმდენ ხანს გასტანდა, რამდენიც გამოგონებლებს მიზანში ოსტატურად სროლის სწავლისთვის დასჭირდებოდათ...

1886 წელს, ბერლინის ეთნოგრაფიული მუზეუმის დამაარსებელმა ადოლფ ბასტიანმა დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მოძიებული მშვილდ-ისრების დახარისხებისას აღმოაჩინა, რომ ეპოქისა და წარმომავლობის მიუხედავად, მშვილდის დამზადების ტექნოლოგია სულ რამდენიმე ძირითად სახეობად იყოფა. მანვე დაასკვნა, რომ მშვილდ-ისრის სტრუქტურის მეშვეობით შეიძლებოდა განსაზღვრა, განვითარების რომელ საფეხურზე იმყოფებოდა საზოგადოება.

მსოფლიოს დამკვირვებელი იარაღი

გავიდა დრო, მშვილდი უფრო მძლავრი გახდა, ისარი კი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, დაფრთიანდა. ერთ დროს სანადირო იარაღმა, მას შემდეგ, რაც საბრძოლო დანიშნულებაც შეიძინა, მთავარსარდლები აიძულა, ბრძოლის ტაქტიკასა და სტრატეგიაში ცვლილებები შეეტანათ.

თავდაპირველად თუ მშვილდოსანთა დანაყოფი ქვეითი იყო, შემდეგ ისინი ცხენებზე შესხდნენ. ამხედრებულმა მოისრებმა კი ბრძოლის ველზე უპირატესობა და დიდება მალევე მოიპოვეს.

მაგალითად, სპარსელებმა მშვილდოსანი მონეტაზეც კი გამოსახეს, ხოლო მშვილდ-ისრის ფლობას ბავშვობიდან ეჩვეოდნენ.

მეომრის აღზრდაში მშვილდოსნობის ხელოვნებას უდადეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ძველი ბერძნები, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლას ხმლით ამჯობინებდნენ. ცნობილია, რომ მაკედონიელთა სასწავლო სპორტულ-სამხედრო კომპლექსში მშვილდოსნობა აუცილებელ დისციპლინად მანამ შედიოდა, სანამ ალექსანდრე დიდის იმპერია დაეცემოდა...

განსაკუთრებული სახელი ისტორიაში

დაიკვიდრა აზიური ტიპის მშვილდმა (მას სკვითურსაც უწოდებენ). ის ერთმანეთზე წებოთი ან სალტეებით მიკრული ხის მერქნისა თუ რქის რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა. ამ მეთოდით დამზადებული მშვილდი დრეკადობითა და გამძლეობით გამოირჩეოდა. საერთოდ კი კომპოზიტური, ანუ რამდენიმე მასალისგან დამზადებული მშვილდები პირველად ეგვიპტელებმა შექმნეს, რომლებიც ლარისთვის ცხვირის ნაწლავს იყენებდნენ. ეგვიპტელი მშვილდოსნები საბრძოლო ეტლებით მოძრაობდნენ და ბრძოლისას მოწინააღმდეგეს დიდ ზიანს აყენებდნენ.

მშვილდოსანი მხედრები პირველმა კართაგენის მხედართმთავარმა ჰანიბალმა გამოიყენა დაპყრობით ომებში (ახ.წ. 260 წელი). თუმცა, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე განთქმული მშვილდოსნები მაინც მონღოლები იყვნენ. ჩინგის-ყაენის (1162-1227) უდიდესი იმპერიის შექმნა დიდწილად სწორედ უბადლო მონღოლი მხედრების დამსახურება იყო, რომელთაც გაჭვნიებული ცხენის უნაგირზე გამართულად მდგომთ მშვილდიდან სროლა ოთხივე მხარეს შეეძლოთ.

მონღოლებს შეიარაღებაში ორი მშვილდი ჰქონდათ — მოკლე, ცხენიდან სროლისთვის და გრძელი — ქვეითად გამოსაყენებლად. განსაკუთრებით მძლავრი ეს უკანასკნელი ყოფილა, ამბობენ, ისარს 400 მეტრზე(!) ისროდაო.

არანაკლებ პოპულარული იყო მშვილდ-ისარი არაბთა შორის, ხალიფატის ხანაში (VII-XIII სს.). მათი ტაქტიკა ბრძოლის დაწყებამდე ბედუინურ თარეშს გულისხმობდა, რომელიც მოულოდნელობასა და სისწრაფეს ეფუძნებოდა. მოისარ მხედართა თარეშის მიზანი მოწინააღმდეგის დაცვის ხაზში არეულობის შეტანა იყო. ხოლო როცა საქმე ძირითადი შენაერთების შეტაკებამდე მივიდოდა, ბრძოლაში ქვეითი მშვილდოსნები ერთვებოდნენ.

მშვილდოსნობა, როგორც საბრძოლო ხელოვნება, პოპულარული იყო იაპონიაშიც, სადაც იგი ორი მიმართულებით განვითარდა (კიუდო და იაბუსამე). სხვათა შორის, ჩინელებს მიაწერენ კონდახზე ჰორიზონტალურად დამაგრებული მშვილდის — არბალეტის გამოგონებას. მას კარგად ფლობდნენ იმპერატორებიცა და მეომრებიც.

ამრეზით უცქერდნენ მშვილდ-ისარს ძველ



მიური მებრძოლი ქალები — ამორძალები, განსაკუთრებით გაწაფული მშვილდ-ისრის სროლაში ყოფილან



სკვითი მშვილდოსანი (სურა. ძვ.წ. 520-490 წწ.)



სკვითი მშვილდოსნები (ოქრო, ძვ.წ. IV საუკუნე. ქერხი. უკრაინა)



მსოფლიოს ყველაზე ცნობილ მშვილდოსანს, ინგლისური ბალადების გმირ რობინ ჰუდს ნოტინგემში ძეგლი დაუდგეს

სამურაებისა და მონღოლების ბრძოლა, 1293 წ.

რომში. რომაელები არა მხოლოდ მის საბრძოლო მნიშვნელობას აკინებდნენ, მას „არაკაცურ“ იარაღადც მიიჩნევდნენ, რომლის ტარება, მათი აზრით, ღირსეულ მებრძოლს არ შეეძენოდა. მათთვის მშვილდიდან სროლა მხოლოდ ეგზოტიკური გართობა იყო, ისიც ვიწრო წრეში და არამც და არამც დიდ არენებსა და საორტულ ფორუმებზე.

რომაელთა ასეთი უდიერი დამოკიდებულება ამ იარაღისადმი ადვილად ასახსნელია. მათ ლეგიონებს რომ მშვილდ-ისარი მოემარჯვებინათ, სანაცვლოდ მძიმე ფარზე, შუბზე, მოკლე მახვილსა და მწყობრ ნაბიჯზე უნდა ეთქვათ უარი, რომელთა წყალობითაც უზარმაზარი იმპერია შექმნეს...

ვეროპული მშვილდოსნობის განვითარებაში დიდი წვლილი კარლოს დიდმა (ფრანკთა მეფე 768-814 წლებში) დაიდო, რომელმაც საგანგებოდ ბრძანება გასცა მშვილდისთვის საუკეთესო მასალად მიჩნეული ურთხმელის მთელ სამეფოში დარგვის შესახებ.

მოგვიანებით, მშვილდოსნობის გასავითარებლად, ინგლისში ზელისუფალნი საკანონმდებლო ინიციატივითაც კი გამოვიდნენ, თუმცა ამას წინ მწარე გაკვეთილი უძღოდა — 1066 წელს, ჰასტინგზის ბრძოლაში, ნორმანდიის ჰერცოგ უილიამ I დამპყრობლის (ინგლისის პირველი ნორმანი მეფე 1066-1087 წლებში) მშვილდოსნებმა შავი დღე აყარეს მეფე ჰაროლდის კავალერიას.

გადმოცემის თანახმად, თავად ინგლისელ-





შეკრება მშვილდოსანთა კლუბში Royal British Bowmen-ი. 1822 წ.

თა მეფეს ბრძოლის ველზე ნორმან მშვილდოსანთა მიერ ნასროლმა ბრმა ისარმა მოუსწრაფა სიცოცხლე, რომელიც თვალში მოხვდა.

ამ ბრძოლის წაგებას მოგვიანებით ინგლისში კანონის გამოცემა მოჰყვა, რომელიც 16-იდან 60 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცს მშვილდ-ისრის სათანადოდ ფლობას ავალდებულებდა. ამით ინგლისელებმა ხეირი საფრანგეთთან ასწლიან ომში ნახეს.

1346 წლის 26 აგვისტოს, კრესის ბრძოლის დროს, ედუარდ III-ის 12 ათასმა მშვილ-

დოსანმა ფილიპ VI დე ვალუას 40-ათასიან არმიას აჯობა. აღსანიშნავია, რომ ფილიპის ჯარი 7 ათას გენუელ არბალეტის მსროლელს ითვლიდა და შემთხვევითი არ არის, რომ კრესის ბრძოლას მშვილდ-ისრისა და არბალეტის ყველაზე დიდ პაექრობადაც მიიჩნევენ.

საზოგადოდ, არბალეტი გაცილებით მძლავრი იარაღია, მოკლე დისტანციაზე კი უფრო ზუსტიც. თუმცა, მშვილდთან შედარებით, მას სროლის დაბალი სიხშირე აქვს. სამხედრო საქმის მცოდნეთა შეფასებით,



ჩიკაგოს 1879 წლის მშვილდოსანობის ჩემპიონატის გამარჯვებულები: უილ კ. თომპსონი და სპალდინგ ბრაუნი



(მარცხნივ) 1381 წელს შექმნილი წმინდა სებასტიანის სახელობის დიდი სამეფოს ნაფიც მშვილდოსანთა საზოგადოების შენობა, (მარჯვნივ) – საზოგადოების ძველი სასროლეთი

არბალეტი მშვილდზე ეფექტიანი მხოლოდ ციხესიმაგრეების დაცვისას იყო და რაც ყველაზე საინტერესოა, მეცნიერები ამ ორი იარაღის ნათესაობას არ ცნობენ და მიაჩნიათ, რომ არბალეტის წინაპარი უფრო ბერძნული კატაპულტია.

შუა საუკუნეების ევროპულ და კერძოდ, ინგლისურ მშვილდოსნობაზე საუბრისას გვერდს ვერ აუვლით იმ ეპოქის ბალადების გმირს, რობინ ჰუდს. შერეულის ტყის ყაჩაღთა მეთაური, რომელიც მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა, სწორედ მშვილდ-ისრის უბადლო ფლობით იყო განთქმული. არაერთი მხატვრული ნაწარმოების გმირის პროტოტიპის ვინაობა დაუდგენელია, საგარაუდოდ კი რობინ ჰუდი XIV საუკუნის ინგლისში ცხოვრობდა.

მშვილდოსნობა საქართველოში

ცალკე უნდა ითქვას ქართულ მშვილდოსნობაზე. მშვილდ-ისარი ჩვენში უხსოვარი დროიდან იყო გავრცელებული, რაც არქეოლოგიური კვლევა-ძიებისას აღმოჩენილი მასალებით, ზეპირსიტყვიერებით, ლიტერატურული თუ სხვა წერილობითი წყაროებით დასტურდება.

თრიალეთში აღმოჩენილ ძვ.წ. VIII-VII საუკუნის ბრინჯაოს სარტყლებზე გამოსახულია მშვილდ-ისრით ნადირობის სცენები, მშვილდები და მშვილდოსნები. საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვია უძველესი კაჟის ბუნიკი, რომელსაც პალეოლითის ხანას მიაკუთვნებენ.

ცნობილი ფრანგი ვაჭარი და მოგზაური ჟან ბატისტ ტავერნიე (1605-1689) აღწერს, რომ „ქართველები მშვილდ-ისარს ხმარობენ

საოცარი სიძარდით და მთელ აზიაში საუკეთესო სახელი აქვთ განთქმული“.

საყურადღებოა ძველბერძნულ მითებში მოხსენიებული ამორძალებიც, რომლებიც თქმულებების თანახმად, შავი ზღვის სანაპირო ზოლში, ასევე, კავკასიაში ცხოვრობდნენ. მითური მეტროპოლი ქალები განსაკუთრებით გაწაფულნი მშვილდ-ისრის გამოყენებაში ყოფილან, ხოლო წარმატებით სროლისთვის მარცხენა ძუძუს ბავშვობიდანვე იღადავდნენ.

ბრძოლის ველიდან სპორტულ ასპარეზზე

ისტორიას არ მოეპოვება წყარო იმის დასადგენად, როდის გაიზუზუნა ბოლოჯერ ისარმა ოშში და როდის მოხილეს მშვილდი პირველად სპორტულ სასროლეთზე. თუმცა მშვილდ-ისრის, როგორც ბრძოლის ველზე ფართოდ გამოსაყენებელი იარაღის მზე, XIX საუკუნეში ჩაესვენა.

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ მშვილდ-ისრიდან მიზანსა თუ მანძილზე სროლაში ვარჯიში და შესაბამისად, სპორტული ინტერესით შეჯიბრება იმ დღიდან იარსებებდა, რაც ეს იარაღი არსებობს. ამგვარი ასპარეზობები სხვადასხვა ქვეყანაში უხსოვარი დროიდან ეწყობოდა და გამარჯვებულებს მრავალფეროვანი პრიზებით აჯილდოებდნენ.

ცნობილია, რომ 1766 წელს მაჟანმა ჯენტლმენმა, სახელად ტომას უეინგმა, ლონდონის ცენტრში, იქ, სადაც დღეს ლესტერ-სკვერია, ისრის მიზანში სროლაში ასპარეზობა გამართა და ზოგიერთები მშვილდოსნობის, როგორც სპორტის სახეობის ჟამთა აღწერას იმ დღიდან აწარმოებენ.

სხვები მიიჩნევენ, რომ სპორტული მშვილდოსნობის პიონერები ბელგიელები არიან, რომლებმაც ჯერ კიდევ 1381 წელს, წმინდა სებასტიანის სახელობის დიდი სამეფოს ნაფიც მშვილდოსანთა საზოგადოება დააარსეს...

რაზეც არ დაობენ, არის ის, რომ პირველი ჩემპიონატი მშვილდოსნობაში 1879 წელს ჩიკაგოში გაიმართა. ხუთი წლის შემდეგ მსგავსი შეჯიბრება უკვე დიდ ბრიტანეთში მოეწყო, 1897 წელს კი პარიზში გაიხსნა პირველი სასროლეთი მშვილდოსნებისთვის.

1900 წელს მშვილდოსნობა, როგორც სპორტის სახეობა, პარიზის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში იყო შეტანილი. 1920 წლის შემდეგ მშვილდოსნობა ზედიზედ ათი ოლიმპიადა გამოტოვეს, თამაშებში ის 1972 წლიდან კვლავ შეიტანეს.

სპორტული მშვილდოსნობის განვითარების ახალი ეტაპი გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. 1931 წელს დაფუძნდა საერთაშორისო ფედერაცია. დღეს სპორტის ეს სახეობა მსოფლიოს 150-მდე ქვეყანაშია გავრცელებული.

მშვილდოსნობას, როგორც სპორტის სახეობას, საქართველოში XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მისდევენ. ევროპისა და მსოფლიო ასპარეზზე ქართველ სპორტსმენებს არაერთი წარმატება ჰქონიათ. მათგან გამოსარჩევი ქეთევან ლოსაბერიძის მიღწევაა, რომელმაც 1972 წლის ევროპის ჩემპიონატზე სამი ოქროს მედალი დაისაკუთრა, 1973 წელს კი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. 1980 წელს ქეთევან ლოსაბერიძემ მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალიც აიღო.

გელა უზარინძე



მშვილდოსანი ქეთევან ლოსაბერიძე 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა



ოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ ოლიმპიური მშვილდით ასპარეზობენ



ზაზა აოლიიშვილი გულდია და გულგაღილი

ამბობს, გულდია და გულგაღილი ვარო... მართლაც ვერ ნახავთ ჰალსტუხით „დამხრჩვალს“. თავისუფლება ყველაფერში ყველაფერს ურჩევნია — ჩაცმაშიც, შემოქმედებაშიც, ურთიერთობებშიც. გულდია რომ არ იყოს, არც ამდენი მიმსვლელ-მიმსვლელი ეყოლებოდა შინ: ხუთი შვილი, სამი შვილიშვილი თავიანთი მეგობრებით, ნათესავებით... მისი საკუთარი მეგობრები, მეუღლის მეგობრები...

მაღე შეიძლება დიდი პაპაც გახდეს და მაინც ასეთი იქნება — ახალგაზრდული და „გულგაღილი“ ზაზა კოლეიშვილი.

წარსულზეც ისე ყვება, თითქოს თელავში რომ პატარა ბიჭი დარბოდა, მას მერე არ დაუშვამებია ცხოვრებას... არადა, რამდენი ტკივილი გადაიტანა. თითქმის სასწაულია, რომ გადარჩა და დღესაც ცოცხალია...

— თელავში ვიზრდებოდი. მახსოვს მამაჩემის პაპა გოგლია. ხელოსანი კაცი იყო. ამ ხელოსნობით თავისი წარმომავლობის დამალვა უკეთ შეეძლო. კოლეიშვილები ზედგინიძე-ამილახვრების შტო იყო, რაკი ამ გვარების ფუძე კოლა-არტაანიდან იყო, კოლაელებს კოლეიშვილები დაერქვათ. ამილახვრების 38 ოჯახი დახვრიტეს შორაპანში... ცხადია, შიში იყო. პაპა შინაგანად „კნიაზი“ გახლდათ. ჯერ ერთი, საჭმელს არჩევდა საუკეთესოს: აუცილებლად უმზეურის მწვადი უნდა ეჭამა, ჩალაღაჯი უნდა ჰქონოდა... თავისი მომწოდებლებიც ჰყავდა. ტანინიანი ღვინო უყვარდა — პირში რკალი უნდა მოხაზოსო... ჭაჭამ ჯაჭვი უნდა გაიკეთოს და მოლურჯო იყოსო.

თავადურად არჩევდა ყველაფერს. სადილად რომ დაჯდებოდა, არ მახსოვს, პერანგის ღილი შეხსნოდეს ყელთან. სულ საყვლოშეკრული დადიოდა...

მამის მხრიდან ბებია ლატვიელი მყავდა, ლიდია ალექსანდროვნა ვიშნევსკაია-კრამპისი. ლატვიაში ცხენსაშენები ჰქონიათ, რევოლუციის მერე გადმოასახლეს კრასნოდარის მხარეში. ამათი ოჯახი რატომღაც შირაქში გადმოვიდა. იქ უნახავს პაპას და მოუტაცია. ბებია ბრწყინვალედ ფლობდა ქართულს. მახსოვს, როგორ ჩიოდა, რუსების ბრალია, რომ ჩემი ქონება სხვებს დარჩა ლატვიაშიო...

მეორე ბებია ბაჩიაშვილი იყო... ბაჩიაშვილი მკურნალთა გვარია. ბებიას უნიკალუ-

სამხედრო ჟურნალი, „არსენალი“!



ინფორმაცია, რომელიც
მიწანში ხვდება!

გამოდის თვეში ორჯერ!
იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან!

წიგნები ადგილზე მიტანით-elva.ge;
ტელ: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76



„ისე ვიზრდებოდი, რომ ალბათ მსახიობი გავხდებოდი ბოლოს... თუმცა ამაზე არაფერს მელაპარაკებოდა“

რი წამალი ჰქონდა, ფსორიაზსა და ვეზემას მართლა არჩენდა, მაგრამ მე ისეთი არხეინი ვიყავი, არ დაეინტერესდი... არ ვისწავლე წამლის დამზადება...

პაპა იყო ცნობილი მსახიობი — ვახტანგ მატარაძე (ჩელისპირელი), ნიკო ნიკოლაძის

„ერთ დღესაც მუსიკას თავი დავანებე, დამოუკიდებლად წავიღე, დავჯექი გამოცდებზე და ჩაუბარე თელავის სამხატვრო სკოლაში“



ნათლული. ფოთს რომ აშენებდნენ, პაპაჩემის ძმა გიგა მატარაძე ნიკო ნიკოლაძეს ედგა გვერდით. ქართული თეატრის დაარსებაში მონაწილეობა მანაც მიიღო.

პაპაჩემის მამას — ვიქტორს ქართული თეატრის საყვირს ეძახდნენ. მესხიშვილთან ერთად თამაშობდა. ის ოტელიო იყო, ეს — იაგო...

ნებიერად მზრდიდნენ ოჯახში. ხუთი ბებიის ნებიერი ვიყავი. ერთი ბიჭი ვიყავი ოჯახში და თავს მეველებოდნენ. თუკი სადმე შეიძლება წავეყვანე მშობლებს ან პაპა-ბებიებს, ყველგან მატარებდნენ.

მამაჩემი ისტორიკოსი იყო.

მშობლად ვთვლი გია მატარაძესაც — დედის ძმას.

ბავშვობიდანვე ისე ვიზრდებოდი, რომ ალბათ მსახიობი გავხდებოდი ბოლოს... თუმცა ამაზე არაფერს მელაპარაკებოდა.

ძალიან ჩქარი ვიყავი ბავშვობიდანვე და სულ იმას მასწავლიდნენ, არ იფართოფუროთო...

მახსოვს ერთი ბავშვური შურისძიება. ორი-სამი ღორი დაკლეს. ერთი დიდი ღორი იყო, ვერ დაიჭირეს, თოფით მოკლეს, ნატყვიარი ამოჭრეს და ისე დაამუშავეს ხორცი... მეორეს დანა რომ გამოუსვეს, წამოხტა და გაიქცა... როგორი შთაბეჭდილების ქვეშ ვიქნებოდი, ხომ წარმოგიდგენიათ. მამა დედას აუხირდა რაღაცაზე... ეტყობა, არ მომეწონა... ავედი მეორე სართულზე, სადაც დაფასოებული ხორცი დაწყოილი ჰქონდათ და ნავთი დავასხი. მერე მითქვამს, იმიტომ დავასხი, რომ დედაჩემს ეჩხუბე-მეთქი... გავაფუჭე მთელი საკლავი... მხოლოდ ორი ბარკალი გადარჩა, შაშხისთვის ზემოთ რაც ჰქონდათ ჩამოკიდებული.

აი, რა საშინელი ვიღაც ვიყავი!

პირველი ფილმი მახსოვს, რაც ვნახე: „მაქს ლინდერის კამპანიაში“ და ჩარლი ჩაპლინი. აი, მაშინ იყო, რომ ჩავიფიქრე, ფილმი მინდა გადავიღო-მეთქი... თუ მშობლებს არ მივეყვდი კინოში, მეგობრებთან ერთად დავდიოდი... არც ერთ ფილმს არ ვაცდენდი.

თელავში აღარაფერი მაქვს. ძალიან მრცხვენია, რომ აღარაფერი დამრჩა იქ... გაჭირვებამ ყველაფერი შეიწირა.

თავისუფალი ბავშვი ვიყავი. საპროტესტო არაფერი მქონდა...

დედა და მამა რაღაც ამბებს მიყვებოდნენ და მერე მეტყობდნენ: თუ გაინტერესებს, წაითხო. მეც ვკითხულობდი.

მასსოვს, ზღაპრებს რომ ვკითხულობდი და რომ ვნატრობდი, ნეტავ, ნატურისთვალის მომცა, რომ ვინატრო და ჩემი აღარავინ მოკვდეს-მეთქი... მეშინოდა სიკვდილის. ნანახი მქონდა, როგორ მიაცილებდნენ მიცვალებულს სასაფლაოზე, როგორ მიჰყვებოდა „დუხავი მუხიკა“, როგორ ამბობდნენ: ეპ, საწყალიო და ძალიან ველავდი. ვფიქრობდი, რაღად დავიბადე, თუ უნდა მოვკვდე-მეთქი... ყველა ასაკს თავისი ფიქრები აქვს.

მასსოვს, როგორ ველოდებოდი შაბათ-კვირას. ჩვენთან სტუმრები მოდიოდნენ. თელავში რომელი თეატრიც უნდა ჩამოსულიყო საგასტროლოდ, ყველას მასპინძლები ჩვენ ვიყავით. მასსოვს, ჩვენთან სტუმრად რუსთაველის, მარჯანიშვილის, ქუთაისის, ჭიათურის, გორის თეატრების დასები.

მასსოვს ვასო გოძიაშვილი, ლადო ცხვარიანიშვილი, სესილია თაყაიშვილი ჩვენთან სტუმრად... პაპაჩემის სადამოზე თამადა ეროსი მანჯგალაძე იყო...

მასსოვს თეატრის კულისები — პლატონ ახვლედიანი, გიორგი მამუჩიშვილი, თინათინ ბურბუთაშვილი — დუტა სნირტლადის ბებია... 3 წლის ასაკიდან მე და დუტას დედა კულისების დაქალ-ძმაკაცი ვიყავით, რეკვიზიტებით ვთამაშობდით. მერე უკვე სპექტაკლებშიც მოგვიწია მონაწილეობა ბავშვების როლებში...

ერთ დღესაც მუსიკას თავი დავანებე, ნოტები დავხიე და გამოვაცხადე, აღარ ვივლი-მეთქი. დამოუკიდებლად წავედი, დავჯექი გამოცდებზე და ჩავაბარე თელავის სამხატვრო სკოლაში.

ვაბარებდი სამხატვრო აკადემიაში. იქ ადმინისტრაციასთან კონფლიქტი მომივიდა... გამოვიტანე საბუთები და შევიტანე თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ჯგუფში 30 გოგო და ერთი ბიჭი ვიყავით. თუ ვღარობდი ამის გამო? სულაც არა! ჩემი ახლობლები იყვნენ, ქალების საზოგადოება ყოველთვის მიზიდავდა... გვერდით ძმაკაცებიც მყავდა. ბოკემური სტუდენტური ცხოვრებით ვცხოვრობდი.

სტუდენტურ თეატრში ვიყავი, თან ვხატავდი — სპექტაკლებს ვაფორმებდი... ნუგზარ ლორთქიფანიძემ თეატრის სცენაზე ამიყვანა,



„არ მიყვარს ჩარჩოები... სწორხაზოვანი ადამიანის ცხოვრება არ მზიბლავდა არასდროს. სიგიჟე უნდა გქონდეს და იმის დათრგუნვაც შეეკლოს“

როლი მომცა... მერე უკვე გაჩნდა კინო ჩემს ცხოვრებაში... „ნატურის ხეში“ და „მიმინოში“ უკვე ნათამაშები მქონდა, დიპლომზე ვმუშაობდი, მაშინ გადავწყვიტე და სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბარე... დაგამთავრე და სარეჟისორო ფაკულტეტზე გავაგრძელე სწავლა. სარეჟისორო ფაკულტეტის დიპლომი ჯერაც არ გამომიტანია. ჯერ ქაღალდი არ იყო, მერე რაღაცნაირ ფურცლებზე ბეჭდვდნენ. ახლა უნდა გამოვიტანო უკვე ორ ენაზე შევსებული დიპლომი... ეს შესამე იქნება!

ერთხელ გოგი დოლიძეს დავურეკე: კიდევ მინდა ჩავაბარო ინსტიტუტში კინოსაბუღალტროზე მეთქი... ეთერ გუგუშვილს გაუგონია და: კოლეღიშვილის „დუხი“ არ ვნახო აქო!

მსახიობს აუსცილებლად უნდა ჰქონდეს მოთმინების უნარი, ის ხომ რეჟისორზეა დამოკიდებული. თუ არ უნდა დამორჩილება, თვითონ დადგას და გადაიღოს... მე გამიმართლა, რომ ჩემი მეუღლე — ნათია გვერდით მყავს. ერთად ვმუშაობთ. მე ვუყვები, ის წერს სცენარს...



კადრი მხატვრული ფილმიდან „ნატურის ზე“, 1976 წ.



„კუკარაჩა“, 1983 წ.

„ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, 1985 წ.



ბევრი რამ დამიკარგავს მატერიალური ქონებიდან, მაგრამ სულიერ ასპექტში არ ვარ დამკარგავი...

„ომი და ქორწილი“ რომ გადავიღე, ისე მოულოდნელად შეწყდა კინოცენტრიდან დაფინანსება, რომ მსახიობებისა და ჯგუფის ფული ისევ გადასახდელი მაქვს. კულტურის სამინისტრო მომხმარა და ჯარიც... მაგრამ ეს სრულ ხარჯებს ვერ დაფარავდა... ამიტომაცაა, ისევ კითხვის ნიშნის ქვეშაა ყველაფერი, რასაც ჩემი ქონება ჰქვია... არადა, კინოს გარეშე ცხოვრება არ შემძლია, თუ არ მიღებენ და არ ვიღებ, მკვდარი ვარ... მაშინ მასწავლეთ, რა ვქნა, როგორ ვიცხოვრო.

როცა ძალიან მიჭირს, ვსვამ ხოლმე. დარღს ვიქარვებ, არავის ნახვა არ მინდა... მარტო მაგაზე და ჩემს ნათიაზე ვარ დამოკიდებული...

პირველი მძიმე ტკივილი მშობლების გარდაცვალება იყო. ჩემმა მეგობარმა პაატა მოისწრაფიშვილმა თქვა, შენ მშობლების სიკვდილმა დაგაუჟეცაო. მართლაც ასე იყო. 1992 წელს, იანვარში გარდაიცვალა მამა — ჯანმრთელი კაცი, რომელმაც გაიგო, რომ დედას სიმსივნე ჰქონდა. ნერვიულობისგან ორ დღეში ორჯერ დაარტყა ინსულტმა. მე მის პანაშვიდზე ვერ გაეჩერებო, — ნათქვამი ჰქონდა. დედა საავადმყოფოში იწვა. ძლივს ვუთხარი. მე ვერც ვუთხარი, ნათიას ძმამ უთხრა. ექვსი თვის განმავლობაში გაკაჟდა, ყველაფერი გაუკეთა მამას და მერე გარდაიცვალა... დედაჩემის დაკრძალვაზე უცებ თითქოს თვალი ამეხილა: დავინახე. გაიმატარაძე ცუდად იყო. დაემართა სარკომა და ისიც გარდაიცვალა... აღარავინ აღარ მყავდა პატრონი... ნათიას უნდა ვუმაღლოდე, რომ გადავიტანე ის წელი და გადაურჩი...

წელიწადი და ცხრა თვე არ გამოფხიზლებურვარ. არ ვიყავი ნორმალური... ეს ლოთობაც აღარ იყო, თვითმკვლელობა იყო. გარეთ მარტო იმიტომ გავდიოდი, რომ სასმელი მეყიდა...

კლინიკური სიკვდილიც მქონდა.

უმძიმესი პერიოდი იყო გარეთ — 1992-1993 წლები... შოკის მომგვრელი ამბები ქვეყანაში. აფხაზეთის ომი... რამდენჯერ მანქანაში ვჯდებოდი, ვითომ აფხაზეთში მივდიოდი საომრად. მთვრალის ომი ვის გაუგია!

მდგომარეობიდან იმანაც გამომიყვანა,



„ომი და ქორწილის“ გადაღებისას

რომ პირველ „ოქროს არწივის“ ფესტივალზე ფილმში „ისინი“ მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის მომცეს პრიზი.

ეს ფილმიც დიდი სიმწრით გადავიღე. ლევან ზაქარეიშვილმა როლზე რომ დამამტკიცა, მითხრა, პირველი სცენის ტექსტი წამეკითხა. ეს ის დღე იყო, როცა ახალი გაგებული მქონდა დედაჩემის IV სტადიის სიმსივნის ამბავი... აქ თურმე დედის საფლავთან უნდა გადავიღო ეპიზოდი... ვერ გადავიღებ-მეთქი... არ შემეძლო ნამდვილად. დაიჟინა, აქედან უნდა დავიწყოთ... კინაღამ ჩხუბამდე მივედი. უსუსურობისგან დავიწყვე დამამშვიდებლების

სმა. თან ძალიან ბევრს ვსვამდი ერთად... ამან საერთოდ გამომიყვანა მდგომარეობიდან. იმდენად არ მინდოდა გადაღება, რომ წამლები მუჭით ავიღე, დაფხვენი და დავლიე... თან ღვინოც მივაყოლე. მივედი ჩემს მეგობართან შინ. იქ მართო მისი მეუღლე დამხვდა... დავჯექი, ველოდი. ვემშვიდობებოდი ყველას... გავითიშე. ნათია რომ მოვიდა, მკვდარი დავხვდი... უკვე გვამური ლაქებიც მქონდა. წნევა ოცი ხუთზე მქონია. წამიყვანეს სასწრაფოდ მიხეილის საავადმყოფოში. ექიმს აღმოაჩნდა ერთი ამპულა წნევის ამგდები წამალი და იმით გადამარჩინეს...



„ხარება და ვოგა“, 1987 წ.



„ჩემს ოჯახში
კიბერნეტიკოსი
არ გაზრდილა...“

ექიმებმა, იმდენი აქვს დალეული წამალი, რომ ალბათ ვეღარ გამოვა მდგომარეობიდან...

მასსოვს სითეთრეში ვიყავი... დიდი მო-
ოქრული ეკლესია მასსოვს. ვიდაც გალიას
ვეძებდი... მეოთხე დღეს რომ გამსინჯეს,
გაუკვირდათ: გადავრჩი... ერთ კვირაში ჩვეუ-
ლებრივ დაუბრუნდი ცხოვრებას.

„ოქროს არწივზე“ რომ დამიბარეს, უნდა
მოხვიდეო, — პირველად გამოფხიზლდი.

„კუკარაჩასი“ ძალიან მინდოდა კუკარაჩას
როლი... არა, შენ მურტალო უნდა იყო... ისე,
როცა ტელესპექტაკლში თემურ ბაბლუანს
იღებდნენ მურტალოში, მე თუატრში ვთამა-
შობდი მურტალოს სადიპლომო სპექტაკლში...

ვიღებდი ფილმებს, მიღებდნენ ფილმებში
— ეს არის შუადღე...

არ მიყვარს ჩარჩოები... სწორხაზოვანი
ადამიანის ცხოვრება არ მხიბლავდა არასდ-
როს. სიგიჟე უნდა გქონდეს და იმის დათრ-
გუნვაც შეგეძლოს. მე არც ერთ სიგიჟეს არ
ვანაობ, რაც ჩამიდენია... მე მე არ ვიქნებოდი,
ასე რომ არ მეცხოვრა...

რამდენი დრო მაქვს გაფლანგული... მაგ-
რამ არც მთლად გაფლანგული გამოდის...
მუღო ადამიანს ვერ ვიტან, თავიდანვე რომ
ყველაფერი მოწესრიგებული აქვს და შეც-
დომებს არ უშვებს...

წესრიგის ფასი მერე უნდა გაიგო, უწესრი-
გობა რომ გეცოდინება, რა არის... ადამიანი
ტყუილსაც ამბობს, ცოდვებს, აშუებს... ერთი რამ
უნდა იცოდეს, რომ უღმერთოდ არ იცხოვრო...

ბებიასგან რაც მასსოვს, მითხრა, ჩვენ
წმინდა გიორგის ყმები ვართ, ეს არ დაგაგიწყ-
დესო... იყალთოში თაღლაურელები თეთრი

გიორგის ყმები იყვნენ. მასსოვს, როგორ
წამიყვანა ეკლესიაში და არც დამავიწყდება,
რომ წმინდა გიორგი მმფარველობს.

მეავს ხუთი შვილი...

უფროსი ქალიშვილი 31 წლისაა და სამი
შვილი ჰყავს, უფროსი შვილიშვილი 17 წლის
ხდება. მომდევნო შვილიშვილი 12-ისაა, მესამე
— 2 წლის.

მეორე ქალიშვილი ჟურნალისტია, პრო-
დიუსერად მუშაობდა. მესამე — ვაჟი — მო-
რაგბეა, „ლელოს“ წევრია, თან თუატრალურ
ინსტიტუტში სწავლობდა, ახლა საფრანგეთ-
ში თამაშობს.

მეოთხე ვაჟი — კინოსაოპერატოროზე
სწავლობს. მქსუთე — სკოლის მოსწავლეა და
ფოტოგრაფიით არის გატაცებული... ასე რომ,
ჩემს ოჯახში კიბერნეტიკოსი არ გაზრდილა.

მკაცრი არ ვარ. შვილებს როგორ დაუ-
შალო მოლხენა, როცა თავად მიყვარს მეგობ-
რებთან დროის გატარება...

ჩემი მატარებელი ჩავლილი არ არის, მაგ-
რამ... ძალიან მიყვარს ჰოლოიუდი, კინო...
ვერობაში რომ შემომთავაზონ, რამე კურსებს
კიდევ გავიფიქროვო კინოსთან დაკავშირებით.

როგორც უნდა ასაკოვანი გავხდე, მუშაობა
ყოველთვის მენდომება. ძალიან მოხუცებულ-
საც კი ვერ დამსვამთ ისე... მინდა ავაშენო
ეთნოგრაფიული სახლი კახეთში, მქონდეს
ჩემი პატარა სტუდია კახეთში, ავაშენო პა-
ტარა ეკლესია და მოეხატო ჩემი ხელით... ეს
ჩემი მიმწუხრის ოცნებებია... პაპაჩემივით
ბოლო დღემდე ვერ ვიქნები. მიყვარს
გულგადაღებული და გულგაღებული ყოფნა...

ლელა ჯიყაშვილი

მხიარული ამბები „ივერიიდან“

გთავაზობთ საინტერესო ამონარიდებს პირველი ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან. ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი 1877 წლის 3 მარტს დაიბეჭდა თბილისში. 1879-1885 წლებში ჟურნალის სახით გამოდიოდა, ხოლო 1886 წლიდან 1906 წლის 27 აგვისტომდე — ყოველდღიურ გაზეთად. „ივერიის“ დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე. თანარედაქტორი იყო სერგეი მესხი (1881 წლიდან, „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციების გაერთიანებისას). „ივერიის“ რედაქტორები იყვნენ ასევე: ივანე მანაბელი (1882-1884 წლებში), ალექსანდრე სარაჯიშვილი (1901 წელი), გრიგოლ ყიფშიძე (1903-1905 წლები), ხოლო დასასრულს — ფილიპე გოგიანიშვილი.



ექსპონატები ახალი წლის დამეს ნათქვამი „ივერიის“ რედაქციაში

თ. რაფიელ ერისთავს

ტოლუბაშად განთქმული ხარ პოეტო შორის პატრიარხო, ვისურვებ, რომ ძველი წელი კვლავ მრავალი დაგვიმარხო.

„ივერიას“

ამაღამა იშვა ბეშვი ილიამ ჰრქვა „ივერია“, მეტად დიდი გამოვიდა, ხონელიც ვერ მოერია; სტამბაშიაც ძლივს მოაწყეს,


ხელაძესაც აერია — ერთის შიშით კანკალებდა არ წაპილწოს ნომერია! მაგრამ იშვა... კვლავ ვისურვით ქართველის ჰქონდეს მას ფერია, იმდენ ხანსა იდღევრძელოს, რომ ვიძახდეთ: რა ბევრია!

ილიას

ღმერთმა ინებოს, ილია, არ მოგერიოს ძილია, და კარგათა გაგეზარდოს ეს მამის-ერთა შვილია!... თ.დ. ერისთავი

„ივერია“, 1886 წ. N3

ფრაგმენტები „ივერიის 1886 წლის 1-ლი მარტის ნომრიდან. ქვედა ნაწილის წარწერაში მითითებულია, რომ დასაბეჭდად დაშვებულია ტფილისის ცენზურის მიერ 1886 წლის 28 თებერვალს





ერეკლე II

რამდენიმე წამს კაცს ქართული სა-
დილი გაეკეთებინათ და ქეიფობდნენ. ანტონ
ლორთქიფანიძეც იქ იყო.

„მოთალი, თვეზი, მწვანელი, აუჭრელებდ-
ნენ წინ სუფრას“.

მოვიდა ბეჭი, ზედ მოჰყვა ჩიხირთმა, ჩიხირ-
თმას მოჰყვა ფლაგი. ანტონი ფლაგის ემხმა უფ-
რო წაიღო და ისე სხაპა-სხუპით აუწყო ჭამა,
რომ კარგა მოგრძო ბეჭვი გადააყოლა. წაავლო
ბეჭვს ხელი, ამოსწია, ამოსწია და, რომ ძალი-
ან გაგრძელდა, თითონაც გრძელდა სთქვა: —
ვიიიპ! ქართულად არის გაკეთებული.

„ივერია“, 1886 წ. N196

ერთხელ მეფე ერეკლე II-ს ბარძაყზე რა-
ღაც მუწუკი აწუხებდა, ვერ ენახა და მხლე-
ბელნი დაიბარა: ერთი ნახეთ, ეს რა მაქვსო?
ერთმა სთქვა ძირძიდააო; მეორემ- არა, თვა-
ლიაო; მესამემ — თავაკილადასა ჰგავსო.

— აბა რა გითხრათ, — (ბარძაყზე დაიკრა
ხელი და ყურთან მიიტანა), — აქედამ აქამდის
რომ სწორე ამბავი ვერ მოგიტანიათ, ქვეყნის
ამბავი როგორ უნდა შემატყობინოთ!

„ივერია“, 1886 წ. N212

აკაკი მასკარადში იყო. მოწყენილი და
მოღვრემილი დადიოდა.

ერთი ბებერ დედა-კაცად ჩაცმული „მას-
კა“ აეკვიატა და საშველს არ აძლევდა:

— რას მოგიწყენია? წამალი მე ვიციო.

— არა, ჩემო კარგო, ძველის აფთიაქივად
მე წამალს არა ვხარჯავო, — უთხრა აკაკიმ
„ივერია“, 1886 წ. N214

ერთი ყმაწვილი კაცი სადილად მეგობარ-
თან იყო. მარჯვენით უჯდა აკაკი და მარცხნივ
ერთი ტიტიხა მოლაპარაკე.

მეგობარს უნდოდა ეთქვა, რომ მარჯვენით
ბულბული უხის და მარცხნივ კაჭკაჭი და
იკითხა: რა მანძილი არის ბულბულსა და
კაჭკაჭს შორისო.

— ბვერი არაფერიო, უთხრა აკაკიმ, შუაში
მარტო ერთი ბაიყუში-ღა უხისო.

„ივერია“, 1886 წ. N216

სიღნაღის ერთს მეღუქნესთან ვიღაც თვა-
ღიშვილები მივიდნენ და საწერ-კალამი სთხო-
ვეს რიდასიც დასაწერად. ბოლოს ერთი მათ-
განი მიუბრუნდა მეღუქნეს და უსაყვედურა:

— ბიჭო, ეს რანაირი კალამია, არა სწერსო.

— რა ვიცი, შენი ჭირიმე, „კნიაზებზედ“
ნისიებს — კი კარგადა სწერს და ეხლა რა
ღმერთი გაუწერაო!!! უპასუხა მეღუქნემ.

„ივერია“, 1892 წ. N152

პლატონ იოსელიანი რომ ათონის მთაზე
გაემგზავრა. პლატონმა სხვათა შორის საბერ-
ძნეთის მეფე ოტტონიც ნახა.

როდესაც ჩვენი ფილოსოფოსი წარსდ-
გა მეფის წინაშე, მეფემ შეძღვეო თავზიანი
სიტყვა უთხრა:

„მე დიდად მიხარიათ, რომ გხედავ შენ,
მშვენიერის საქართველოს ერის წარმომად-
გენელსაო“.

მშვენიერებაზედ შორს მყოფმა ჩვენმა სწავ-
ლულმა ამ პასუხით მოირიდა ეს საქებარი.

„თქვენო დიდებულებავ, გთხოვთ არ იფიქ-
როთ, რომ სხვებიც ისეთები არიან საქართ-
ველოში, როგორც მე. მოგესხენებათ ოჯახს
თითო მახინჯი არ მოაკლდება“.

„ივერია“, 1886 წ. N1

ერთს მარხვა დღეს საჩხერელი მეცნიერი იონაე წერეთელი დაპატიჟა სადილად მეგობარმა. სადილზე სხვა მიწვეულნიც იყვნენ, რომელთათვის სახსნილო საჭმელი იყო მომზადებული. წერეთელს კი მწვანილი და ლობიო მიართვეს.

— კნიაზო, ბალახს რომ სჭამ, ძროხა ხომ არა ხარო, უთხრა ერთმა ბრეივმა დათემა კაცმა, რომელიც სადილზე იმის გვერდით იჯდა.

— მაშ, ძაღლი ხომ არა ვარ, მარხვაში ხორცი ვჭამო, — უპასუხა წყენით წერეთელმა.

— მაშ მე ძაღლი ვარო? — უთხრა პირველმა.

— მე კი ძროხა ვარო? — ჰკითხა ფილოსოფოსმა.

მეფე ერეკლემ ერთს გაძლიერებულს ომში თვალი შეასწრო, ერთი მეომარი ომიდამ გამოსულიყო და შუა გადამტყდარი ხმალი ხელთ ეჭვრა.

მეფემ შესძახა:

— რას უდგებარ და არა ომობო?

— ბატონო, ხმალი გადამიტყდა და დამი-მოკლდაო, — უპასუხა მეომარმა.

— ფეხს წინ წადგამდი და დაგრძელდებოდაო, — უბრძანა მეფემ და ომში შეერია.

„ივერია“, 1886 წ. N2

ბატონ პეტრე უმიკაშვილს, ყველასაგან ცნობილ, მრავალ ღირსებით შემკულს და პატივცემულს, დინჯი, აუჩქარებელი და დამჯდარი ლაპარაკი უყვარს. ამასთან ერთი მცირეოდენი ნაკლიცა ჰსჭირს. გაჭიანურება იცის ლაპარაკისა. ერთხელ იგი შეზავდა ტფილისში ქუჩაზედ ქუთაისელს სიტყვა-მოსწრებით გამოჩენილს თ. ანტონ ლორთქიფანიძეს.

— ააა, ანტონ, ანტონ! როგორ მშვიდობით, როგორ კარგად? — შეჰსძახა ბატონმა პეტრემ ამასწინათ.

— მადლობა ღმერთს, კარგადა, ხოლო ნუ გააგრძლებ ჩემო პეტრე ლაპარაკს: მე სულ ორის კვირითა ვარ ჩამოსული, — გააწყვეტინა სიტყვა ანტონმა.

„ივერია“, 1886 წ. N4

მოამზადა თეა ცაგურიშვილმა



ანტონ ლორთქიფანიძე



პეტრე უმიკაშვილი



პლატონ იოსელიანი

მითური ხსენებები

მითებსა და ლეგენდებში მრავლად გვხვდება უცნაური არსებები — დრაკონები, ზღაპრული მარტორქები, ტროლები. მათ ჯადოსნური თვისებები აქვთ და ხშირად არასასიამოვნო და საზიფათონი არიან. ურჩხულები და უცნაური არსებები არა მხოლოდ ინტერესს მატებდნენ მითებს, არამედ ამა თუ იმ ამბავში მათი ჩართვით უძველესი ხალხები საკუთარ შიშს უპირისპირდებოდნენ.



ბერძულ მითოლოგიაში ნახსენები სფინქსი (სახელი „მეუდაეს“ ნიშნავს) სასტიკი არსება იყო ქალის თავით, ლომის სხეულითა და ფრინველის ფრთებით. იგი თუბს გზაზე უსაფრღებოდა მგზავრებს და ვინც მის შუკითხვას პასუხს ვერ გასცემდა, კლადა.



სკანდინავიური მითის თანახმად, უზარმაზარი გველი ჯორმუნგანდი დედამიწის კიდეზე ბინადრობს და ელოდება, როდის ჩაერთვება მეომარი ღმერთების ბრძოლაში.

ბასანოცარია
1842 წელს ამერიკის შვერთებულ შტატებში ფინეას ტეილორ ბარნამის სახელგანთქმული მოხეტიალე ცირკი მაყურებელს წარუდგენდა „ნამდვილ ქალთევზას“, შექმნილს მაიმუნის სხეულისა და თევზის კულისგან.

დრაკონები

დრაკონები მთელი მსოფლიოს ხალხების მითოლოგიაშია ნახსენები, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული ჩინურ მითოლოგიაში, რომელიც ხუთი ტიპის დრაკონებს იცნობს: დრაკონები, რომლებიც იცავდნენ ღმერთებს; დრაკონები, რომლებიც იცავდნენ იმპერატორებს; დრაკონები, რომელთაც ქარი და წვიმა ემორჩილებოდა; დრაკონები, რომლებზეც ზღვები და ოკეანეები იყო დამოკიდებული; დრაკონები, რომლებიც დაფლულ განძებს დარაჯობდნენ.



დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ № 34-36

ნაწყობები წიბნიდან „ცოდნის სამყარო“. ბამოცემლობა „კალიტრა“

ბუნიაჰი

აგსტრალიელი აბორიგენების მითები მოგვითხრობს ურჩხულ ბუნიაჰზე, რომელიც დამდამობით ბავშვებს იტაცებს. აგსტრალიის ტომები თავიანთ ტერიტორიაზე ხშირად ხატაფდნენ ბუნიაჰის ამგვარ გამოსახულებებს.



○ გრიფონი, ლომისტანიანი და არწივისფრთიანი არსება, პირველად ახლო აღმოსავლეთის მითებში ჩნდება.

○ ბასილისკო პირველად ბიბლიასა და ბერძნულ მითებშია ნახსენები. მამლის კვერცხიდან გამოჩეკილ ამ გველს მამლის ფრთები და დრაკონის კული აქვს. მას მკითხველი ჯოან როულინგის „პარი პოტერშიც“ შეხვდება.

○ ბერძნული მითის თანახმად, მელუზა გორგონა მდებრი ურჩხული იყო, რომლის თავზე გველები იკლანებოდნენ. გორგონას ვინც შეხედავდა, ქვაფეხობდა.

○ ბერძნულ მითოლოგიაში კენტაური ნახევრად ადამიანი და ნახევრად ცხენია, ხოლო სატირი — ნახევრად ადამიანი და ნახევრად თხა.

○ ფენიქსი იყო ჯადოსნური ფრინველი, რომელიც 500 წელიწადს ცოცხლობდა. შემდეგ ცეცხლი უჩნდებოდა, მასში იფრთვლებოდა და ხელახლა აღდგებოდა.

➔ ზღაპრული მარტორქები მრავალი ცფილიზაციის მითოლოგიაში გვხვდება. ამ იშვიათ, გასაოცარ არსებებს ცხენის სხეულითა და შუბლზე სპირალურად დახვეული რქით გამოსახავენ.



○ ფილიპინურ მითში ლაპარაკია ალანებზე — ნახევრად ადამიანებსა და ნახევრად ფრინველებზე, რომლებიც ტყეში ცხოვრობენ და დაკარგულ ბავშვებს ზედამხედველობენ.

○ ჩინურ მითოლოგიაში ჰსიგო ფრინველისფრთიანი მაიმუნებს ქვოდება.

○ ბევრ სკანდინავიურ მითში მოთხრობილია ბანჯგელიან, საზარელ არსებებზე, რომლებსაც ტროლებს უწოდებენ. ისინი მიწის ქვეშეთში ბინადრობენ და დახელოვნებული მელითონეები არიან.

○ ბერძნულ მითოლოგიაში არსებობს ლომის ტანისა და ადამიანის თავის მქონე არსება კბილების სამირიგით — მანტიკორა. მას მორიეფით შხამიანი კული აქვს.

○ ბერძნული მითების თანახმად, ქიმერა იყო ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული ლომის თავით, თხის სხეულითა და გველის კულით.



○ ბერძნული მითი მოგვითხრობს, თუ როგორ შეასრულა პერაკლემ მეფე ვერიოთენის დაფლება და მის კარზე სულეთის დარაჯი, სამთავიანი კერბერი მიიყვანა, შემდეგ კი უკან, ქვესკელში დააბრუნა.

○ კარიბულ მითებში ქალთევზას ზღვის დედა ეწოდება. ხალხს სწამდა, თუ ქალთევზას სავარცხელს ჩაიდებდა ხელში, ეს არსება მას სურველს აუსრულებდა.

სპორტი და ბავშობა

დამიანებს ყოველთვის უყვარდათ თამაში. მას შემდეგ, რაც ძვ.წ. V ათასწლეულში ქალაქური ცხოვრება განვითარდა, საყოველთაოდ გავრცელდა სამაგიდო და აზარტული თამაშები კამათლები და ნიშნებიანი ქვების, მაგალითად, დომინოს გამოყენებით. ძველ ეგვიპტელებს უყვარდათ ეტლებით რბოლა და ჭიდაობა, ხოლო ბერძენი ათლეტები სამი ათასი წლის წინ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდნენ. XIX საუკუნის 80-იან წლებში დადგინდა მრავალი თანამედროვე თამაშის წესები — ჩოგბურთის, რაგბის, ფეხბურთის, ბეისბოლის. სპორტის ზოგიერთი ვარსკვლავი მსოფლიოში მაღალანაზღაურებად ადამიანთა წრეს ეკუთვნის.



სნუკერში თამაშის დაწყებისას მაგიდაზე 22 ბურთია: 15 წითელი, თითო ყვითელი, მწვანე, ყავისფერი, ლურჯი, ვარდისფერი, შავი და თეთრი.



სათამაშო ბანქოს დაშვება ჩინეთში ქალაქის გამოგონების შემდეგ დაიწყო. ტრადიციულ დასტაში ჯოკერის ჩათვლით 52 კარტია, თითოეული ფერისთვის — 13 ცალი.

ბასპონგარია
საუკეთესო ხარისხის ბადმინტონის ფოლანი (ბურთი), როგორც ამბობენ, ბატის მარცხენა ფრთისგან მზადდება.

კრიკეტს „თანამედროვე“ წესებით 1880 წლიდან თამაშობენ. ამ წესებს იყენებდნენ როგორც სოფლის მოედნებზე, ისე სატექსტო მატჩების არენებზე. კრიკეტის მოთამაშე ქვეყნებს შორის ლიდერობენ ინგლისი, ავსტრალია, ინდოეთი, პაკისტანი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.



მსაჯის ნიჭი
ფეხბურთის მოედანზე გასულ მთავარ მსაჯს თან აქვს სასტვენო, მონეტა, ბლოკნოტი, ფანქარი, ყვითელი ბარათი, წითელი ბარათი, წამშობი და სათადარიგო საათი.





ერთი თამაშის განმავლობაში გოლფის მოთამაშეს მაქსიმუმ 14 ჯოხის (ყვანჭის) გამოყენება შეუძლია. თითოეული ფოსოს მიმართულებით განსაზღვრული რაოდენობის დარტემა უნდა შეასრულოს და ამას პარი ეწოდება. პარის სამი სახეობაა: პარ-3, პარ-4 და პარ-5. განსაზღვრულ პარზე ერთი ნაკლები დარტემა არის ბერდი (ჩიტი), ორით ნაკლები — იგლი (არწიფი), სამით ნაკლები — ალბატროსი.

სუმო ჭიდაობის იაპონური სახეობაა, რომლის მონაწილის წონა 267 კგ-ს უნდა აღკარებდეს. რაც უფრო მსუქანია სუმოისტი, მით უკეთესი იქნება შედეგი, რადგან მისი ამოცანაა მოწინააღმდეგე არეზიდან გააგდოს.

1978 წელს პირველად გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი დარტსში — პატარა ისრების სროლაში. ჩემპიონი გახდა უელსელი ლეიტონ რისი.

ცურვის სახეობები

ცურვის ოთხი სახეობიდან, რომლებშიც შეჯობება იმართება (ბრასი, ზურგზე ცურვა, კროლი და ბატერფლაი) ყველაზე სწრაფია კროლი, შემდეგ ბატერფლაი. ფოტოზე მოცურავე სწორედ ბატერფლაით ცურავს.



Red rum ერთადერთი ცხენია, რომელმაც დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დიდ ეროვნულ დოღში სამჯერ (1973, 1974, 1977 წწ.) გაიმარჯვა. ეს ცხენი ლივერპულში, ეინტრის სადოლე ტრასის უკან დაკრძალეს.

პოლოს ორი ოთხკაციანი გუნდი თამაშობს მოედანზე, რომელიც გუნდური შეჯიბრებისთვის განკუთვნილ ყველა მოედანზე დიდია. თამაში ძე.წ. II ათასწლეულში სპარსეთში გამოიგონეს. იყოფა 7-წუთიან პერიოდებად, ანუ ჩაკებად.



ბადმინტონს სახელი დაერქვა გლოსტერშირის საგრაფოში მდებარე ბოფორტის ჰერცოგის სახლის სახელწოდების (ბადმინტონჰაუზი) მიხედვით.

ველობოლა 1896 წელს პირველი ოლიმპიური თამაშების ასპარეზობებში შეიტანეს. მაშინ გასარბენი დისტანცია 87 კმ-ს შეადგენდა.

თხუთმეტკაციანი რაგბის თამაშებში წითელი ვარდი ინგლისის სიმბოლოა, სამყურა — ირლანდიის, ნარშავი — შოტლანდიის, ზოლო შრომანი — უელსის.

ათკვლიან ბოულინგში პირველივე დარტეცმით ათივე კვლის წაქცევას სტრაიკი ეწოდება. თანამედვერობით სამ სტრაიკს ინდაურს ეძახიან, რადგან მოთამაშეს, ვინც ამას მოახერხებს, ბოულინგის ცენტრის მეპატრონეები ჯილდოდ ინდაურს გადასცემენ. ათკვლიან ბოულინგში 300 ქულა შესანიშნავი შედეგია.

სპორტის უმნიშვნელოვანესი თარიღები

- 1299 ინგლისში, საუთჰემპტონში, ბოულინგის კლუბი დაარსდა.
- 1330 პოკეის შესახებ პირველი ინფორმაცია ჩნდება მხოლოდ გამოცემების სახელების სახით.
- 1544 ბილიარდი პირველად არის ნახსენები.
- 1620 ჩრდილოეთ ამერიკაში ზომალდ „მეიფლაუერი“ გამგზავრებული პილიგრამები დარტსის თამაშით ირთობდნენ თავს.
- 1657 ჩვენთვის ცნობილი გოლფის პირველი მატჩი შედგა ინგლისსა და შოტლანდიას შორის.
- 1744 ჩამოყალიბდა კრიკეტის სათამაშო წესები.
- 1846 გაიმართა ბეისბოლის პირველი მატჩი თანამედროვე წესების დაცვით.
- 1860 პირველად ითამაშეს ბადმინტონი.
- 1863 ჩამოყალიბდა ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია.
- 1867 შეიქმნა კუინზბერის წესები მოკრფეთათვის.
- 1874 გამოიგონეს ჩოგბურთი, რომელსაც თავიდან „სფაირისტიკ“ ეწოდებოდა (ბერძნული სიტყვიდან „ბურთი“).
- 1875 სნუკერი პირველად არის მოხსენიებული.
- 1898 გაიმართა პირველი შეჯიბრება კროსში.

სათხილამურო სპორტში სასრილო ტრასების სირთულე ფერებით განისაზღვრება. მწვანე ტრასა დამწყებთათვის არის, ლურჯი იოლი ტრასაა, წითელი — საშუალო სირთულის, შავი კი ყველაზე ძნელი და შესაბამისად, გამოცდილი მოთხილამურეებისთვის.

სპორტის ბუნდები სახეობები

სპორტის გუნდური სახეობების უმეტესობაში საჭიროა ბურთის მიზანში მოხვედრება, მასზე ფეხის დარტყმა ან ბურთის სროლა. ადამიანებმა, ალბათ, ბურთით თამაში ათასწლეულების წინ დაიწყეს. სკოლებმა და კოლეჯებმა მხოლოდ XIX საუკუნეში შეიტანეს პროგრამებში ბურთით თამაშის სახეობები. ამის შემდეგ ინტერესი სპორტის პროფესიული სახეობებისადმი, რომლებშიც ბურთს იყენებდნენ, გაიზარდა.

○ ამერიკული ფეხბურთის სათამაშო მოედანს ცხაურასაც ეძახიან, რადგან მთელ მოედანზე გაეღებულ ხაზებს შორის ინტერვალი 4,5 მეტრია.

○ ბეისბოლის პროფესიულ გუნდში ორივე მხარეს 9 მოთამაშეა. გუნდები ერთმანეთს სათამაშო მოედანზე ცხრა ინიგის განმავლობაში ერკინებიან. „პოუმრანები“ ქულებს მაშინ იღებენ, როდესაც დამრტყმელი საათის საწინააღმდეგო მიმართულებით ოთხ ბაზას შემოირბენს.

○ ბრაზილია ერთადერთი ქვეყანაა, რომლის გუნდმა მონაწილეობა მიიღო ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ყველა ფინალურ ტურნირში.

○ ფეხბურთი შუა საუკუნეებში გავრცელებული სასტიკი თამაშიდან იღებს სათავეს. მისი ამჟამინდელი წესები, ლიგები და პროფესიული კლუბები მხოლოდ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა. ის მსოფლიოს ერთ-ერთი პოპუ-

○ ბეისბოლის გუნდის დამრტყმელი კეტს ურტყამს ბურთს. მის უკან მდგარ კეტჩერს დამცავი აღჭურვილობა აცვია, რომ ბურთის მოხვედრის შემთხვევაში სხეული არ დაიზიანოს.

ლარული სანახაობითი სპორტის სახეობაა.

○ ტერმინი „კრიკეტი“ მომდინარებს ფრანგული სიტყვიდან cricket, რაც ძველ ფრანგულ ენაზე ჯოხს ნიშნავდა. კრიკეტის პირველი ტესტმატჩი ავსტრალიასთან ინგლისში, ლონდონის კრიკეტის მოედანზე („ოვალი“) 1880 წელს მოეწყო.

○ ფრენბურთს თავდაპირველად „მინტონეტი“ ეწოდებოდა და იგი 1895 წელს აშშ-ში უილიამ ჯორჯ მორგანმა გამოიგონა.

გასაოცარია

დიდი ხნის განმავლობაში ბეისბოლის დამაარსებლად ვინმე აბნერ დაბლდვი ითვლებოდა. ლეგენდის თანახმად, ის პირველი იყო, ვინც ამერიკის სამოქალაქო ომში გაისროლა.

○ ვინულის ჰოკეის მოთამაშეები დაახლოებით 50 კმ/სთ სიჩქარით დარბიან, ხოლო შაიბა 150 კმ/სთ სიჩქარით მიქრის.





ⓘ პლაჟის ფრენბურთში ბურთზე ხელის მარჯვედ დარტყმა საჭირო.

რაგბი

რაგბის მატჩში ქულების დაგროვების ოთხი გზაა: ლელოს გატანა ფასდება 5 ქულით; გარდასახვა, რომელიც ლელოს გატანის შემდეგ ინიშნება, ორი ქულის მომტანია; არეკნი, ანუ თამაშის დროს ბურთის დარტყმა, სამ ქულას უდრის და ამდენივე ქულას იღებს გუნდი, თუ ჯარიმა გაიტანა. ჩვეულებრივ, რაგბის გუნდში 15 მოთამაშეა, მაგრამ არსებობს ნაირსახეობა რაგბი-ლიგი, რომელსაც ცამეტკაციანი რაგბისაც უწოდებენ, და ასევე, შეიდეკაციანი რაგბი.



ამერიკული ფეხბურთი

ამერიკული ფეხბურთის გუნდში შეიძლება 45-მდე მოთამაშე იყოს, მაგრამ მოედანზე ერთდროულად ერთ გუნდს მხოლოდ 11 მოთამაშე ჰყავს.



ⓘ ბალანის პოკეი ჯოხითა და ბურთით თამაშის ერთ-ერთი უძველესი ნაირსახეობაა, მას ჯერ კიდევ აცტეკები თამაშობდნენ.

მსოფლიო ჩემპიონატი

- 1930 ურუგვაი
- 1934 იტალია
- 1938 იტალია
- 1950 ურუგვაი
- 1954 დასავლეთი გერმანია
- 1958 ბრაზილია
- 1962 ბრაზილია
- 1966 ინგლისი
- 1970 ბრაზილია
- 1974 დასავლეთი გერმანია
- 1978 არგენტინა
- 1982 იტალია
- 1986 არგენტინა
- 1990 გერმანია
- 1994 ბრაზილია
- 1998 საფრანგეთი
- 2002 ბრაზილია
- 2006 იტალია
- 2010 ესპანეთი

ⓘ კალათბურთის მოთამაშეს არ შეუძლია ორ ნაბიჯზე მეტის გადადგმა ბურთის დაუგდებლად. ამ წესის დარღვევას გარბენი ეწოდება.

ⓘ ნეტოლი 1891 წელს კანადელმა ჯეიმს ნეისმიტმა გამოიგონა, — მან კალათბურთის სათამაშო წესები მოარგო თამაშის ვერსიას ქალებისთვის.

ⓘ ლაკროსის მოთამაშეები იყენებენ ჯოხს, რომელსაც ბოლოში ბაღე აქვს, რათა მისი დახმარებით

დაიჭირონ ან მოწინააღმდეგის კარში შეაგდონ ბურთი. ეს კანადაში მცხოვრებ ინდიელთა თამაშად მიიჩნეოდა და მასში თითოეული მხრიდან ათასამდე მონაწილე შეიძლება ჩართულიყო.

ⓘ წყალბურთი საცურაო აუზში იმართება. გუნდის მიზანია მოწინააღმდეგის კარში ბურთის გატანა.

ⓘ 1854 წლიდან ოქსფორდსა და კემბრიჯს შორის ნაგებით შეჯიბრება 6,8 კმ-იან დისტანციაზე იმართება.

სპორტის ინდივიდუალური სახეობები

დუნდურ სახეობებში გამარჯვება მოთამაშეებისგან ერთდროულად თანამშრომლობას, ურთიერთგაგებასა და კოორდინირებულ მოქმედებას მოითხოვს, ხოლო ისეთ ინდივიდუალურ სახეობებში, როგორცაა სათხილამურო სპორტი, მოტოსპორტი ან კრივი, მნიშვნელოვანია ინდივიდთა უნარები, რეაქციები და გამძლეობა. სპორტის ზოგიერთ ინდივიდუალურ სახეობაში, როგორცაა ჩოგბურთი და ბადმინტონი, შემუშავდა ისეთი ვერსიები, რომელთა მიხედვით წყვილთა თამაში შესაძლებელია.



სპიდვეიში მოტოციკლისტების შეჯიბრების დროს გრუნტიან ტრასაზე რბოლისას მოხვევის სიჩქარის გასაზრდელად სპორტსმენები გვერდზე იხრებიან.

ბასაოცარია

საშუალოდ, ცურვისას ადამიანის მაქსიმალური სიჩქარე 8 კმ/სთ-ია, ხოლო თევზის საშუალო სიჩქარე 108 კმ/სთ.

ზურგზე ცურვა ამ სახეობის სპორტის ერთადერთი სახეობაა, რომელშიც მოცურავენი სტარტს წყალშივე იღებენ.



ჩოგბურთში ტერმინი ლოვე მომდინარეობს ფრანგული სიტყვიდან l'oeuf, რაც „კვერცხს“ ნიშნავს და ნული ქულის აღმნიშვნელია. ტერმინი დეუცე წარმოქმნილია ფრანგული სიტყვისგან deux, ანუ ორი — თამაშის მოსაგებად აუცილებელია ორქულიანი უპირატესობა.

ჩოგბურთში „დიდი სლემის“ ტურნირი მოიცავს ოთხ საერთაშორისო შეჯიბრებას: უიმბლდონი, აშშ-ის ღია პირველობა, ავსტრალიის ღია პირველობა, საფრანგეთის ღია პირველობა.

გოლფის ჩემპიონატის დროს ოთხ რაუნდში მოთამაშემ უნდა აიღოს 18 ორმო — საერთო ჯამში 72.

ძიულოს შეჯიბრებაში მონაწილეებს სხვადასხვა ფერის ქამრები აქვთ, რაც მათი დონის მაჩვენებელია. დამწყებებს თეთრი ქამარი აქვთ. მას მოსდევს ყვითელი, ნარინჯისფერი, მწვანე, ლურჯი, ყავისფერი, შავი და წითელი ქამრები.

სლალომისა და გიგანტური სლალომის დროს მოთხილამურეები დიდი სისწრაფით ეშვებიან და თან ზიგზაგისებრად გვერდს უვლიან დროშებით მონიშნულ ჭიშკრებს.

ოლიმპიური შეჯიბრებისთვის განკუთვნილი აუზის სიგრძე 50 მეტრია და იგი რვა ბილიკადაა დაყოფილი.



ღიდი თავის მქონე მძლავრ-მა თანამედროვე ჩოგნებმა ახალი ძლიერება მიანიჭა თამაშს. მათი დახმარებით საუკეთესო სპორტსმენების მიერ მიღწეული სიჩქარე საათში 240 კმ-ია.

რალი და რბოლა

რალის დროს მანქანები სხვადასხვა პუნქტში განსაზღვრული დროით ჩერდებიან. რბოლის დაწყებისას ყველა მანქანა ერთდროულად იღებს სტარტს და წრიულ ტრასას უვლიან. გამოსახულებზე ნაწვევები სარბოლო მანქანა განსაკუთრებულია უზარმაზარი უკანა ამპრაჟი ბორბლებითა და აეროდინამიკური ზედაპირით, რომელიც რბოლისას სიჩქარის მომატებას უწყობს ხელს.



ძიუდოში შეხვედრა, ჩვეულებრივ, ხუთ წუთს გრძელდება. გამონაკლისია დიდი შეჯიბრებები — ასეთ დროს ორთაბრძოლას შეიძლება 7 წუთი დაეთმოს.



**ავტოსპორტის
მნიშვნელოვანი
თარიღები**

- 1895 საფრანგეთში პირველი რბოლა გაიმართა.
- 1906 საფრანგეთში, ლე-მანში რბოლის პირველი დიდი პრიზი გათამაშდა.
- 1911 აშშ-ში მოეწყო პირველი „ინდიანაპოლისი-500“.
- 1920 დიდი პრიზის რბოლები პირველად გაიმართა საფრანგეთის ფარგლებს გარეთ.
- 1923 პირველი 24-საათიანი რბოლა ლე-მანში.
- 1936 აშშ-ში მოეწყო ჩვეულებრივი ავტომობილების პირველი რბოლა.
- 1960 დიდი პრიზის რბოლებში მანქანებმა უკან განთავსებული ძრავით ჩაანაცვლა მანქანები, რომელთაც ძრავა წინ ჰქონდათ.

○ XIX საუკუნეში ინგლისის პაროუ-სკულში გამოიგონეს ჩოგბურთის მსგავსი თამაში — სკეოში.

○ სკეოშისთვის გამოყენებული ბურთები სხვადასხვა ფერისაა მათი სიჩქარის მიხედვით. ყვეთელი ყველაზე ნელია, თეთრი და მწვანე — ნელი, წითელი — საშუალო სიჩქარის, ხოლო ლურჯი — ძალიან სწრაფი.

ციგურაობა

ციგურაობა სკანდინავიის ქვეყნებში განვითარდა, სადაც უმარტივეს ციგურებს ჯერ კიდევ 2000 წლის წინ ამზადებდნენ. მოციგურავეებს რბოლის დროს ელასტიანის (სპანდექსი, ლაიკრა) კოსტიუმები აცვიათ აეროდინამიკური კაპიუშონით ჰაერის წინააღმდეგობის შესამცირებლად. ფიგურული სრიალი ოლიმპიური სპორტის სახეობაა 1908 წლიდან.





საანგარიშო ჟურნალი
 „არუსელისგან“
 უფრო მეტი სანდოობა, ერთობილი, თანადროს და
 სანდოობა იმპერატორის მხარეს - განაგრძობს ღონისძიება

		1. ინდიელთა ისრის მზამი	2. საოცრება კუნძულ როდოსზე	3. ქართველი იტალიის ეროვნული გმირი		4. „ვენი, ვიდი, ...“	
			5. რომულუსის ტუმიციალი	6. ... განდი		7. პლანეტა ზუალი, კრიონი ანუ ...	
8. ახალი „არვინჯი- ტი“ ტიმ ...		9. მისტიკური მოძღვრება იუდაიზმში					10. მსოფლიოს „სამშვიდობო თამაშები“
	11. იაპონიის მთავარი კუნძული						
				12. პროტეს- ტანტების მღვდელი			
		13. არტიკური შეფუთვა	14. კლიტემ- ნესტრას მკვლელობის შედეგი	15. სააკაბეთა სიფელი			
	16. იური ბოგოლიუბსკი ანუ გიორ- გი ...						
				17. პრესტიჟული კვლირბო- ლა „... დე ფრანსი“	18. დიდი ბუნებრივი წვალსატყვი	19. კვლის ოთსკუთხა სვეტი	
	20. ბიბლიური შუმერული ქალაქი					21. კეისრის მკვლელობა	22. იუპიტერის თანამგზავნი
23. ილიას დაფუძნებული გაზეთი						24. პინკ ფლოიდის დამფუძნებელი ... ბარეტი	

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანდორდის პასუხები:
 1. ჰიუგო 2. კირილე 3. გურამიშვილი 4. პოლიცია 5. არიარი 6. გოა 7. ლიცეუმი 8. გოპაკი 9. ტაიჭი 10.
 პატრი 11. ჰულაგუ 12. ამქარი 13. კვეტარი 14. ჭონი 15. აბაი 16. იაგო 17. ჭიმჭიმელი 18. ნეი 19. ქუსლი 20.
 ნაგოა 21. ნორაშენი 22. ონი 23. მიმინო. სურათზე: პორაციო ნელსონი.